

სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები

საქართველოსა და უცხოეთის
სიძველეთსაცავებში

თამარ აბულაძისა და ლიანა სამყურაშვილის რედაქციით

თბილისი
2022



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

წინამდებარე მონოგრაფია-ალბომი შედგა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის – „სამედიცინო დ ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში“ (გრანტი №HE17-54) – ფარგლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

მონოგრაფია-ალბომში გამოქვეყნებული ფოტომასალისა და თითოეული მონაკვეთის რაიმე ფორმით (ელექტრონული, ბეჭდური) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

მონოგრაფია-ალბომში გამოყენებულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, თბილისისა და საქართველოს რეგიონების, ასევე, რუსეთისა და სომხეთის სიძველეთსაცავებში დაცული ხელნაწერების დიგიტალური ასლები.

პროექტი თანამშრომლობისათვის მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ არქივს, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს, ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმს, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს, თელავის ისტორიულ მუზეუმს, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, მატენადარანს (ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ერევანი), რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტს (პეტერბურგი).

აპტმრპი: ლიანა სამყურაშვილი, ირინა გოგონაია, თამარ აბულაძე,
ლელა შათირიშვილი, ნათია ხიზანიშვილი

ლუიზა გაბუნias, მაია კერესელიძისა და კარენ მულკიჯანიანის მონაწილეობით

დიზაინი: ლევან ლაცაბიძე

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

© ლიანა სამყურაშვილი, ირინა გოგონაია, თამარ აბულაძე,

ლელა შათირიშვილი, ნათია ხიზანიშვილი

ISBN: 978-9941-9783-4-0

სარჩევი

შესავალი.....	4
ქართული სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერების ტიპოლოგია	7
სამედიცინო ცოდნა ქართულ სასულიერო მწერლობაში	9
ძველი ქართული სამედიცინო ენციკლოპედიური ნიგნები და კარაბადინები	27
სამედიცინო – სამკურნალო მასალის შემცველი თემატური და შერეული კრებულები	41
სამედიცინო – პრაქტიკული დანიშნულების კრებულები	48
ცნობები ინფექციური დაავადებებისა და მათი მკურნალობის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში	51
ლექსიკა და ტერმინოლოგია.....	67
მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებები ქართულ საექიმო ნიგნებსა და კარაბადინებში	73
ქართული ვეტერინარული ხელნაწერები.....	79
<i>ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში დადასტურებული ჭარხლის შემცველი რეცეპტურის მიხედვით დამზადებული სამკურნალწამლო საშუალების პროტოტიპის შესახებ.....</i>	84
სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერების ალბომი.....	85
ტერმინთა ლექსიკონი	128
ბიბლიოგრაფია	138
შემოკლებები	143

შესავალი

შუა საუკუნეების მეცნიერება თეორიული, ემპირიული და პრაქტიკული ცოდნის გამაერთიანებელი მოვლენაა, ამ პერიოდში შექმნილი „კომპლექსური ცივილიზაციის“ განუყოფელი ნაწილი და დასავლურ-აღმოსავლური კულტურული მემკვიდრეობის გამაერთიანებელი ფენომენი.

ახლო აღმოსავლეთის კულტურულ არეალში ჩამოყალიბებული ცოდნის ტრანს-ფორმაციის პროცესში ქართულმა მეცნიერებამ თავისი საგანგებო როლი შეასრულა. იგი ეფუძნებოდა მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას და შემოქმედებითად გადმოსცემდა ელინურ-ბიზანტიურ და მუსლიმურ-აღმოსავლურ კულტურათა მიღწევებს. ეს კავშირი თვალსაჩინოა ქართულ წერილობით ძეგლებში, მათ შორის, სამედიცინო-სამკურნალო ხასიათის თხზულებებში, შედგენილობით, წარმომავლობით, მიზანდასახულობით განსხვავებულ მრავალფეროვან მასალაში.

სამედიცინო ცოდნა, როგორც კულტურის უძველესი მონაპოვარი, საუკუნეთა განმავლობაში ფილოსოფიასთან ერთად ერთ მთლიანობაში მოიაზრებოდა. ეს ერთიანობა კულტურის ისტორიის უმთავრესი საგნის, სიცოცხლისა და ადამიანის არსებაში წვდომას ემსახურებოდა. შესაბამისად, სამედიცინო ცოდნა აისახებოდა ფილოსოფოსების, მედიკოსების, ბუნებისმეტყველების შრომებში, ასევე სასულიერო შინაარსის თხზულებებში.

ამ ტიპის სასულიერო და საერო ხასიათის თხზულებების, ზოგადსამედიცინო, ფარმაკოლოგიური, ვეტერინარული შინაარსის შრომების, კარაბადინების, სასწავლო-საექიმო და საოჯახო წიგნების, ენციკლოპედიების, სხვადასხვა ცნობარის, რეცეპტის, სპეციალური ლექსიკონის შემცველი მასალა ფართოდაა წარმოდგენილი ცალკეულ ქართულ ხელნაწერსა თუ შერეულ კრებულში. მათი ქრონოლოგიური საზღვრები 10 საუკუნეს მოიცავს. ისინი თავმოყრილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექციაში (S კოლექცია); საეკლესიო მუზეუმის კოლექციაში (A კოლექცია); ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების კოლექციაში (H კოლექცია); ახალ მზარდ ფონდში – Q კოლექციაში; ასევე, საქართველოს სხვა სიძველეთსაცავებში და საზღვარგარეთის ცენტრებში (სინა, იერუსალიმი, ათონი, ოქსფორდი, მატენადარანი (სომხეთი), სანკტ-პეტერბურგი (რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა და მეცნიერებათა აკადემიის აღმო-

სავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი), პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, სოფიის, ვენის, ვატიკანის, ლაიპციგის ბიბლიოთეკები და სხვ.) დაცულ საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ვეტერინარული თხზულებების შემცველ ნუსხებში.

ქართული ხელნაწერები, მათ შორის ისტორიული დოკუმენტები და სამართლის ძეგლები, ასახავს, ზოგადად, სამედიცინო ცოდნის შევსება-განვითარების ხანგრძლივ, ერის ინტელექტუალური დონით, კულტურული სივრცის ისტორიული ტენდენციებითა და მოთხოვნებით განსაზღვრულ გზას; ხალხური მედიცინისა და ძველი ქართული პროფესიული მედიცინის ურთიერთკავშირსა და ურთიერთგავლენას.

მწერლობის პირველი, ადრეული, პერიოდიდან მოღწეულ ხელნაწერებში ასახული სამედიცინო ხედვა დამყარებულია ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ სისტემაზე. შუა საუკუნეებში ქართული მედიცინა ისევე, როგორც მეცნიერების სხვა დარგები, განიცდის ძლიერ არაბულ-ირანულ, XVIII საუკუნიდან კი ევროპულ-რუსულ გავლენას.

ეს გამდიდრებული, გადამუშავებული ცოდნა ყველა რეგიონში იძენდა კონკრეტული კულტურული გარემოსთვის დამახასიათებელ ელემენტებს. საფუძველი ერთი იყო – მკურნალობა, როგორც სიცოცხლის ძალთა განახლება; კურნავდა ბუნება, ექიმი კი ზრუნავდა. ამიტომ გარემომცველი ბუნებიდან მოხმობილი იყო მთელი არსენალი – მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საშუალებები, მინერალები, მათი დამზადების ტექნოლოგია. შრომებიც არაერთგვაროვანი იყო – ვრცელი, ენცილოპედიური თხზულებები, კარაბადინები, რეცეპტები და სხვ.

ქართულ ხელნაწერებში დაცული სამედიცინო შინაარსის თხზულებების სისტემური მეცნიერული კვლევა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. ცნობილია: ლ. კოტეტიშვილის გამოცემები და კვლევა, ი. ბერიტაშვილის, მ. სააკაშვილის, ილ. აბულაძის, ბ. რაჭველიშვილის, მ. შენგელიას, რ. შენგელიას, პ. ფირფილაშვილის, ლ. ხიდაშელის, ნ. მინდაძის, ს. სალუქვაძის შრომები; ვეტერინარიაში – ლ. ლეონიძის, კ. კაპანაძის, კ. ჯვარშიევილის კვლევები. ბოლო წლებში გამოქვეყნდა ნ. ხელაიას, ლ. ხიდაშელის, დ. კუხიანიძის, ლ. სამყურაშვილის, ლ. შათირიშვილის, თ. აბულაძის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება სამედიცინო ხელნაწერებს და სასულიერო დარგის ცალკეულ თხზულებებში გაბნეულ სამედიცინო ცოდნის ამსახველ მასალას. 2017 წელს გამოვიდა ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა კატალოგი, რომელშიც თავმოყრილია საქართველოსა და უცხოეთის ზოგიერთ სიძველეთსაცავში დაცული სამედიცინო ხელნაწერები.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამედიცინო და ვეტერინარული შინაარსის ხელნაწერთა უმრავლესობა არ არის შესწავლილი მედიცინის ისტორიის კუთხით; ძირითადად, არ არსებობს სისტემატიზებული, ერთიანი, მისაწვდომი ინფორმაცია დარგის სპეციალისტების მიერ შეფასებული მასალის შესახებ (ვგულისხმობთ სრულ მონაცემთა ბაზას, ანოტირებულ კატალოგებს და სხვ.).

ამასთანავე, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ დამზადებულა სამკურნალო საშუალებები სამედიცინო ხელნაწერებში ასახული რეცეპტურის მიხედვით; ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობაში დაცული სამედიცინო ცოდნა სრული სახით არ არის წარმოდგენილი შესაბამისი პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში.

ქართული სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერების ტიპოლოგია

ტიპოლოგიურად ქართული სამედიცინო ხელნაწერები შემდეგ ჯგუფებს ქმნის:

- საექიმო წიგნები, რომლებიც შეიცავს თეორიული და პრაქტიკული მედიცინის საკითხებს, ენციკლოპედიური ტიპის შრომები;

- სასულიერო ლიტერატურაში, კერძოდ, ეგზეგეტურ, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, კურთხევანებში წარმოდგენილი მასალა;

- შერეულ და თემატურ კრებულებში შესული ცალკეული შრომები და სამედიცინო შინაარსის შემცველი მონაკვეთები (ქიმია, თხზულებები ძვირფას თვალთა შესახებ, ვეტერინარული მასალა და სხვ.)

- წამალთა ნუსხები: მხოლოდ ჩამონათვალი ან ჩამონათვალი აღწერით და დაავადებების, ზოგჯერ სამკურნალწამლო ფორმების (აბი, ყურსი, მაჯუნი, მურაბა, ფხვნილი, ბალზამი, შარბათი და სხვ.) მითითებით;

- სალექსიკონო მასალა: ვრცელი ლექსიკონები, მათ შორის, განმარტებითი, ლათინური და აღმოსავლური შესატყვისებით; ზოგჯერ უკვე არსებული ლექსიკონების შევსება-დამატებები;

- მინაწერები: დაავადებების მოკლე აღწერა, სხვადასხვა სახის რეცეპტი და ა.შ.

- გვიანდელი (ძირითადად, მეცხრამეტე საუკუნის) შრომები, რომლებიც, ფაქტობრივად, თანამედროვე სამეცნიერო შრომების ანალოგებს წარმოადგენს მრავალრიცხოვანი წყაროების (წერილობითი – ორიგინალური და ნათარგმნი, ხალხური, პრაქტიკოს ექიმთა გამოცდილება) მითითებით, სქოლიოების დართვით და სხვ. ამ ჯგუფში ერთიანდება ერთი რომელიმე დაავადების აღწერის შემცველი თხზულებებიც შესაბამისი დიაგნოსტიკით, მკურნალობის მეთოდებითა და საშუალებებით.

ყოველ ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფში, თავის მხრივ, მკაფიოდაა ასახული როგორც ეროვნული ცოდნა და სამკურნალო ტრადიციები, ისე შუა საუკუნეების მუსლიმი და, უფრო გვიანდელ პერიოდში, ევროპელი მედიკოსების, ცნობილი ავტორების შრომე-

ბის კვალი პირდაპირი გავლენებისა თუ ცალკეული მონაკვეთების ან მთლიანი შრომების თარგმანების, გადმოკეთების, კომპილაციის სახით.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, სამედიცინო ხელნაწერების შესწავლა წამოჭრის არაერთ პრობლემურ საკითხს. წერილობითი მასალის სისტემატიზაცია, დაფიქსირება, ინტერდისციპლინური კვლევა, პრაქტიკული განხორციელება და შეფასება, შეძლებისდაგვარად, ამ მრავალფეროვანი მასალის კომპლექსური შესწავლის დასაწყისია. ლ. კოტეტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „წურავინ იფიქრებს, რომ ეს მემკვიდრეობა [სამედიცინო ხელნაწერები] მხოლოდ ექიმების კუთვნილებას შეადგენდეს და მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ საექიმო დარგში. სრულიადაც არა. ეს მემკვიდრეობა ქართველი ხალხის კუთვნილებაა, ყოველი შეგნებული მოქალაქისა და, მეცნიერულმა კვლევამ ეს მემკვიდრეობა თანამედროვე მეცნიერებით ახსნილი, შესწავლილი და შემონახული, ისევ ხალხს უნდა დაუბრუნოს“.

პუბლიკაცია მიზნად ისახავს აღნიშნული მემკვიდრეობის სისტემატიზაციას, პოპულარიზაციას, პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობების, ინტერდისციპლინური კვლევის შედეგების წარმოჩენას.

* * *

წინამდებარე ნაშრომი სამი ნაწილისგან შედგება.

პირველ ნაწილში წარმოდგენილია საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში დაცული სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერების ზოგადი მიმოხილვა გარკვეული ჯგუფების მიხედვით, ინფორმაცია ხელნაწერების დაცულობის ადგილის შესახებ ინსტიტუციების მითითებით, ცნობები ინფექციური დაავადებებისა და მათი მკურნალობის ხერხების, მინერალური წარმოშობის სამკურნალო საშუალებების შესახებ ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ხელნაწერებში დაფიქსირებული რეცეპტების ნიმუშები. აქვე წარმოდგენილია ერთ-ერთი რეცეპტის მიხედვით დამზადებული სამკურნალო საშუალების პროტოტიპის დახასიათება.

მეორე ნაწილი სამედიცინო და ვეტერინარული შინაარსის გამორჩეულ ხელნაწერთა ალბომია, რომელშიც სხვადასხვა სიძველეთსაცავებში დაცული სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები დალაგებულია ქრონოლოგიურად. ალბომში მოცემულია ხელნაწერების არქეოგრაფიული აღწერილობა: შიფრი, დაცულობის ადგილი, გადანერისა და განახლების თარიღები, ზომები, საწერი მასალა, ავტორი/მთარგმნელი, შემდგენელი – კომპილატორი, ყოველ ერთეულს ერთვის ანოტაცია.

მესამე ნაწილში მოცემულია გამოყენებულ ტერმინთა ლექსიკონი და ძირითადი ბიბლიოგრაფია.

ვფიქრობთ, გამოცემა გააფართოებს ცოდნას ქართულ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი სამედიცინო შრომებისა და სხვა ტიპის, სამედიცინო ცოდნის შემცველი თხზულებების შესახებ, მისაწვდომს გახდის აღნიშნულ მასალას ფართო სამეცნიერო წრეებისათვის და შექმნის მისი გაღრმავებული კვლევის შესაძლებლობას.

სამედიცინო ცოდნა ქართულ სასულიერო მწერლობაში

მედიცინა წარმოადგენს დარგს, რომელიც მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილების, მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ. თავდაპირველად მედიცინა ცხოვრებაზე პრაქტიკული დაკვირვების შედეგად იყო მიღებული (სანიკიძე 1997: 2-4), რამაც ადრეულ ცივილიზაციებში (მესოპოტამია: შუმერი, ბაბილონი, ასურეთი, ეგვიპტე, ინდოეთი, ჩინეთი, ირანი) დიდად შეუწყო ხელი სამეცნიერო ცოდნის განვითარებას. მესოპოტამიური სამედიცინო ცოდნა გავრცელებული იყო მთელ ევრაზიულ კონტინენტზე (შენგელია 2012: 12-23).

ქართული მედიცინის ისტორიაში, როგორც მსოფლიო მედიცინის ისტორიის ნაწილში, მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს შავი ზღვისპირეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებში არსებული კოლხა, მედეას სამშობლო. როგორც ჩანს, მედეასთვის ცნობილი იყო სამკურნალო საშუალებების სხვადასხვა ფორმა: შინაგანი და გარეგანი გამოყენების, შესასუნთქი; იგი ამზადებდა სხვადასხვა წამალს: ძილის მომგვრელს, დაავადებათა სამკურნალოს, მომნამვლელს, ნელსაცხებელს, სასწაულებრივსა და მაგიურს. სარწმუნო მონაცემებით, კოლხურ შტოს ეკუთვნოდა მითრიდატე პონტოელი (ძვ.წ. II-I სს.). პლინიუსის მიხედვით, მან შემოიღო მომნამლავი საშუალებების ყოველდღე სმა შხამის საწინააღმდეგოდ. გავრცელებული ანტიდოტის, „მითრიდატუმის“, რეცეპტიც ამის შემდეგ გახდა ცნობილი; ამავე დროს ამ შხამებმა მსოფლიო ფარმაციის განვითარებას დაუდო სათავე (ეგეტაშვილი 2017: 38).

სამედიცინო გამოცდილება თავდაპირველად ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა, მოგვიანებით მკურნალებმა დაიწყეს მისი ჩაწერა; ასე უნდა ჩაჰყროდა საფუძველი უძველეს სამედიცინო ლიტერატურას. მედიცინის ისტორიაში რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა, რომელთაგან ყველაზე ადრეულად მიიჩნევენ ბერძნულ-რომაულ ანუ ელინისტურ ხანას (ძვ. წ. IV ს. – ახ. წ. IV ს.); მას მოჰყვება ბიზანტიური პერიოდი (IV-VII სს.), ისლამური ხანა (VII-XVIII სს.), დაბოლოს, გარდამავალი პერიოდი (XIX საუკუნის 60-იან წლებამდე).

მედიცინის ისტორიის მკვლევრები დღეს ბერძნულ-რომაული და ელინისტური პერიოდის მედიცინით ხელმძღვანელობენ. კლასიკური მედიცინის საფუძვლის ჩამყრელად მიჩნეულია ჰიპოკრატე (460-377 ძვ.წ.), რომლის ჰუმორულ-პათოლოგიური სისტემა მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო აღიარებული. იგი კლაუდიუს გალენმა (129-200/216 წწ.) განავითარა. ამ სისტემას ბევრი მიმდევარი ჰყავდა XIX საუკუნემდე.

სამედიცინო ცოდნა სხვადასხვა წყაროთა მეშვეობით შემოდიოდა საქართველოში. მისი კონტაქტები ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან გულისხმობდა არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, არამედ კულტურის საკითხებსაც. V საუკუნიდან საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სირია-პალესტინისა და კონსტანტინოპოლის ქრისტიანულ სამყაროსთან. სამედიცინო ცოდნა, ძირითადად,



ფოტო 1.

ხეც, H 1452. ყანჩაეთის ჟამნ-გულანი. ადამი და ევა სამოთხეში.

სასულიერო მწერლობის ნიმუშების ქართული თარგმანების მეშვეობით შემოდიოდა. ესენია, უპირველესად, V-XVIII საუკუნეებში გადაწერილი ძველი და ახალი აღთქმის ქართული თარგმანები, ქრისტიანული ფილოსოფიური და სასულიერო ტექსტები და სხვ.

ძველი აღთქმის საკითხავების მიხედვით, ჯანმრთელობის ფუნდამენტური გაგება უკავშირდება ღმერთს, რომელიც არის სიცოცხლის, კაცობრიობის შემქმნელი და, შესაბამისად, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მომნიჭებელი. „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი, მტუერისა მიმღებელმან ქუეყანისაგან, და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა ... ღმერთმან დაადინა [ადამ], მოილო ფერცხალი ერთი გუერდისა მისისა ... და აღმოუვსო ჴორცითა მის წილ. და აღუშენა უფალმან ღმერთმან გუერდი, რომელ მოილო ადამისგან, ცოლად და მოიყვანა იგი ადამისა“ (შესაქმე 2: 7, 21-22) (ბიბლია 2017)¹. **(ფოტო 1)** ცოდვით დაცემის შემდგომ განვითარდა სიცოცხლისუნარიანობის დამორგუწველი პროცესები, რომლებიც ადამიანებს სიკვდილისაკენ მიაქნებს. ძველი აღთქმის საკვანძო საკითხი ის არის, რომ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა არის ღვთის ნება, ხოლო ავადმყოფობა არ არის ღვთისგან დადგენილი. ძველი და ახალი აღთქმის თვალსაზრისს ჯანმრთელობის არსის შესახებ წარმოადგენს სულისა და სხეულის ერთიანობა. ჯანმრთელობის უმთავრესი გამოხატულება ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაა. წარღვნამდელი ადამიანის დღეგრძელობა აღემატება ყველაფერს, რაც დღესდღეობით არის ცნობილი: „და იქმნეს ყოველნი დღენი მათუსალასნი, რომელთა ცხოვნდა, ცხრაასსამეოცდაცხრა (969) წელ და მოკუდა“ (შესაქმე 5: 27). სიცოცხლის ხანგრძლივობა წარღვნის შემდგომი მოსახლეობისა მკვეთრად შემცირდა: „და ცხოვნდა ნაქორ სამეოცდაათცხრამეტ (79) წელ...“ (შესაქმე: 11: 24). მოგვიანებით „ფსალმუნში“ უკვე მინიშნებულია: „დღენი წელიწადთა ჩუენთანი... სამეოცდაათ წელ, ხოლო უკუეთუ ძლიერებასა შინა, ოთხმეოც წელ...“ (ფს 89: 10), სიცოცხლის 70 წელი, როგორც ჩანს, იყო ხანგრძლივი, ხოლო ვინც მიაღწევდა 80 წელს, ის ამყოფდა ამით. სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება განაპირობა გარემომ და სხვა ფაქტორებმა, რომლებიც, სავარაუდოდ, გამოიწვია ორგანიზმის ბიოლოგიური და ფსიქიკური დაქვეითების, გაუარესების, გადაგვარების პროცესებმა, რომლებმაც იქონია გავლენა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

„დაბადებაში“ მითითებულია, რომ ღმერთმა სამყაროს შექმნის მე-7 დღეს დაისვენა; ეს დღე დაადგინა უქმედ და ადამიანისათვის სარგებლობის მომტანად. შაბათის (შათირიშვილი 2016: 128-129) (მოგვიანებით კვირა დღის) უქმედ გამოცხადების მიზანი არის დასვენება. ძველი აღთქმის მიხედვით, უქმე დღეს არა მხოლოდ დადებითი და ჯანსაღი ღირებულებები აქვს ადამიანისთვის, არამედ დაავადებისგან დაცვასაც ემსახურება. თანამედროვე სამედიცინო წრეების წარმომდგენლები თა-

¹ ბიბლიური ციტაციის დასამოწმებლად აქდა შემდეგშიც ვიყენებთ კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემას: ბიბლია, ძველი აღთქმა, I-II; თბილისი, 2017 წ.

ნხმდებიან, რომ ადამიანის სხეულისა და გონების ჯანმრთელი ფუნქციონირებისთვის დასვენების იდეალური პერიოდი შვიდისგან ერთი დღეა. ის, ვინც ვერ ახერხებს უქმე დღეების გამოყენებას, ვნებს თავს.

მჭიდრო კავშირი ჯანმრთელობასა და კვების რეჟიმს შორის „არახალია“. კვების გარკვეულ რეჟიმს მკურნალობის დანიშნულებაც აქვს, თუ ის ინიშნება კონკრეტული დაავადების დროს. წმინდა წერილშიც არის წარმოდგენილი ადგილები, რომლებშიც საკვების შერჩევა ემსახურება ჯანმრთელობის შენარჩუნებას. არსებობს მითითებები კვებასა და ჯანმრთელობაზე მისი სასიკეთო გავლენის შესახებ: „... ნუ გარდაიქცევი შენ პირად-პირადითა საჭმლითა, რამეთუ მრავალთა ჭამადსა შეჰყვის საღმობაჲ... და რომელი ეკრძალოს მას, შესძინოს ცხორება“ (სიბრძნე ზირაქისა, 37: 29-31).

საკვების შესახებ ინფორმაცია გვხვდება დაბადების პირველსავე თავში: „და თქვა ღმერთმან: აჰა, მიგცე თქვენ ყოველი თივა სათესავი მთესველი თესლისაჲ ... და ყო-



ფოტო 2.

ხეც, Q 902. მოქვის ოთხთავი ათი კეთროვანის განკურნება.

ველი ხე, რომელსა აქუს თავსა შორის თვისა ნაყოფი თესლისაჲ სათესავი, თქუნდა იყოს საჭმელად“ (დაბ. 1:29). სამოთხეში ადამისა და ევასთვის შესაძლებელი იყო ყველაფრის დაგემოვნება, იკრძალებოდა მხოლოდ „ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ ჭამა. კაცობრიობის განვითარების ადრეულ საფეხურზე წარღვნამდელი ადამიანი იყო ვეგეტარიანელი, მხოლოდ წარღვნის დროს ღმერთმა ნება დართო წარღვნას გადარჩენილ ადამიანებს საკვებად მიეღოთ ხორცი (შესაქმე, 9-3, 5).

ძველ აღთქმაში აქა-იქ ვხვდებით ცნობებს ექიმების შესახებ, რომელთაც აქვთ ღვთით ბოძებული ნიჭი: „პატივ-ეც მკურნალთა ... რამეთუ უფალმან შექმნა იგი“ (სიბრძნე ზირაქისა 38: 1-4). ღმერთი მოუვლენს ადამიანს ავადმყოფობას და განკურნებაც ღვთის ნებაა. განკურნების საშუალებას ავადმყოფს უფალი კარნახობს. ჩირქგროვის მოსაშუშებლად ლეღვის საფენის დადება უკარნახა ეზეკიელს ესაია წინასწარმეტყველმა უფლის ნებით (ესაია 38:21).

ავადმყოფობა არის რწმენის გამოცდა. „იობის წიგნში“ მოთხრობილია ადამიანის ძალიან შემანუხებელ ავადმყოფობაზე, კეთრზე. რადგან იობის საშინელი ტკივილებისაგან იტანჯება და მიმართავს მკურნალებს (ექიმებს), რომლებიც, მისი აზრით, ვერ შველიან, არ არიან კომპეტენტურები: „ხოლო თქუნ ხართვე მკურნალნი ცრუნი და მლხინებელ ბოროტ ყოველნი“ (იობი 13:4).

მედიცინის სამეცნიერო ისტორიის თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბიბლიაში უკვე გვხვდება სხვადასხვა დაავადების სახელები. კეთრი (Lepra), რომლის შუაგული და წყარო ეგვიპტე იყო, ასევე ქავანა (Pruritus) „სიმღიერე“, „საგურკველი“ (ბუასილი, ანუ ჰემოროიდული დაავადება), გონებრივი (ფსიქიკური) აშლილობა, ანუ სიგიჟე, სიბრმავე, გულის შეტევა და ა.შ.

ძველი აღთქმის ტექსტებში უხვდაა ლექსიკური ერთეულები და ტერმინები, რომელთა გამოყენება და მნიშვნელობა მოწმობს შინაგანი ორგანოების შესახებ გარკვეული წარმოდგენების არსებობას. ძველი აღთქმის ტექსტების გათვალისწინებით, ჯანმრთელობა, განკურნება არის მთლიანობა და ერთიანობა ადამიანისა ღმერთთან, სხვა ადამიანებსა და სამყაროსთან. ეს შეხედულება, ცხადია, გრძელდება ახალ აღთქმაშიც, რომელშიც, შესაძლებელია, აღმოჩნდეს არაერთი სამედიცინო ცოდნის შემცველი ინფორმაცია. იესო ქრისტე და მოციქულები შველიან სხვადასხვა სნეულებით შეპყრობილთ. ისინი უშუშებენ წყლულებს და კურნავენ გიჟს, კეთროვანს, ბრმას, მუნჯს, შეპყრობილს, ცხელებიანს, სისხლდენით დაავადებულს, წყალმანკიანს და ა.შ. მკურნალობის ტექნიკა მრავალფეროვანია: უშუალო კონტაქტით და დისტანციურად, ინდივიდუალურად და ჯგუფურად, დახმარების გამოყენებით და მათ გარეშე: „და აჰა ესერა კეთროვანი ვინმე მოუჭდა ... და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალგიც განწმედაჲ ჩემი; და მიყო ჴელი თვისი იესუ, შეახო მას და ... მეყსეულად განწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან“ (8,2). **(ფოტო 2)**

მაცხოვარი თვალს უხელს ბრმებს, კურნავს ყრუს, რაც ხორციელდება, ხელისა და ენის შეხებით, ნერწყვით, სიტყვით კურნებით: „ყრუჲ და ძნიად მეტყუელი... განიყვანა

ერისა მისგან თვსაგან და დაასხნა თითნი მისნი ყურთა მისთა და ჰწერნყუა და შეახო ენასა მისსა. და ... ჰრქუა მას: ეფფათა! რომელ არს: განეხუენით! და მეყსეულად განეხუნეს მას სასმენელნი, და განჰჴსნდა კრულეზა ენისა მისისაჲ“ (მარკ. 7, 32-39).

ზემოთ განხილულ განკურნებათა გარდა, უფლის შეხებით, სიტყვით, მონოდებით იკურნება არაერთი ავადმყოფი: ხეიბარი, სისხლმდინარე, ხელგამხმარი, ცხელებიანი. ოთხივე სახარებაში წარმოდგენილია არაერთი დაავადება.

ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტიური იმპერიის განათლება საერო ხასიათისა იყო. მედიცინა შედიოდა ე.წ. განათლების პროგრამაში და ისწავლებოდა ოთხ საგანთან კუადრივიუმთან (Quadrivium) – მათემატიკასთან, გეომეტრიასთან, ასტროლოგიასა და მუსიკასთან მჭირდო კავშირში. ეს განათლება დაედო საფუძვლად IV ს-ში ბასილი ანკურიელის, ბასილი დიდის, მისი ძმის, გრიგოლ ნოსელის, ნემესიოს ემესელის (IV-V სს.), VIII ს-ში იოანე დამასკელის და სხვათა ნააზრევს.

ზემოთ ჩამოთვლილ მოღვაწეთაგან ბ ა ს ი ლ ი ა ნ კ კ რ ი ე ლ ი ერთ-ერთი ადრეული მოაზროვნეა, მოღვაწეობდა ბიზანტიაში 336-360 წლებში. მისი ტრაქტატი




ფოტო 3.

ხეც, A 55 კრებული, ბასილი ანკურიელი, „ქალწულებისათვის“.

„ქალწულებასა შინა ჭემმარიტისა უხრწნელებისათჳს“ ეძღვნება ფიზიოლოგიისა და ზნეობის საკითხებს. ანკვირის ეპისკოპოსი ბასილი ყოფილი ექიმი იყო. მიუხედავად სასულიერო მოღვაწეობისა, იგი იყენებდა თავის პირველ საქმიანობას და ზნეობის ქადაგებისას კარგად უხამებდა ერთმანეთს სამედიცინო და თეოლოგიურ შეხედულებებს. მისი თხზულება ქართულად თარგმნა გიორგი ათონელმა.

(ფოტო 3)

ბასილი დიდი კესარიელის (330-379 წწ.) – ფილოსოფოსის, ასკეტის, ღვთისმეტყველის – თხზულებები „ექუსთა დღეთათჳს“ და „მვეცთათჳს“ ადრევე უთარგმნიათ. „ექუსთა დღეთათჳს“ ტექსტში გადმოცემულია სამყაროს ექვს დღეში შექმნის შესახებ თქმულება, თუმცა ავტორს განუმარტებლად დაუტოვებია ადამიანის შესაქმნის საკითხი, რომელიც შეავსო მისმა უმცროსმა ძმამ, გრიგოლმა, ნოსელმა ეპისკოპოსმა (335–394 წწ.), შრომით „შესაქმნისათჳს კაცისა“. ეს ორივე თხზულება ადრეული თარგმანით შეტანილია „შატბერდის კრებულში“ (S 1141). „შესაქმნისათჳს კაცისა“ პირველ საკითხავადაა წარმოდგენილი ამ კრებულში. **(ფოტო 4)**



ფოტო 4.


ბეც, S 1141. შატბერდის კრებული, გრიგოლ ნოსელი, „შესაქმნისათჳს კაცისა“.

მოგვიანებით თხზულება გიორგი ათონელმაც თარგმნა.

ნემესიოს ემესელი (IV-V სს.) ქალაქ ემესის ეპისკოპოსი იყო სირიაში. მისი თხზულება „ბუნებისათვის კაცისა“ თარგმნა იოანე პეტრიწმა XI-XII საუკუნეებში.

იოანე დამასკელის (680-780 წწ.) ნაშრომებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს თხზულებას „წყარო ცოდნისა“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: „სიბრძნისმეტყველება“, „მწვალებლობათა აღწერა“ და „მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა“, ანუ „გარდამოცემა“. ეს თხზულება ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანებით არის მოღწეული ჩვენამდე (ფოტო 5)

ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართება ძალზე მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხი იყო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, სანამ ცალკეული



ფოტო 5.

ხეც, A 24. იოანე დამასკელი, წყარო ცოდნისა.

მეცნიერება თავისი სააზროვნო დაგროვებული მარაგით დამოუკიდებელ დისციპლინად არ ჩამოყალიბდა (რაფავა 1985: 41). ზემოხსენებული ავტორები ტექსტებში განიხილავენ შეხედულებებს სულის ბუნებაზე, სხეულის შედგენილობაზე, მსჯელობენ როგორც ადამიანის სულიერი და ფიზიოლოგიური ძალების შესახებ, ასევე ედემსა და საიქიოში მორწმუნის, ადამიანის ბუნების მდგომარეობის თაობაზე. ძველი ავტორები ეყრდნობიან საეკლესიო მოძღვრებასა და ძველ აღთქმას, მაგრამ მათ მსჯელობაში იკვეთება ასევე ანტიკური ფილოსოფიური და ანთროპოლოგიური იდეები. ამდენად, ეს თხზულებები წარმოადგენს როგორც თეოლოგიურ და ეთიკურ ნააზრევს, ასევე იმდროინდელი (ანატომიურ-ფიზიოლოგიური) ცოდნის შეცნობის საშუალებას.

უპირველესი საკითხი, რომელსაც ეყრდნობა ზემოჩამოთვლილი სასულიერო ტექსტების მსჯელობისას, არის საყოველთაოდ მიღებული როგორც ფილოსოფიური, ასევე საექიმო პრინციპი, რომელიც გულისხმობს ჰიპოკრატეს ჰუმორულ-პათოლოგიურ სისტემას, რომლის მიხედვითაც სხეულში ხდება წველების (Humor) ცირკულაცია. ამ სისტემაზეა აგებული საბერძნეთისა და შემდგომ შუა საუკუნეების მედიცინა.

ჰიპოკრატე ეყრდნობოდა გავრცელებულ ნატურფილოსოფიურ შეხედულებას, რომ ბუნება შედგება ოთხი საწყისისაგან (ელემენტისაგან/სტიქიისაგან): მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, რომელთაც ადამიანის სხეულში შეესაბამება: სისხლი, თეთრი ნალველი, შავი ნალველი და ლორწო. თუ ეს სითხეები კარგი თანაფარდობითაა შერეული, ადამიანი ჯანმრთელია, ხოლო სითხეთა არაპროპორციული შეზავება ავადმყოფობის მიზეზი ხდება¹. გალენის აზრით, თითოეული ჰუმორის თანაფარდობის რღვევა შეესაბამება ადამიანის კონკრეტულ ხასიათს. ამ ოთხი ელემენტის შეზავება არის პირობა ჯანმრთელობისათვის. ნორმალური შეზავების მოშლა ამა თუ იმ ელემენტების გაძლიერებით ან შემცირებით იწვევს ავადმყოფობას. ეს შეხედულება მეორდება ყველა ავტორთან.

ნემესიოს ემესელი სტიქიონებს უწოდებს „ასოს“. იოანე დამასკელის აზრითაც, ყოველი სხეული ოთხი სტიქიონისგან შემყარდება, ხოლო ცხოველთა (ცოცხალთა) სხეულები – ოთხი სითხისგან.

ღმერთის მიერ ადამიანის დაბადება იდუმალებით მოცული საკითხია, ამის თაობაზე ჩვენთვის საინტერესო ავტორები ღვთის ხატის მსგავსად შექმნილი გონიერი არსების შესახებ საუბრობენ და ადამიანის სხვა სულიერ ქმნილებებზე აღმატებულებას უსვამენ ხაზს. იოანე დამასკელი „გარდამოცემაში“ წერს, რომ საკუთარი ხელებით შექმნა მან (ღმერთმა) ადამიანი თავისი ხატისებრ და მსგავსებისებრ, შეძერწა სხეული მიწისგან და მისცა მას, საკუთარი შთაბერვის მიერ, მოაზროვნე და გონისმიერი სული, ანუ ადამიანი მოაზროვნე არსებაა და ესაა მისი განმასხვავებელი ნიშანი სხვა სულიერი არსებებისაგან.

¹ ქვემოთ განხილული იქნება ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიური სისტემა ქართულ ენაზე თარგმნილ სასულიერო დარგის მწერლობის ტექსტებში.

ღვთის ხატისებრ ქმნილი ადამიანიცა და ასევე, სხვა სულიერი არსებებიც მამრობით და მდედრობით სქესად არიან დაყოფილი, რათა გამრავლების საშუალება მიეცეთ. ბასილი ანკკრიელის მიხედვით, „ნაწილად მამაკაცისა დედაკაცი განაჩინა და ეგრეთვე ყოველთა ცხოველთა მამალსა დედალი განუწესა და ჯდალსა – ხუადი და ნეზუსა – ვერძი და ფურსა – კურო“.

სამედიცინო და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში. ავტორები განიხილავენ ხუთ გრძნობას და გრძნობის ხუთ ორგანოს, მათ რაობას, მათ გავლენას სხეულსა და სულზე: „ნივთი გულისთქუმისაჲ ... ვითარცა წყაროჲ რაჲმე, ჯორცთაგან აღმოდის და ... ხუთთა საცნობელთა მიმართ განიყოფის“, ესენია: მხედველობა ანუ „სახედველი“, რომელიც, თვალის მეშვეობით გონებაში აღბეჭდავს „რაჲმე სახეს“, წმინდა ან უწმიდურ „ხატს“, სმენა, ანუ „სასმენელი“ კი ყურის მეშვეობით. გემოსხილვის ფუნქცია მრავალ გულისნადილს წარმოშობს და გემოთა მეშვეობით კვებავს სხეულს. შეხება ორგვარია: უხორცო ხელისმიერი და ხორციელად ხელისმიერი. უხორცო შეხებაში იგულისხმება შორიდან, მანძილიდან შეხება თვალით, სმენით, ყნოსვით (ბასილი ანკკრიელი).

ნემესიოს ემესელი თითოეული გრძნობის შესახებ საუბრობს თავებში: „მხედვარებისათჳს“, „გემოხსილვისათჳს“, „შეხებისათჳს“, „სასმენელთათჳს“, „საყნოსელთათჳს“. იგი ხაზს უსვამს ტვინის, როგორც ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილის მნიშვნელობას, რომელიც ძარღვის, ანუ ნერვების მეშვეობით უზრუნველყოფს ორგანიზმის შეგრძნებებს.

გრიგოლ ნოსელი თხზულების „ბუნებისათჳს კაცისა“ მე-13 თავში განიხილავს ორი აზრის მიმდევართ, რომელთაგან ერთნი მიიჩნევენ, რომ გონების ძალას ამწყვედვენ გულში ან ტვინში. მათ, ვინც გულს ემხრობა, მტკიცებულებად მოაქვთ ის, რომ გული სხეულის ცენტრშია, ხოლო რომელნიც გონებას თავის ტვინს მიაკუთვნებენ, ამბობენ, რომ თავი მთელი სხეულისათვის ციხე-სიმაგრეა და მასში გონება მკვიდრობს.

ადამიანის სხეული ორი საწყისისაგან შედგება; ბასილი ანკკრიელი სულისა და სხეულის ერთიანობაზე საუბრობს, როგორც ორ საწყისზე. ღმერთმა ადამიანი შექმნა „ვითარცა ვირდევი“, რომელიც თავიდან წელამდე არის ადამიანის მსგავსი, ხოლო „წელთაჲთგან და დამართ მსგავს არს ცხენისა“. ნემესიოს ემესელი ეხება სულის ბუნებას, მის მიმართებას სხეულისადმი; იოანე დამასკელი საუბრობს გარდამოცემის 57-ე თავში „ორი ბუნების თვისებათა შესახებ“, რომ არსებობს ორი ბუნებითი მოქმედება – საღვთო და ადამიანური.

ბასილი ანკკრიელი, როგორც ვხედავთ, მიიჩნევს, რომ წელს ზევით ნაწილები მართავენ გონებას, სულიერ სურვილებს, ანუ პირმეტყველს. პირმეტყველებით ხერხდება პირუტყვულის დათრგუნვა. წელს ქვევით სხეულის ნაწილები კი ემსახურებიან პირუტყვული, ხორციელი სურვილების აღტყინებას, ნაყროვანებასა და სიძვას.

ეს ორგანოებია: მუცელი, ანუ მუცლის ღრუ, ცმელი (მუცლის ქონი), ღვიძლი, თირკმელები, ანუ ის, რაც მოთავსებულია „წელთაღთგან და დამართ“. მუცელი არის წყარო პირუტყვულად ადამიანის განკოხებისა (გასუქებისა), რადგან საზრდელის გარეშე ხორცის ცხოვრება შეუძლებელია, ხოლო საჭმლის მიმღები ორგანო მუცელია.

შინაგანი ორგანოების, კერძოდ, ღვიძლის და ნაღვლის ფუნქცია, საჭმლის მონელება, ხოლო თირკმელს გამყოფის დანიშნულება აქვს – თირკმელებში დუღს ვნება და მათგან გამოვა „გრგენაჲ და მცენარებაჲ თესლისა“.


ნემესიოს ემესელი უფრო ვრცლად ჩამოთვლის შინაგან ორგანოებს. ესენია: „ღვიძლი და ტვინი, გული, სტომაქი, თირკმელნი, წელნი (ნაწლავები)“... გრიგოლ ნოსელის აზრით, ადამიანი ვერ იცოცხლებს თავის, გულისა და ღვიძლის გარეშე. მათ სარგებელს ანიჭებენ მუცელი და ფილტვი.

გრიგოლ ნოსელის „შესაქმისათვის კაცისა“ არის სრულყოფილი ანთროპოლოგიური ნაშრომი ეკლესიის მამათა თხზულებებს შორის. ავტორი საუბრობს ადამიანის აღნაგობის შესახებ. იგი იუწყება, რომ ადამიანის სხეულის გაცნობის რამდენიმე გზა არსებობდა, მათ შორის გაკვეთაც. „ზოგიერთმა სხეულთა განკვეთით ისწავლა, როგორ არის განლაგებული თითოეული ორგანო სხეულში, ხოლო სხვებმა შეიცნეს და განმარტეს, რისთვის დაიბადა სხეულის ყოველი ნაწილი“ (თავი XXX).

ავტორის აზრით, „კაცობრივი ცხოვრებისათვის“ ადამიანს სჭირდება: გონება (ტვინი), გული და ღვიძლი. შინაგანი ორგანოები: კუჭი და ფილტვები, რომელთაგან ერთი (ფილტვები) სუნთქვით გულსა შინა ცეცხლს აღაგზნებს, ხოლო მეორე (კუჭი) შიგნეულობისათვის საზრდელს ითვისებს. ძვლებს საყრდენი სვეტების მსგავსად მთელი სხეულის სიმძიმე ატვირთვინა, მაგრამ არა ისე, რომ მთელ აგებულებაში ერთი დაუნაწევრებელი ძვალი დაენერგა; უფალმა ადამიანი ააგო ისე, რომ იგი სუნთქავს, მოძრაობს, მოქმედებს; ხელებს იყენებს, ამოძრავებს კისერს, თავს, ამოქმედებს ყბას, ახელს და ხუჭავს წამწამებს (ქუთუთოებს) და ამოძრავებს სხეულის დანარჩენ ნაწილებს, რომლებიც „რაცა მანქანისაგან, ძარღვითა დაძაბვითა და მოშვებით აღესრულებიან ... სასწაულმოქმედებს ბუნება, უფრო ზუსტად, მეუფე ბუნებისა ... ძვალნი და ხრტილნი, ძარღვნი, სისხლძარღვნი, ბოჭკოები, იოგნი, ხორცნი, კანი, სიპოხე, თმანი, ჯირკვალნი, ფრჩხილნი, თვალნი, ნესტონი, ყურნი და ყველა სხვა ამგვარი და კიდევ ათასი, ერთმანეთისაგან სხვადასხვა თვისებით განყოფილი, თავისი ბუნების შესაბამისად, ერთი სახის საზრდელით იკვებება“.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო ავტორები სრულყოფილად ფლობენ სამედიცინო და სასულიერო განათლებას. წმინდა მამების ნააზრევში, სასულიერო თხზულებებს გასდევს თვალსაზრისი, რომ ადამიანი, რომელიც ღმერთმა ყველაზე ბოლოს შექმნა, მიწიერ ქმნილებათა კიბის უმაღლეს საფეხურზე დგას, თავისი მდგომარეობით ყოველ არსებაზე მეუფებს.

ძველი ქართული ლიტერატურის მიხედვით, მედიცინა კომპლექსური მკურნალობის პრაქტიკასაც იყენებს, რაც ჰოლისტიური მეთოდის სახელითაა ცნობილი და მკურნალობის სხვადასხვა საშუალებასთან ერთად ფსიქოთერაპიის აქტიურ ჩართვას გულისხმობს. მედიცინის ისტორიაში ფსიქოთერაპიული ზემოქმედების ეფექტურ მეთოდებად ლოცვები, შელოცვები და სხვადასხვა მაგიურ-რელიგიური წესი თუ რიტუალი უნდა იქნას მიჩნეული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „კურთხევანის“ ტექსტები, რომელთა მიხედვით სრულდება ნათვლა, საეკლესიო ქორწინება, მიცვალებულის წესის აგება და სხვ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია A 1110 „კურთხევანის“ ტექსტი, XV საუკუნის ხელნაწერით. იგი უნდა შეიცავდეს სამედიცინო ცოდნის შემცველ ადრეულ ვერსიას, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ლოცვათა ან კურთხევათა საშუალებით განწმენდის წესები, შელოცვები. კრებულში



ფოტო 6.

ხეც, A 1110. კურთხევანი, ფუცვებაჲ ზეთსა ზედა გესლიანისა ნაკბენისა.

შეტანილია ლოცვები ჯანმრთელობისათვის, „ლოცვა თმისა მოკუეცისათვის“, „ფუცება ზეთსა ზედა გესლიანის ნაკბენისა“, „ლოცვა, ყოვლისა სენისა და სულთა ზედა ვნებულისა“, „გველის ხვრელიდან გამოყვანის ლოცვა“ ასევე კრებულში წარმოდგენილია სამკურნალო დარიგებები: „ღვძლისა და ფირტუსა ტკივილისათვის“, „ღვძლისათვის“, „ჭია ვისცა ესხმის“, „თმა და წუჭრი ვისცა დაჯდის“ და სხვ.

ყურადღებას იმსახურებს ზეთთან დაკავშირებული ტექსტები. ნაკურთხი ზეთი სამკურნალო საშუალებაა. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ზეთისცხებისას აღესრულება მადლი, რომელიც სულიერად აძლიერებს ავადმყოფს, განწმენდს ცოდვისაგან და ხშირად კურნავს კიდევ, რადგან ქრისტიანზე საღმრთო მადლი გადმოდის.

(ფოტო 6)

„კურთხევანის“ ეს კოდექსი იწყება განკურნების ლოცვით და მას მოჰყვება ზეთის კურთხევა სნეულისა და „გალობანი სავედრებელნი სნეულსა ზედა“. „განგებაჲ ზეთსა ზედა სნეულისასა. რამეთუ ჯერ-არს შემზადებაჲ წმიდისა ზეთისაი სნეულსა ზედა, მოუნოდოს შუდთა მღრღლეთა და მოჰმზადონ კანდელი და ზეთი დასხნან და შვიდი უღელი ჩადვან პატრუქთა შვიდი ლერწამი ბანბითა, თქუას ერთსა მღღელმან სუფევა მამის და ძისა ... მიწყალე“. ამას მოჰყვება ავადმყოფისთვის სავედრებელი: „სნეულთა მხსნელო, სიმართლე მოჰმადლე! ... ქრისტე ღმერთო, კაცთმოყვარეობით თავს ისხენ ტვრთვად მონყალე და ან საღმობანი სნეულთანი განიკურნენ, რამეთუ დიდებულ ხარ“ ...

ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლები მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდიან V-XI საუკუნეების საქართველოში სამედიცინო ცოდნისა და სხვადასხვა დაავადების შესახებ. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მნიშვნელობა შესაბამისი ეპოქის სამედიცინო შეხედულებების შესწავლის საქმეში აღნიშნული აქვთ ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევრებს: ლ. კოტეტიშვილს, მ. სააკაშვილსა და ა. გელაშვილს, მ. შენგელიას და სხვ. (ბურდული 2009: 24). ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ძეგლში „წმინდა ნინოს ცხოვრება“, რომელშიც აღწერილია ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია, დაავადებების შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიძებნება, თუმცა გვხვდება ადამიანთა (ნანა დედოფლის, ვინმე ბავშვის) დასნეულების და მათი განკურნების ისტორიები. ტექსტიდან ირკვევა, რომ იმ დროს ექიმებს უწოდებდნენ „მეცნიერნი კურნებისა“, „ხელოვანი კურნალნი“ (შენგელია 1980: 72).


დაავადების თუ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება „შუშანიკის მარტვილობის“ ტექსტში, რომელშიც ჩამოთვლილია სხვადასხვა სამკურნალო საშუალებები, როგორებიცაა მაგ; „სალბუნი“ (მაღამო) და წამალი, მოცემულია სამკურნალო საშუალებების ერთგვარი კლასიფიკაცია; ისინი დაყოფილია დასაღვე და გარეგან წამლებად. გადმოცემულია აგრეთვე დაავადებათა სიმპტომები. სულიერი წონასწორობის დაკარგვას იაკობ ხუცესი ასე ახასიათებს –

„ყოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“ – აქ ცოფი აფექტში მყოფი ადამიანის ავადმყოფურად აგზნებული ქცევაა (ბურდული 2009: 24-34). (ფოტო 7)

აქვე მოხსენიებულია კეთრის დაავადება, რომელსაც იაკობ ხუცესი „განბორების“ სახელით მოიხსენიებს: „იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვ, რომელსა განბორებისა საღმობაჲ აქუნდა. და მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა. ხოლო იგი ასწავებდა მას, რაფთამცა დაუტევა მოგობაჲ იგი და იქმნა იგი ქრისტიანე“. (ძეგლები 1963: 23).

VI საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სირიიდან მოვიდნენ ასურელი მამები იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით, მათ ქართლ-კახეთის მხარეში მონასტრები დააარსეს, რომელთა ნაწილი (დავით გარეჯი, შიო მღვიმე) მნიშვნელოვან სულიერ, მნიგნობრულ და კულტურულ კერებად იქცნენ.

იოანე ზედაზნელის ცხოვრების ავტორს თხზულებაში მოხსენიებული აქვს სხვადასხვა დაავადება: სიბრმავე, სიყრუე. ტექსტის მიხედვით, მას მოუყვანეს „განრღუეული (ხეიბარი), ვინმე და ყოვლითურთ დაქსნილი ასოფთა, საწყალობელი სახილველი“.



ფოტო 7.

ხეც, A 95. პარხლის მრავალთავი, შუშანიკის წამება.

ასევე მოთხრობილია წმინდა მამის მიერ სულით ავადმყოფი ადამიანის, „რომლისა შორის დამკვიდრებულ იყო ეშმაკი უტყუებისა“, განკურნების ამბავი (ძეგლები 1963: 191-217).

VIII საუკუნის ბოლო ათწლეულში კლარჯეთში დამკვიდრდა გრიგოლ ხანცთელი, რომელმაც ამ მხარეში საფუძველი ჩაუყარა დიდ სამონასტრო მშენებლობას.

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია მრავალი დაავადება. მათ შორის: მტერი – ეპილეფსია (შეიძლება ისტერიული გულყრებიც იგულისხმებოდეს); ხელ-ფეხი „მიხუმულ, პირი „გარემოქცეულ“ (აღწერილი უნდა იყოს დამბლა) – „ესე ნეტარი იყო ოდესმე მახლობელად შატბერდისა, და სარწმუნოებით მო-ვინმე-ვიდა მისსა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ჴელთა ძჴ თვისი მცირე ვითარ ორისა წლისაჲ, რომლისა ჴელნი და ფერჴნი მტერისაგან მიხუმულ იყვნეს და პირი გარე-მიქცეულ იყო“ (ძეგლები 1963: 294). სისხლის დინება – სისხლისდენა ქალის შარდ-სასქესო ორგანოებიდან; შობითგან ყრუ და უტყვი (თანდაყოლილი ყრუ-მუნჯობა); სენი, რომელსაც „კურთხეულ“ ეწოდებოდა, ხოლო ძველად ჰრქვიან სატალი (ძეგლები 1963: 302). ამ მაგალითის მიხედვით, სავარაუდებელია, რომ გრიგოლ ხანცთელის დროინდელ მედიცინას განვითარების გარკვეული ეტაპები ჰქონდა გავლილი, რადგან შედარებით ადრე ამ დაავადებას სხვა სახელი ერქვა (შენგელია 1980: 99). „წრდიალი (ძეგლები 1963: 298), რომელსა ჰრქვიან ნიკრისი (პოდაგრა, ნიკრისი); „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ შემდეგ ნიკრისის დაავადება მოხსენიებულია „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“. გიორგი მთაწმინდელის თქმით, ნიკრისის დაავადებით დასნეულდა იოანე ათონელი „და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა“ (ძეგლები 1967: 55).


დაავადებების შესახებ საინტერესო ცნობებს ინახავს ასევე „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტი.

ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (X ს-ის I ნახევარი) აღწერილია კაცის დაავადება: სერაპიონ ზარზმელის გარდაცვალების შემდეგ „მოინია (სერაპიონ ზარზმელის ცხედართან) კაცი ვინმე დიდად განჴმელი, რომელი ფრიად რაჲმე სასტიკებით განიჭრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა, რამეთუ სისხლი წარსდიოდა სარცხვენელსა მისსა და ჴმობდა ჴმითა უშუერითა“ (ძეგლები 1963: 343). თხზულებაში ასევე მოთხრობილია თვალის დაავადებით დასნეულებული ადამიანის განკურნების ისტორია. წმინდანის კუბოსთან მივიდა ადამიანი, რომელსაც მარჯვენა თვალი სტკიოდა და მხედველობა სრულად დაკარგული ჰქონდა (ძეგლები 1963: 346).

IX საუკუნეში საქართველოს ეკლესიის გამორჩეული წარმომადგენელი იყო ილაარიონ ქართველი. მის სახელს დავით გარეჯის განახლება და საზღვარგარეთ მონასტრების დაარსება უკავშირდება. „ილაარიონ ქართველის ცხოვრების“ ტექსტში არაერთი დაავადებაა აღწერილ-მოხსენიებული, რომლებიც წმინდანის მიერ სასწულეებრივ განკურნებას უკავშირდება: ყმანვილის მტკივანი ფეხის განკურნება კანდელის წმინდა ზეთით; „მკელობელ“, კოჭლ კაცს უფლის სახელით „განემართეს ფერჴნი მისნი“;

პარალიზებული ბავშვის ფეხზე წამოყენება; მთავრის ვაჟის პროკოპის განკურნება ილარიონის ლუსკუმასთან მისი სასწაულებრივი გამოცხადების შემდეგ – ილარიონმა მას მუცელზე ხელი დაადო, ილოცა და დაავადებისაგან განკურნა (ქეგლები 1967: 9-37).

საბანმიდის მონასტერში მოღვაწე მარტვრი ქართველის (მონაზონის, VI-VII სს.), ორიგინალურ ნაშრომში „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, რომელიც დაწერილი იყო ბერების სახელმძღვანელოდ, ჩართულია მეცნიერული ცნობები ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური ბუნების შესახებ, სადაც მისი ბიოლოგიური ბუნება – სხეულის ცალკეული ორგანოების შეთანხმებული ქმედებები საზოგადოების ერთიანობასთან არის შედარებული: „ჩვენ ვართ ერთი გვამი – ერთი საზოგადოება და ყოველი ჩვენგანი არის ერთი ასო ან წევრი ამ გვამისა“ (აბულაძე 1955: 176).



ფოტო 8.

ხეც, A 95. პარხლის მრავალთავი, საბანმიდელი ბერების წამება.

მაკარი მესხის (XIII-XIV სს.) „პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“ (ქართული პროზა 1982: 429)¹ მოხსენიებულია რიგი დაავადებები, რომლებსაც ნეტარი პეტრე, უფლის შენწნით, ლოცვით მკურნალობდა: მისი ლოცვით განიკურნა „ვინმე საჭურისი, სახელით იოვანე“: „*ჟამსა ერთსა გამო-რაიმე-აჯდა პირსა იოვანესსა და დაესხა ურვილი და სჭამდა პირსა მისსა*“ (გვ. 31); სხვა დროს „*შევიდა სნებაჲ სასიკვდინე იოვანესსა*“, ლოცვის შედეგად „*განეყარა ქეცი ყოველსა გუამსა მისსა*“ (გვ. 36-37). მრავალი სასწაული ქმნა ღმერთმა ნეტარი პეტრეს ხელით ალექსანდრიაში: „*მრავალნი ეშმაკეულნი და ბრმანი და მკელობელნი და კეთროვანნი განკურნეს*“ (გვ. 38); ლოცვით განკურნა „*ჰურია, თევზისა მონადირე, რომელი იყო წყლით მანკიერ და მუცელი მისი განსივებულ იყო სასტიკად*“ (გვ. 54). ნეტარი პეტრეს წმინდა ნაწილებისა და სამოსლის შეხებისთანავე განიკურნებოდნენ „*უძღურნი და სენითა დიდითა შეპყრობილნი ... ღრენკილნი და განრღვეულნი*“ (გვ. 57). (ქართული პროზა, III, 1982, 31-57).

სამედიცინო ცნობები და შესაბამისი ლექსიკა არის დაცული სტეფანე მანსურის ძე დამასკელის (VIII ს.) ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „საბანმიდელი ბერების წამება“². დასახელებულია ბერების საძმოდან „ამბა თომა“, რომელიც იყო „მკურნალი ... და მოძღუარი ხელოვანი კურნებასა“; იგი ნაცემ ბერებს „*ძუალებსა დაღენილსა შეუნყობდა და შეუბრძვნებდა (შეუხორცებდა), ვითა კეთილი ხუროთმოძღვარი*“. თხზულებაში ვრცლად არის აღწერილი ადამიანის სხეულიდან სულის ამოსვლის ფიზიოლოგიური სურათი კვამლით ხრჩობის შედეგად, როდესაც ელემენტები იხშობოდა (სტკეისნი იგი შეიჭვოდე) და არტერიები იხურებოდა (ნესტუნი შეიყოფოდე), კვამლით ივსებოდა სასუნთქი ორგანო (დაიტენა საშუმიწველი), ვიდრე მიაღწევდა ტვინამდე და სრულად დაფარავდა“. (ფოტო 8)

თეოდორე აბუკურას ანტიმუსლიმური პოლემიკური ნაშრომის ქართულ თარგმანში (მთარგმნელი არსენ იყალთოელი, XI-XII სს.) აღნიშნულია, რომ მუჰამადი დაავადებული იყო „სენითა შავნალულიანობისათა“ ამ სენის სახელწოდება სამედიცინო ხელნაწერებში გვხვდება ფორმით: მალიხულია (მელანქოლია).

ადრე ფეოდალური პერიოდის დასაწყისშივე აღინიშნებოდა სამედიცინო მომსახურების ის ძირითადი ფორმები, რომლებიც ამ პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი: მოხუცთა და უძღურთა თავშესაფრები, საავადმყოფოები, სამედიცინო-კულტურული კერები სამეფო და სავაჭრო ქალაქებში, დიდ ფეოდალთა სარეზიდენციო ქალაქებსა და საეკლესიო-კულტურულ ცენტრებში (შენგელია 1980: 86).

¹ „პეტრე იბერიელის ცხოვრება“ ბერძნულ ენაზე იოანე რუფუსმა (V-VI სს.) აღწერა, რომლის სირიული რედაქცია გადარჩა და, რომელსაც ეყრდნობა მაკარი მესხის (XIII-XIV სს.) ქართული თხზულება. პეტრე იბერი (პეტრე ქართველი) მეცნიერებაში გაიგივებულია V საუკუნის უდიდეს მოაზროვნე – ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან (იხ. ქართული პროზა, III ტ., თბ., 1982, გვ. 429).

² ხეც-ში თხზულება მომზადებულია გამოსაცემად სამი ხელნაწერის (ბოდლე №1, A-95 და A-188) მიხედვით.

V საუკუნეში პეტრე იბერის ხელმძღვანელობით იერუსალიმში საავადმყოფო აშენდა: „და რაოდენთამე დღეთა შემდგომად კუალად მოიქცეს იერუსალჴმად და იყოფოდეს მათ მიერ აღშენებულსა მონასტერსა, და სხუაცა მონასტერი აღაშენეს და სასნეულო“ (ძეგლები 1967: 235).

იერუსალიმის ახლოს, საბანმინდაში, სასნეულო არსებობდა, სადაც „ხელოვანნი მკურნალნი“ მოღვაწეობდნენ. IX საუკუნის მოღვაწე ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ მასთან დახმარებისათვის მიდიოდნენ „რომელნიმე სარგებლობისთვის სულისა და რომელნიმე კურნებისათვის ჴორცისა“. საავადმყოფო, „სასნეულო“ არსებობდა ივირონის მონასტერშიც, XII საუკუნის შუა წლებში მიქაელ ხუცესმა შესწირა ფული საავადმყოფოს ასაშენებლად (ივირონის აქტები 2008: 6, 53).

მემატიანის გადმოცემით, გელათში დავით აღმაშენებლის თაოსნობით აშენდა სასნეულო – ქსენონი: „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა“, რომელშიც სხვადასხვა სენით დაავადებულებს სამკურნალოდ ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი (ქართლის ცხოვრება 1996: 253-254).

ძველი ქართული სამედიცინო ენციკლოპედიური ნიგნები და კარაბადინები

ჩვენამდე მოღწეული სამედიცინო ხელნაწერებიდან ყველაზე ადრეულია ეტრატზე გადანერილი ერთადერთი ნუსხა S 4939, მის 25v-28r ფურცლებზე ქვედა პალიმფსესტურ ფენაში გამოვლინდა სამედიცინო ტექსტის მცირე ფრაგმენტი, სადაც ამოკითხულია: „სისხლი ... თირკმელი ... საჭამადად – ჯორცი მსუქანი ...“, ასევე ბოსტნეულისა და ხილის სახელები და სხვ. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ტექსტი XIII საუკუნით თარიღდება (ქართული პალიმფსესტები 2017). (ფოტო 9)




ფოტო 9.

ხეც, S 4939, პალიმფსესტი.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი Q 26 (XIII ს.) შეიცავს ჩვენამდე მოღწეულ უპირველეს სამედიცინო შინაარსის ფუნდამენტურ თხზულებას – ქანანელის „უსნორო კარაბადინი“. თხზულების მეორე ნუსხა №13 (23), გადანერილი XVIII საუკუნეში, დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის (პეტერბურგი) ქართულ ხელნაწერთა ფონდში. ამ ორი ნუსხის (თბილისური Q-26 და პეტერბურგული №13 (23) საფუძველზე გამოსცა აღნიშნული თხზულება (უსნორო კარაბადინი 1940) ქართული სამედიცინო ლიტერატურის პირველმა მკვლევარმა, ლადო კოტეტიშვილმა. (ფოტო 10)

თხზულების სახელწოდება აღებულია ტექსტის დასაწყისში მოცემული ფრაზიდან: „ესე უსნორო კარაბადინი მრავალგვარად ჭირნახული არის და სნეულიცა მრავალი მოურჩენია დიდთა სენთაგან დამძიმებული“. „უსნორო კარაბადინის“ პირველ (1940 წ.) გამოცემას ავტორად ქანანელი აწერია. ლ. კოტეტიშვილი თბილისური ნუსხის 180v ფურცელზე უძველესი მხედრულით შესრულებულ მინაწერში მოხსენებულ ქანანელს



ფოტო 10.

IBP PAH №13 (23), უსნორო კარაბადინი.

ავტორად ვარაუდობდა, „ღმერთო, შეინყალე ფრიად ცოდვილი დანბუბი, ყოვლად წმინდა მძლავრისი სატოსი ... ვინც ესე ნაიკითხოთ, ცოდვილსა ქანანელს [შენდობას] უბრძანებდეთ“.

თხზულებაში გამოვლენილი ენობრივი თავისებურებებისა (ქართული არქაული ლექსიკა და გრამატიკული ფორმები) და დამონმებული ავტორების მოღვაწეობის წლების საფუძველზე, მკვლევრები ნაშრომს X-XI საუკუნეებით ათარიღებენ.

„უსწორო კარაბადინი“ კომპილაციური თხზულებაა. შემდგენელი მას „უსწოროს“ ანუ სწორუპოვარს უწოდებს, ვინაიდან მასში გამოყენებული აქვს იმ დროისათვის ცნობილი ბერძენი (გალიანე / გალიანოზ / ჯალინოზი, დიპოკრატე/ ბაგრატი) და არაბულენოვანი ავტორების (მაჰმად ზაქარიასშვილი/მუჰამედ იბნ ზაქარია არ-რაზი, მისარჩუბე/მასარჯუა, საკი/აბუ იაკუბ იბნ სულაიმან ალ-ისრაილი, საბინ ყარაშვილის/ საბით იბნ კურრა, ხოჯა სინან/იბნ სინა) თხზულებებში გადმოცემული სამედიცინო იდეები; ასევე შეტანილი აქვს ქართული ხალხური სამკურნალო მეთოდები და საშუალებები; დამონმებულია ასევე, „ბაბილოვნელნი ბრძენნი და ფილასოფოსნი“ და მათი უძველესი სადიაგნოსტიკო მეთოდი „ნიშანი ჳელთა ბანისა“, რაც მიანიშნებს უძველესი კავშირების შესაძლებლობაზე ბაბილონურ და ძველ ქართულ მედიცინას შორის.


თხზულება სამი დიდი განყოფილებისგან შედგება: პირველში მოკლედ არის გადმოცემული ზოგადი საექიმო პრინციპები; მეორე განყოფილებაში გადმოცემულია კერძო პათოლოგია და თერაპია, შინაგანი ორგანოების დაავადებათა მოკლე აღწერა და მკურნალობა; შემდეგ ნაწილში აღწერილია გარეგანი (ტრავმული და კანის) სნეულებები: მოტეხილობა, დამწვრობა, გველისა და ძაღლის ნაკბენები და სხვ., რასაც მოსდევს ჰიგიენურ-დოქტორული ხასიათის ცნობები და ბოლოს, თხზულება მთავრდება მარტივი (ერთკომპონენტური, მცენარეული) წამლების ჩამონათვალით. თხზულების შემდგენელი არაბულენოვანი ავტორების შრომებით სარგებლობდა (სადაც ბერძენი ავტორების სახელებიც კი არაბიზებული ფორმით არის დამონმებული). აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო ტექსტში არაბიზმების, განსაკუთრებით სამედიცინო ლექსიკის არსებობა, რაც ტექსტოლოგიური კვლევებითაც დასტურდება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უსწორო კარაბადინი არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ფუნდამენტური სპეციალური სამედიცინო ნაშრომი, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული იმ დროისთვის არსებული სრული სამედიცინო ცოდნა, გამოკრებილი წერილობითი ძეგლებიდან და ხალხური მედიცინიდან.

უსწორო კარაბადინს აქტიურად მოიხმარდნენ როგორც თანამედროვენი, ისე შემდეგი დროის მწიგნობრები. იგი თითქმის მთლიანად არის შეტანილი ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნში (XV ს.); მატენადარანულ ქართულ ხელნაწერში (№ 18, XV ს.), რომლის ფარმაკოლოგიური ნაწილი უსწორო კარაბადინის ტექსტის ფრაგმენტს (17 ფ.) წარმოადგენს. მისი დიდი ნაწილი შეტანილია „იადიგარ დაუდის“ იოანესეულ ნუსხაში და სხვ. თხზულების პოპულარობის მაჩვენებელია XVII საუკუნის სო-

მხურ ხელნაწერში (მატენ. № 412, XVII ს.) დაცული სამედიცინო თხზულება, რომელიც ილ. აბულაძის კვლევის თანახმად, წარმოადგენს უსწორო კარაბადინის სომხურ თარგმანს (აბულაძე 1985).

მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში (სომხეთი), დაცული ქართული ხელნაწერი № 18 სამედიცინო თხზულებაა. ხელნაწერი პირველად ქრისტიანე შარაშიძემ აღწერა (შარაშიძე 1986). აღნიშნულ ნუსხაში წარმოდგენილია სამედიცინო თხზულება „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ამ ერთადერთი, XV საუკუნის ხელნაწერით („ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია 2018). (ფოტო 11)



ფოტო 11.

Mat. 18, „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია.

„ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის ძირითადი წყაროს („ზახირაი ხუარაზმშაჰის“) ავტორი, ზაინ ად-დინ აბუ იბრაჰიმ ისმაილ იბნ ჰასან იბნ ალ-აჰმად იბნ მუჰამად ალ-ჰუსაინი ალ-ჯურჯანი (+1136 წ.) წარმოშობით ირანიდან, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გურგანის პროვინციიდან იყო და სასახლის კარის ექიმად მსახურობდა ხორეზმის მმართველის კუტბ ად-დინ მუჰამად იბნ იამინ ად-დინ ხუარიზმშაჰის (1097-1127 წწ.) კარზე. აღნიშნული თხზულებაც მისი ბრძანებით დაწერა და მუსლიმური ტრადიციის მიხედვით მასვე მიუძღვნა¹.

მატენადარანული ხელნაწერი ნაკლულია; ამასთანავე რესტავრაციის დროს არეულად არის აკინძული. ტექსტის თანამიმდევრობით დალაგების შემდეგ გაირკვა, რომ დაკარგულია თხზულების თითქმის ერთი მესამედი. თხზულება წარმოადგენს თეორიული მასალის სისტემატურ კურსს მედიცინაში, რომელიც სახელმძღვანელოდ იყო შედგენილი. შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან: I-II წიგნები და მესამე – ფარმაკოლოგიური ნაწყვეტი. I ნაწილი (წიგნი) ნაკლულია, შემორჩენილ ტექსტში გადმოცემულია ადამიანის ანატომიური და ფიზიოლოგიური ცნობები: II წიგნში გადმოცემულია ჯანმრთელობისა და სნეულებების სიმპტომები; აღწერილია დიაგნოსტიკის (აარაზის) მეთოდები პულსის (მაჯასის), შარდის (წყალის ან ფსელის), განავლისა (ნავლის ან ფიტის), ნახველის, ოფლის ფორმების საფუძველზე; მესამე ნაწილი ფარმაკოლოგიური ცნობების ფრაგმენტია (17 ფ.), რომელიც იწყება ფრაზით: „სხუა ნიშანი, მანსურისაგან გამოღებული, სნეულობისა ცნობისა“ და, რომელიც უსწორო კარაბადინის დასაწყისს მისდევს.


„ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართულ ვერსიაში, ძირითადი წყაროს გარდა, გამოყენებულია ძველი და თხზულების თანამედროვე ავტორების ფუნდამენტური შრომები, როგორცაა გალენის „ანატომია“ („ჯალინოზის თაშრიჰი“); მუჰამად იბნ ზაქარია არ-რაზის (რაზესის) „ჰავის წიგნი“; იბნ სინას (ავიცენას) „სამედიცინო კანონი“ და სხვ.

ენობრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი არაბიზმები – ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური, სადიაგნოსტიკო, ასევე არასამედიცინო ლექსიკა და გრამატიკული კატეგორიების კვალი, ასევე თარგმნისას გაპარული სიმპტომატური ნონსენსები – ადასტურებს „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის ლიტერატურულ წყაროდ თხზულების არაბული თარგმანის „ზახირათ ხუარიზმშაჰის“ გამოყენებას. საქართველოში არსებული პოლიტიკური, კულტურულ-ლიტერატურული პროცესებისა და გელათის აკადემიაში მიმდინარე საგანმანათლებლო და მთარგმნელობითი საქმიანობის გათვალისწინებით, „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია XII საუკუნის ბოლოს უნდა იყოს თარგმნილი („ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია 2018).

¹ მუსლიმურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციით, ავტორები თხზულების სათაურში ხშირად უკვდავყოფდნენ მათი მფარველების ან თხზულების დამკვეთების სახელებს; ალ-ჯურჯანიც მისდევს აღნიშნულ ტრადიციას.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული ნუსხა S-1274 შეიცავს ფუნდამენტურ სამედიცინო თხზულებას „წიგნი სააქიმო“. ანდერძის თანახმად, „ესე წიგნი სააქიმო, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქრისტეს მიერ პტნიჲ ✠ [პატრონი ჭყონდიდელმან], მისმან მწიგნობართუხუცესობამან, პროტოე უპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონებაჲ მოზავემან და საღმრთოთა მსჯავრთა მართლმსაჯულმან და ჯელისაღმპყრობელმან უღონოთა და ქურივთამან, ქართულად მათარგმნინა მე მინასა მათსა ხოჯაყოფილსა“, ცნობილი ხდება, რომ ხოჯაყოფილმა თხზულება ქართულად თარგმნა XIII ს-ის დასაწყისში. (ფოტო 12)

ხელნაწერში დაცული სამედიცინო თხზულება, ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმო“ (წიგნი სააქიმო 1936) ენციკლოპედიური ნაშრომია და შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი ეხება ზოგად ფილოსოფიურ-საექიმო თერაპიას. მასში გადმოცემულია მედიცინის მნიშვნელობა და სარგებლობა; ექიმის მოვალეობანი, ფილოსოფიური



ფოტო 12.

ხეც, S 1274, წიგნი სააქიმო.

შეხედულებანი ადამიანის ბუნების შესახებ; ადამიანის ანატომიური აგებულება და სხვ. მეორე ნაწილში აღწერილია კერძო პათოლოგია და თერაპია, რომელშიც ადამიანის სხეულის ყველა ორგანოა განხილული – ინყება თავისა და მისი მომცველი ორგანოების (თვალის, ცხვირის და ყურის, პირის და კბილების, ენის და ბაგეთა) დაავადებათა მკურნალობით; შემდეგ მოსდევს გულის, მუცლის და მასში მოთავსებული ორგანოების მკურნალობანი; ზურგისა და სახსრების სნეულებანი; ბოლოს, აღწერილია გარეგანი (კანის) დაავადებანი და სიმსივნეები; სიცხიანი (ცხროიანი) სნეულებანი; ტრავმები და დამწვრობანი, ქვენარმავალთა ნაკბენები ... თითოეული ორგანოს მკურნალობასთან დამონმებულია, ხშირად, რამდენიმე ექიმის მიერ გამოყენებული სამკურნალწამლო საშუალებანი.

თხზულება გამოირჩევა ავტორთა სიმრავლით, მასში 22 ავტორის სამკურნალო მეთოდებია დამონმებული; მოხსენიებულ ავტორთა ცხოვრების ქრონოლოგიური ზედა ზღვარი XI საუკუნეა, ამდენად, „ნიგნი სააქიმოჲს“ ორიგინალი XI-XII საუკუნეებში უნდა იყოს დაწერილი.


ბასიანის ბრძოლაში ნადავლის სახით მოპოვებული საექიმო ნიგნის ორიგინალი ჯეროვნად შეაფასა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა, რომელიც ქვეყანაში უპირველესი მოხელე იყო და, მეფის შემდეგ, სამეფოს პირველი პირის უფლებებით სარგებლობდა (მესხია 1979: 29-34). მისი ბრძანებით შესრულებული ხოჯაყოფილის ქართული თარგმანის სახით შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო მწერლობას მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ნაშრომი შეემატა.

„ნიგნი სააქიმოჲს“ მთარგმნელის, ხოჯაყოფილის ღვანლს სათანადოდ აფასებდნენ ქართველი მკვლევრები¹. თხზულების წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მას არაბულიდან თარგმნილად თვლიდნენ ე. თაყაიშვილი (Такайшвили 1903: 642-643), ი. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1935: 268) და ლ. კოტეტიშვილი (კოტეტიშვილი 1936: XXI). თხზულებას ქართულ ორიგი-

¹ლ. კოტეტიშვილი აღნიშნავდა: „ამეპოქის მეცნიერ-ფილოსოფოსთა სახელოვან ჯგუფს, რომელსაც შეადგენენ ისეთი სახელები, როგორებიც არიან: იოანე მტბევარი, სინელი, არსენ ნინონმიდელი, ანტონ ჭყონდიდელი, იოანე ბოლნელი ... ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრინი და მრავალი სხვა, უნდა მიემატოს არანაკლებ ბრწყინვალე ქართველი მეცნიერ-ექიმის „ხოჯაყოფილის“ ფსევდონიმ ქვეშ ამოფარებული სახელიც; ხოლო იმდროინდელ საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმანების საკმაოდ დიდ რიცხვს უნდა მიემატოს წინამდებარე „ნიგნი სააქიმოჲს“, რომელიც წარმოადგენს იმ დროინდელი საქართველოს წერილობითი მედიცინის ერთ-ერთ თვალსაჩინო ძეგლს“ (კოტეტიშვილი 1936: XX-VII). ილ. აბულაძის თვალსაზრისით: „[ხოჯაყოფილი] შემთხვევითი მწიგნობარ-მთარგმნელი კი არ არის, არამედ მკურნალი-მწიგნობარია, რომელიც განვრთნილია როგორც უცხო, ისე მშობლიურ სამკურნალო მწერლობაში. მისი თარგმანის მაღალი თვისებები ნაყოფია გარკვეული ტრადიციისა, რომელიც საქართველოში წინა საუკუნეებში უნდა შემუშავებულიყო“ (ილ. აბულაძე, შრომები, IV, 1985).). ჩვენის მხრივ, აღვნიშნავთ ტექსტიდან ერთ მაგალითს, სადაც მთარგმნელი მამაკაცის სასქესო ასოს სკაბრეზულ სახელს კორექტულად წერს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობით: „ნიშანი სისხლისა დენისაჲ რვაას ოცდათხუთმეტისაგან“ (წ. ს. 1936, გვ. 216).

ნალურ ძეგლად მიიჩნევა მ. შენგელია (შენგელია 1956: 60). ნიკო მარის ვარაუდით კი, შესაძლოა, მისი თარგმანი შესრულებული იყოს სპარსულიდან, ანდა სომხურიდან. ამიტომ იგი ძეგლის წყარო ენის დადგენისათვის ტექსტის დეტალურ შესწავლას მოითხოვდა (Mapp 1908: 204). ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის სპეციფიკური არაბიზმები (სამედიცინო ლექსიკა, არაბული გრამატიკული კონსტრუქციები, გაქართულებული არაბული ძირები, არაზუსტი თარგმანის შემთხვევები, რიგი სტილური თავისებურებები), რაც შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ არაბული წერილობითი წყაროს გავლენით (სამყურაშვილი 1985: 56-61). ლ. კოტეტიშვილი „ნიგნი სააქიმოს“ არაბულ წყაროდ იბნ რუშდის (ავეროისის) სამედიცინო თხზულებას „ქითაბ ალ-ქულლიას“ ვარაუდობდა, თუმცა ტექსტების შედარებამ ეს ვარაუდი არ დაადასტურა.

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო ნიგნი – კარაბადინის“ შემცველი ხელნაწერი თორნიკე ჭყონიამ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის წევ-



ფოტო 13.

ბეც, Q 877, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო ნიგნი – კარაბადინი.

რმა) ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდიდან (რუსეთის ფედერაცია) ჩამოიტანა და გადასცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, რომელსაც მიენიჭა ნომერი Q-877.


ხელნაწერის ისტორიის საინტერესო დეტალს წარმოადგენს მასში ჩადებული ბატის ფრთა და ერთი ფურცელი, რომელზეც ვახტანგ VI-ის ხელით არის ჩანწერილი: „ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევანყობინეთ და შევაკვრევინეთ სახმარად და სასარგებლოდ კაცთათვის და საქმარისად ყოველთა, ქორონიკონს ტჟზ“, რაც 1709 წელს უდრის. მაშასადამე, ვახტანგ VI-მ, რომლის ღვანლი ცნობილია ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, იზრუნა ამ სამკურნალო წიგნის აღდგენა-დაცვაზეც. (ფოტო 13)

ხელნაწერს დასაწყისი აკლია, ამდენად, უცნობია, თხზულებაში ავტორი მითითებული თუ იყო, მაგრამ რამდენჯერმე მოხსენიებულია ტექსტში ზაზა „მკურნალისა“ და „ბრძენთმთავრის“ სახელით. ხოლო ძეგლის II ნაწილი ასე იწყება: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი ფანასკერტელი ზაზა, ამინ“. არსებული ინფორმაციის საფუძველზე თხზულების ავტორად ზაზა ფანასკერტელი იგულისხმება. ზაზა ტაოს მკვიდრი, უძველესი ფეოდალური გვარის, ფანასკერტელების შთამომავალი იყო, რომლის ერთი შტო XV საუკუნიდან ქართლში დამკვიდრდა და აქედან მიეცა დასაბამი ფანასკერტელ-ციციშვილების გვარს. ხელნაწერში მოხსენიებული ზაზა ფანასკერტელი ცნობილი ისტორიული პირია, მეფის ერთგული. ყინწვის ეკლესიაში შემონახულია ზაზას ფრესკული პორტრეტი.

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“ ერთი მთლიანი თხზულება არის. მისი ორი შემადგენელი ნაწილი ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული. სტილური და ლექსიკოლოგიური შესწავლა უჩვენებს, რომ თხზულება ერთი ავტორის ხელიდან არის გამოსული. თხზულება კომპილაციურ ნაშრომს წარმოადგენს. ლიტერატურულ წყაროდ გამოყენებულია ძველი ქართული სამედიცინო ძეგლები, მაგალითად, როგორცაა X-XI საუკუნეების „უსწორო კარაბადინი“; გარდა ამისა, თხზულება გავრცობილია სხვა უცნობი ქართული სამედიცინო წიგნებიდან ამოკრებილი თეორიული და პრაქტიკული რჩევებით, ხალხური მკურნალობის მეთოდებით. წიგნის პირველ ნაწილში (ფფ. 1-24r) გადმოცემულია მედიცინის ზოგადი საკითხები: ჰიგიენა, დაავადებათა გამოკვლევისა და დიაგნოსტიკის საკითხები; სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ფორმები, მათი გამოყენებისა და ტექნოლოგიის პროცესები; მეორეში განხილულია პათოლოგიისა და თერაპიის ძირითადი საკითხები, ცალკეულ ორგანოთა დაავადებები და მათი ნიშნები, ვრცლად არის აღწერილი მკურნალობის მეთოდები, სამკურნალო საშუალებების სხვადასხვა ფორმები. თხზულება მოიცავს მედიცინის თითქმის ყველა დარგს და ცალკეულ ორგანოთა დაავადებების აღწერასა და მკურნალობას. ამდენად, იგი ორიგინალური ქართული კომპილაციური ძეგლია; მასში უხვად არის გამოყენებული აღმოსავლური ტერმინოლოგია და სა-

მედიცინო პრინციპები, რაც ასე ახასიათებდა იმ პერიოდის მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურას. თხზულება იმ დროისთვის ფუნდამენტურ სამედიცინო ნაშრომად ითვლება. მედიცინის სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების დიდი ინტერესის მაჩვენებელია ის, რომ ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ რამდენჯერმე იქნა გამოცემული (ფანასკერტელი 1950; ფანასკერტელი-ციციშვილი 1978; 1986; 1988).

Q 270 ხელნაწერი სახელმწიფო მუზეუმმა 1928 წელს შეიძინა; მასში ქართული სამედიცინო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლი, დავით ბაგრატიონის (დაუთხანის) „იადიგარ დაუდია“ დაცული. გამოცემაში ვარიანტებად დართულია იმ დროისათვის ცნობილი თხზულების ყველა (ექვსი) ნუსხა; ძირითად ტექსტად კი Q 270 ხელნაწერია (XVII ს. I ნახ.) გამოყენებული, ვინაიდან იგი ყველაზე „უძველესი და უმოკლესი იყო“ (იადიგარ დაუდი 1938).



ფოტო 14.

ხეც, Q 270, დაუთხანი, იადიგარ დაუდი.

დავით მეფე (XVI ს.) იგივე დაუთხანი, ლუარსაბ I-ის ვაჟი იყო. მას ერთობ მღვლვარე პერიოდში მოუხდა მეფობა, როდესაც საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები – ირანი და ოსმალეთი პოლიტიკურად დაპირისპირებული იყვნენ და შესაბამისად, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ამ ორიენტაციებს შორის ირყეოდა. 1569-1578 წლებში დავითი საქართველოს მეფეა. იგი 1579 წელს სტამბულს გამგზავრა ორი წლით, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე იქ მოუწია დარჩენა, სადაც 1585 წელს აღესრულა. დავით მეფის პოლიტიკური მოღვაწეობა წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა სამწერლო ასპარეზზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა; „იადიგარ დაუდის“ სახით მან ქართულ სამედიცინო ლიტერატურას მნიშვნელოვანი ნაშრომი შესძინა.

როგორც თხზულების წინასიტყვაობაში აღნიშნავს, სტამბულში ცხოვრების დროს იგი ცნობილ მწიგნობრებსა და მათ წიგნსაცავებს გაეცნო, სადაც მრავალი სამეცნიერო და საექიმო წიგნი ნახა; მათგან „ორი თათრული წიგნი“ – „მუნთახაბ შაფი“ (რჩეული, გამოკრებილი მკურნალობა) და „იადიგარ შარიფი“ (ჩემი სახე, მოსაგონებელი) გამოარჩია, რომლებიც მისივე თქმით, გამოკრებილი იყო მრავალი საექიმო წიგნიდან. ამ წიგნების მსგავსი საქართველოში არ იშოვებოდა, რის გამოც იქ სწეულებს ვერ კურნავდნენ. ამიტომ დავითმა ეს საექიმო წიგნები გადმოთარგმნა, გააერთიანა, დაუმატა თავისი მიგნებული სამკურნალო დარიგებები და ამგვარად შედგენილ თხზულებას „იადიგარ დაუდი“ უწოდა. შუა საუკუნეების ფუნდამენტურ სამედიცინო თხზულებებს შორის ეს ერთადერთი სამედიცინო თხზულებაა, რომელშიც დასახელებულია ავტორი „ცოდვილი დაუთხანი“. (ფოტო 14)

„იადიგარ დაუდი“, თხზულების ანდერძის თანახმად, კომპილაციური, მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომია, რომელიც პრაქტიკული საქმიანობისთვის იყო გამიზნული. ავტორი თვითონ აცხადებს მისი დანიშნულების შესახებ, რომ „თუ კაცი ასეთ ალაგსა ავად გახდეს, რომე იქი აქიმი არ იყოს, ესე წიგნი დაიდვან წინა ... და უაქიმონ, რარიგადცა ამა წიგნშიგა ეწეროს ...“

თხზულება სამი ნაწილისგან შედგება: პირველი, ზოგადი საექიმო ნაწილი შეიცავს ცნობებს ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ. სასიცოცხლოდ შვიდი ორგანო (ასო) ითვლება: ტვინი, გული, ღვიძლი, ფილტვი, ნაღვლის ბუშტი, ელენთა (ტყირპი) და თირკმელი. ფიზიოლოგიური ცნობებიდან მთავარია საჭმლის მონელება (გადამუშავება და შეთვისება). საკვები სისხლძარღვების საშუალებით ყველა ორგანოს მიეწოდება. განხილულია ზოგადი და პირადი ჰიგიენის საკითხები (საცხოვრებელი სახლი და ტანსაცმელი); მეორეში განხილულია დიეტეტიკის საკითხები (საჭმელები, მაჯუნები, შარბათები), პროფილაქტიკა (სიარულის სარგებლობა, ძილისა და სიფხიზლის ზომიერება და რეგულარულობა, ტანის განმენდა და სხვ). მესამე ნაწილი შეიცავს კერძო პათოლოგიას, გადმოცემულია „ყოვლისფერი სენებისა და სატკივრების მიზეზები, მათი ნიშნები და ნამლები“.

„იადიგარ დაუდის“ ტექსტის აღმოსავლურ სავარაუდო წყაროსთან (ხეც. PAC 432) შედარების შედეგად საინტერესო სურათი გამოვლინდა. ქართული ტექსტი არ

წარმოადგენს სპარსული წყაროს პირდაპირ თარგმანს, თუმცა ამკარად იკვეთება მითითებული თხზულების უშუალო კვალი; ამასთანავე, სამედიცინო ტერმინოლოგია ფაქტობრივად არაბულ-სპარსულია (აბულაძე 2010).

ზემოთ განხილული სამედიცინო თხზულებებისგან განსხვავებით, რომლებმაც ჩვენამდე თითო-ორი ხელნაწერით მოაღწია, „იადიგარ დაუდის“ რამდენიმე ნუსხა არსებობს. თხზულების პოპულარობით გამონწეულმა ხელნაწერთა სიმრავლემ ერთგვარი გაუგებრობაც გამოიწვია და თითქოს სადავო გახადა დავითის ავტორობა. მითითებულ გამოცემაზე დართულ ვარიანტებში (ექვსი ხელნაწერია), რომლებიც მომდინარეობენ შემდგომი საუკუნის ექიმის, იოანეს მიერ ნარედაქციევი ნუსხიდან, დავითის ნაცვლად ავტორად დასახელებულია იოვანე.

საყურადღებოა „იადიგარ დაუდის“ ნუსხა კერძო კოლექციიდან, ე.წ. ალადაშვილისეული ხელნაწერი, რომლის შესახებ ექიმ ირაკლი კობერიძის ზეპირი ცნობიდან ვიგებთ¹. ეს ხელნაწერი ლ. კოტეტიშვილის გამოცემაში არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან იგი გვიან გამოვლინდა. ალადაშვილისეული ნუსხის საფუძველზე მამა-შვილმა იოსებ და ბენიამენ ქურჩიშვილებმა გამოსცეს დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდის“ დღემდე ცნობილი ყველაზე ადრეული (XVI ს.) ხელნაწერის სრული ტექსტი (იადიგარ დაუდი 1992).

კარაბადინები

სიტყვა კარაბადინი პირველად გვხვდება X-XI საუკუნეების სამედიცინო ძეგლში „უსნორო კარაბადინი“, რომლის ადრეული ნუსხა XIII საუკუნეშია გადაწერილი და აქედან მოკიდებული თითქმის ათი საუკუნის განმავლობაში ქართულ ხელნაწერებში კარაბადინის სახელწოდებით სხვადასხვა შინაარსის, შედგენილობისა და მოცულობის მრავალი სამედიცინო ცნობარია დაცული. კარაბადინების რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს: ადრეული წარმოშობის თხზულებები, რომლებიც შეიცავს დაავადებათა მოკლე აღწერას და მათ სამკურნალო რთულ (მრავალკომპონენტურ) და მარტივ წამლებს. კარაბადინთა ეს ჯგუფი მკაცრ სამედიცინო ცოდნაზე დაფუძნებული, სამკურნალოდ გამოყენებულია კლინიკურ-ექსპერიმენტული მეთოდები და ეს

¹ XIX-XX სს-ის მიჯნაზე სვანეთის სოფ. მულახის ეკლესიის მღვდელს სახალხო მხატვრის გრიგოლ პართენის ძე მესხის მამას, პართენ მესხს ეკუთვნოდა ჯაბადარისეული ხელნაწერი, რომელმაც, მოგვიანებით, თავის ქალიშვილს, ტერეზა პართენის ასულს მზითევში გაატანა (ლუკა იოსების ძე კობერიძემ ითხოვა ცოლად). ტერეზა მესხი-კობერიძე, როგორც სახალხო მკურნალი, აქტიურად იყენებდა ხელნაწერში აღწერილ სამკურნალო საშუალებებსა და მეთოდებს. შემდეგში, მის ვაჟს ცოლად შეურთავს ალექსანდრე ალადაშვილის და – ეკატერინე ალადაშვილი, რომლის ოჯახშიც გაეცნო ალექსანდრე ამ ხელნაწერს და დისშვილებს სთხოვა დაეთმოთ მისთვის; უარი ვერ უთხრეს...

პრინციპი მთელი თხზულებების მანძილზე არსად ირღვევა. ასეთი შედგენილობის კარაბადინთა ძირითადი საფუძველი აღმოსავლური პირველწყაროებია, რომლებსაც ამ პერიოდის ქართველი ექიმები კარგად იცნობდნენ და თავისი შრომების შედგენისას იყენებდნენ. ასეთებია, მაგალითად: „უსწორო კარაბადინი“, ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი-კარაბადინი, „იადიგარ დაუდი“.

მეორე ჯგუფი კარაბადინებისა უფრო მეტად ხალხურია, რომლებშიც სამკურნალო წამლების (უმეტესად მცენარეულის) მხოლოდ ჩამონათვალია მოტანილი ზომა-წონის გარეშე. შიგადაშიგ ლოცვებიც გვხვდება; ზოგჯერ შეტანილია მინერალური ბიდან (ლალი, ალმასი, ზურმუხტი, ფირუზი ...), ცხოველებიდან ან ფრინველებიდან მიღებული მასალის სამკურნალო თვისებები (ხასიათი). ამ ტიპის თხზულებებში შეიძლება შეტანილი იყოს საოჯახო-სანიტარული საქმიანობის – პარაზიტების (ბუზის, რწყილის, ბაღლინჯოს) სანინააღმდეგო, კულინარული (მურაბის ხარშვა, სასმელის მომზადება), ავეჯის მოვლის და სხვა სასარგებლო რჩევა-დარიგებანი; ზოგჯერ კი ვეტერინარული (ცხოველის სამკურნალო) რჩევებიც. ასეთი შედგენილობის თხზულებებს, პირობითად, შეიძლება „საოჯახო კარაბადინები“ ეწოდოს.

სამკურნალო წიგნების თავისებური ტიპია, ე.წ. მოზაიკური კრებულები, რომლებშიც საექიმო წიგნებიდან გამოკრებილ ცნობებთან ან კიდევ ხალხურ მკურნალობასთან ერთად, შეტანილია ასტრონომიული და გეოფიზიკური (ძვრისა, ქუხილისა) ცნობები; ხშირად ერთვის კალანდრა, რჩევები სამინათმომოქმედო სამუშაოების შესახებ; კვიმატი დღეების ჩამონათვალი; ნაწყვეტები სახარებიდან, ავგაროზი, ქრისტიანული ლოცვები, წარმართული შელოცვები და სხვ. დღეისათვის ცნობილ კარაბადინებში ამგვარია ყველაზე ძველი XV ს. ხელნაწერი კრებულის A 1110 კურთხევანის დასაწყისი ნაწილი (1v-116v). ხელნაწერი საყურადღებოა თავისი გაფორმებით და ტექსტის სიძველით.

ასეთივე მოზაიკური ტიპის თხზულებაა დაცული მომცრო ზომის XVII ს-ის. სამედიცინო ხელნაწერში (H 916) „აბრაამის კარაბადინის“ სახელწოდებით. შინაარსის მიხედვით კარაბადინი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი არის ასტრონომიულ-გეოფიზიკური ცნობები. მეორე ნაწილი – კარაბადინი მართალი და ჭეშმარიტი. აქ ჩამოთვლილია სწულებები და მოკლედ აქვს მიწერილი სათანადო სამკურნალო საშუალებები ზომა-წონის მითითების გარეშე; მაგალითად, „ვის თვალთა ნისლი ეფარებოდეს, კაპოვეტის თევზისა ნალუელი თუალთა ჩაუდევ“; ან „რომელსა მუცელი ქართა ებერებოდეს, თაფლი და თეთრი თუთაი სამსა დღესა უზმასა ასვ და ერგოს“. მესამე ნაწილში გაერთიანებულია ავგაროზი – „მკურნალი სენტა და საღმობათა და განმდევნელი ეშმაკთა და სულთა და ბოროტთა და არანმიდათა“. შემდეგ მოტანილია ნაწყვეტი სახარებიდან, წარმართული შელოცვები, წმინდა მამათა ქრისტიანული ლოცვები (მაოტებელად ეშმაკთა). აბრაამის კარაბადინის ერთი (სამკურნალო) ნაწილი გამოცემულია (ოთხი სამედიცინო 2009: 103-116).

ე.წ. „მოზაიკური კარაბადინები“, ფუნდამენტური სამედიცინო თხზულებებისგან განსხვავებული სისტემით არის აგებული; მათში ერთადაა თავმოყრილი ასტრონომიულ-გეოფიზიკური ცნობები და სასარგებლო რჩევები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ექიმობა, ქრისტიანულ-რელიგიური და მაგიურ-წარმართული მედიცინის ნიმუშები (ლოცვები, შელოცვები...). ეს ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება – დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა ყოველგვარი გარეშე ძალებისგან, სნეულებებისგან, ატმოსფერული ცვალებადობისგან.

სამედიცინო – სამკურნალო მასალის შემცველი თემატური და შერეული კრებულები

სამედიცინო თხზულებების, ცალკეული ტექსტისა თუ რეცეპტის შემცველი სასულიერო, საერო ან შერეული კრებულები მრავალფეროვანია და თავისი სოციალური ფუნქციის კვალად, ასახავს სხვადასხვა ეპოქისა თუ კულტურული გარემოს ტენდენციებს, მეცნიერ მნიგნობართა როლს დარგის განვითარებასა და მისი მიღწევების გავრცელებაში.


ამ თვალსაზრისით უპირველესად უნდა აღვნიშნოთ X საუკუნის უნიკალური ქართული ხელნაწერი, შატბერდის კრებული, S 1141 კლარჯეთში გადანიჭილი ერთგვარი საგანმანათლებლო დანიშნულების ანთოლოგია, რომელშიც წარმოდგენილია როგორც სასულიერო (ეგზეგეტური, დოგმატური, აგიოგრაფიული), ისე საერო შინაარსის თხზულებები (ისტორიული /„მოქცევაი ქართლისაი,“ „თუალთაი“, „საზომთათვის და სანყაულთა“, „მხეცთათვის“, გრამატიკული სქოლიოები), გრიგოლ ნოსელის, ეპიფანე კვიპრელის, დიონისე თრაკიელის, იპოლიტე რომაელის შრომები.

კრებულის პირველ თხზულებაში, გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტურ შრომაში „კაცისა შესაქმნისათვის“, ასახულია ანტიკური ხანიდან ბიზანტიაში შემორჩენილი მეცნიერული ცოდნის ანარეკლი, ანთროპოლოგიური ფილოსოფია, შერწყმული სამედიცინო ცოდნასთან და ნატურფილოსოფიასთან. მასში ადამიანი, მისი ფიზიკური არსი განიხილება პირველმენებების, მექანიკის, მედიცინისა და ფსიქოლოგიის დონეზე, გამოცხადებით ჭეშმარიტებასთან, ნვდომით და შემეცნებით უნართან კავშირში. ბიოლოგიური, სამედიცინო-ანატომიური აგებულებისა და ფსიქოლოგიურ-შემეცნებითი სასიცოცხლო ძალების განხილვის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულების 30-ე თავი – „სიტყუაი მკურნალთაგან, რომელი მოასწავებს ასოთა გუამთა კაცთასა დაბადებასა შინა მათსა და არს იგი გამოკრებილი“.

სხეული, რომელიც განიხილება მატერიალური ელემენტების შეერთების შედეგად მიღებულ არსად, მძიმეა, ცვალებადი და წარმავალი, თუმცა იგი მალლად მხედია, აქვს მეტყველების უნარი, რითაც დაფარული აზრების გაცხადება ხდება.

ნოსელი გამოყოფს სიცოცხლისათვის აუცილებელ სამ უმთავრეს ორგანოს – თავს/ტვინს – „მიზეზი სიცოცხლისაი, მომცემი სიცოცხლისა“, გულს – „დაწყება და ძირი სიმზურვალისა“, და ღვიძლს – „წყარო სისხლისაი“; განიხილება მათი ფუნქციები, ურთიერთკავშირი და მიმართება სხვა ორგანოებთან: მუცლის ორგანოებთან, ფილტვებთან: ერთმანეთისათვის შესაბამის დამატებებს წარმოადგენენ, როგორც, მაგალითად, კუჭი და ფილტვები, რომელთაგან ერთი (ფილტვები – გულის მეზობელი ორგანო) „სუნთქვით გულსა შინა ცეცხლს ალაგზნებს“, ხოლო მეორე (კუჭი) „შიგნეულობისათვის საზრდელს ითვისებს“; მოცემულია სასიცოცხლო პროცესების – სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის, მოძრაობის („ძრვანი იოგთანი ლართაგან/ნერვები/, რომელნი შეიოჭებიან და განიმარტებიან“). უმთავრესი კი სულია, რადგან კაცნი არიან „ჭური თვითმოდრავი სულისა“; მოცემულია ანატომიური დახასიათებები, ფიზიოლოგიური პროცესების, გრძნობის ორგანოების მოქმედების აღწერა.

გარკვეული სამედიცინო ინფორმაცია, კერძოდ, ძვირფას თვალთა/ მინერალთა სამკურნალო თვისებები მოცემულია ამავე კრებულში შესულ ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში „თუალთაი“, რომელიც აღწერს ბიბლიური აარონის მოსასხამის 12 ძვირფას ქვას.



ფოტო 15.

ხეც, S 1141, შატბერდის კრებული, „მხეცთათვის“.

მოვიტანთ ზოგიერთ ადგილს თხზულებიდან: სარდიონი მოარჩენს მუცელს და „ხსნილად შექმნის“, ტბაზიონი/ტოპაზი – მისი ნალესავი გამოიყენება მონამულთა მკურნალობისთვის, ასევე, „ბრუ-ქცეულთა და მწყუდნართათვის“, საფირონი – მსივნებას განკურნავს, ძონეული – „სარგებელ ექმნის, რომელთა ელმიედ სტომაქნი და რომელთა აღუვსინის მუცელი თვისი“.

მესამე თხზულება შატბერდის კრებულიდან, ევსევი კესარიელის „მხეცთათვის“, რომელიც ბასილი კესარიელს მიენერებოდა, ჰექსამერონული გააზრების პარალელურად, როგორც, საერთოდ, ეგზეგეტიური მწერლობა, მოიცავს მხეცთა, სამშვინველის მქონე არსებათა, დახასიათებას ბიბლიურ-სიმბოლური და ასევე, იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც აისახებოდა ეგზეგეტების თხზულებებში. აქ მხეცთა და ფრინველთა დასახასიათებლად ასეთი პასაჟებია მოხმობილი: ქალანთროს/ცხრამუცელა/იშხივარი/ლაკლაკი/ყარყატი (სულხან-საბას, თეიმურაზ ბაგრატიონის, ილია აბულაძის ლექსიკონების მიხედვით) „ჰკურნავს თუალთა დადგომილთა“ **(ფოტო 15)** ტექსტში დახასიათებულია ბუს, კაკბის, გველის, ორბის თვისებები და ქცევის წესი. ამდენად, ტექსტი ზოოლოგიის თვალსაზრისითაცაა საინტერესო.

მრავალფეროვანი შედგენილობის კრებულია ეროვნული არქივის ხელნაწერი 1446/75¹, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ტექსტები – ლიტურგიკული, საისტორიო, კანონიკური, ასკეტური, კითხვა-მიგებანი, „თქმული ფილოსოფოსთა“, „მოპოვნებანი ხელოვნებითნი“ (ევკლიდეს გეომეტრიის/„ქუეყნის მზომელობის“ მიხედვით) და სხვ. მათ შორის, ნუსხაში შედის სამედიცინო მონაკვეთი, ასევე, ხალხური, შელოცვის ტექსტი. კრებულის ძირითადი ნაწილი, ნაწერი ნუსხურით, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღებულია XIV-XV სს-ებით.

ტექსტში ჩართულია კარაბადინი და ზოგიერთი რეცეპტი (თვალის ტკივილის – „თვალში თეთრშერეულის გამოყვანა“ – ნამალი, ხველის, ჭორფლის, კანის დაავადებების სამკურნალო, ორგანიზმის გამწმენდი საშუალებები და სხვ.), ასევე, აღწერილია სამკურნალო მცენარეების გამოყენების კონკრეტული შემთხვევები სიცხის დასაწევად, ტკივილის გასაყუჩებლად, ფილენჯის ქარის, დამწვრობის, შარდის შეხუთვის, შაკიკის, წელის ტკივილისა და სხვა დაავადებათა განსაკურნად. აღნიშნული მასალა მხედრულითაა ნაწერი და XIX ს-ით თარიღდება.

უნდა აღინიშნოს, რომ უფრო გვიანდელ შერეულ კრებულებსა თუ ცალკეულ თხზულებებში, რომელებიც ძვირფას ქვათა და მინერალთა სამკურნალო თვისებებს ეხება, მეტად დეტალური და განსხვავებული მასალაა წარმოდგენილი. ეს კრებულები უმეტესად აღმოსავლურ წყაროებს და ცნობილ სქემებს უკავშირდება.

XVII-XIX საუკუნეების სამეცნიერო მასალის შემცველი შერეული ხელნაწერი კრებულები არ არის ერთგვაროვანი როგორც შედგენილობის, ისე მიზანდასახულობის

¹ ხელნაწერი შეუძენია მღვდელ მიხეილ ხელაშვილს. არქივში შესულია 1924 წ. ვლადიმერ ხელაშვილის არქივიდან. იხ.: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი), ტ. 1, გვ. 367-371

ზოგიერთ შერეულ კრებულში მომიჯნავე დარგების მასალაა თავმოყრილი, მაგალითად, ხელნაწერ კრებულ S 4955-ში (XIX ს.) ერთადაა წარმოდგენილი გამოკრებილი კარაბადინი – „მუნთახაბ შაფია“, ანუ გამოკრებილი შაფადან (მკურნალობიდან), „იადიგარ დაუდის“ ერთ-ერთი წყარო (აბულაძე 2010: 11-19), აგრეთვე საეტლო, სამთვარიო, ხირომანტია, ხელთა. აღნიშნული მასალა ერთი პრინციპითაა გაერთიანებული და დაკავშირებულია ასტროლოგიურ წინასწარმეტყველებასთან. ამ სახის კრებული ძალზე ბევრია ჩვენს კოლექციებში.

ამგვარი მასალა – სამკურნალო, კალენდარული, ასტროლოგიური და სხვ. – ხშირად ერთვის ლოცვებს, შესხმებს, ქადაგებებს, სხვა საღვთისმეტყველო ტექსტებს, ასევე პოპულარულ პოეტურ თხზულებებს – ორიგინალურსა და თარგმნილ-გადმოკეთებულს. ამგვარი ხელნაწერი წიგნები წარმოადგენდნენ ერთგვარ „საოჯახო წიგნებს“, რომლებიც ყოველდღიური საქიროებებისთვის იყო განკუთვნილი. ისინი ასახავდნენ თანადროული საზოგადოების გემოვნებას, ინტელექტუალურ დონეს; მათი სახე ხშირად პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციებით იყო ნაკარნახევი.

ზოგიერთი შერეული კრებულის ნიმუში:

H 2955 (H ფონდის აღწერილობა 1953: 294-299) XIX ს., ოსე ზაქარიას ძე გაბაშვილის მიერ შედგენილი და გადაწერილი კრებული, რომელიც შეიცავს ლექსიკონებს, შესხმას, ამონაწერებს ქადაგებებიდან და ასტროლოგიურ მასალას. კრებულს დასაწყისში ერთვის ლექსიკონები, რომლებშიც თემატურადაა დაჯგუფებული საზოგადო ლექსიკა, ძვირფასი ქვების სახელები, მცენარეთა სახელწოდებები, მათ შორის, აღმოსავლური დასახელებები. მასალა უმეტესად სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდანაა აღებული. კრებულში შედის ზოდიაქოს თვისებების დახასიათება, რომელიც გალექსილია.

A 1448 (1801-1862) ასევე შერეული კრებულია; შეიცავს ბიბლიურ, საღვთისმეტყველო ტექსტებს, იამბიკოებს, განჩინებებს, არზებს, აღსარებებს და სხვ. კრებულის შემდგენელი, მთარგმნელი და გამამწერია ტარასი მესხიშვილი.

ხელნაწერში წარმოდგენილია აგრეთვე სხვადასხვა ტექნოლოგიური რეცეპტი: სანდალოზის („გასაელვარებლად წასასმელი სამხატვროს წამალი“, ლაკი) ქარვის, ღუმირაბიკუმის (ერთგვარი კაუჩუკი), დანამასტიკის (საკმელ-მძივა, კევი), სამყის (თუთუბო), მარმარილოს, დარიჩინის წყლის, არყის გამოხდის, წიგნის პირზედ ოქროს ვარაყის დაკვრის. ტექსტის ეს ნაწილი მსგავსებას იჩენს ვახტანგ VI-ის „ქიმის“ შესაბამის რეცეპტებთან („ქიმია“ 1981; Чагунава 1984); ასევე, ვახტანგის სამედიცინო პარაგრაფებთან. საინტერესოა ლექსიკაც, რომელიც შერეულია და შეიცავს ლათინურ, აღმოსავლურ, ქართულ ტერმინულ ერთეულებსა და ზოგად სალექსიკონო მასალას. ნუსხა მრავალმხრივია საინტერესო. იგი წარმოაჩენს მისი შემდგენლისა და იმდროინდელი საერო საზოგადოების ფართო ინტერესებსა და ერუდიციას, კულტურულ გავლენებს (აბულაძე 1990). (ფოტო 16)

სამეცნიერო შინაარსის შემცველი მონაკვეთები შერეულ კრებულებში ხშირადაა წარმოდგენილი პოეტურ თხზულებებთან ერთად. მაგალითად, ხელნაწერში H 956 (1788) წარმოდგენილია სპარსულიდან გადმოკეთებული, XVIII ს-ის საერო საზოგადოებაში პოპულარული პოემა „ჩარ-დარვიშიანი“ და „ცხენის მოვლის წიგნი“, რომელსაც ერთვის ავტორისეული საძიებელი საინტერესო განმარტებებით.

ხელნაწერი კრებული S 62 (S ფონდის აღწერილობა 1959: 69-71) (1823) (ნუსხა ეკუთვნოდა გრიგოლ ჭავჭავაძეს) აერთიანებს თეიმურაზ II-ის, მირიანის პოეტური ნაწარმოებებს, არაკებს, ასევე წამლების რეცეპტებს. ერთ-ერთი რეცეპტი ეხება სპარსულ-არაბული სამედიცინო ტრაქტატებით ცნობილ „ხილთებს“ – სხეულის სითხეებს, წვენებს – გალენისა და მისი თხზულებების გადამუშავებებიდან მომდინარე ჰუმორულ-პათოლოგიური სისტემის ელემენტებს (იადიგარ დაუდი 1985: 42)

შერეული კრებულები, მათში წარმოდგენილი სამეცნიერო თხზულებები თუ ამგვარი ინფორმაციის შემცველი მონაკვეთები, მკაფიოდ ასახავს მათი წარმომავლობის კვალს, რაც ვლინდება მათ შედგენილობაში, მასალის შერჩევაში გადამწერებისა და შემდგენლების მიერ საზოგადოებრივი დაკვეთის კვალად, ასევე ლექსიკა-ტერმინოლოგიაში. ამ მონაკვეთებში ქართულ ორიგინალურ ლექსიკასთან ერთად, გადამდინარე ეპოქის თავისებურებებიდან, პოლიტიკური და კულტურული გარემოს ტენდენციებიდან, ვხვდებით სპარსულ-არაბულ, რუსულ, ლათინურ ენობრივ ერთეულებს.

მაგალითად, ხელნაწერში S 2399, (1843 წ.), რომელიც აერთიანებს ლექსებს, გამოცანებს და სალექსიკონო მასალას, აგრეთვე წამლების რეცეპტებს, ჩანს როგორც აღმოსავლური, მუსლიმური (არაბულ-სპარსული დამკვიდრებული ტერმინული ერთეულები), ისე რუსული კვალი.

ასეთივე მრავალფეროვანი ლექსიკაა წარმოდგენილი იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ხელნაწერში № 388 (სცსა ფონდის აღწერილობა 1950: 42). კრებულში შედის ლექსები, ნაწყვეტები პოეტური თხზულებებიდან, აგრეთვე ცხოველთა კარაბადინი და ტექსტი „ქვათათვის ძვირფასთა“, რომელიც აგებულია შუასაუკუნეების მუსლიმური მინერალოგიურ-გემოლოგიური თხზულებების სქემის მიხედვით (Medieval 2006).

ამრიგად, XVII-XIX საუკუნეების სამეცნიერო შინაარსის, მათ შორის, სამედიცინო დანიშნულების შემცველი ქართული შერეული ხელნაწერი კრებულები, რომლებიც ასახავს თანადროულ ცოდნას, საერთო კულტურული სივრცის ინტელექტუალურ დონეს, განვითარების ტენდენციებსა და საზოგადოებრივ დაკვეთას, პრაქტიკული მიმართულებისაა, განპირობებულია თანამედროვე საერო საზოგადოების გემოვნებითა და მოთხოვნებით, თუმცა, ზოგადად, ხშირად ემყარება პოპულარულ აღმოსავლურ სქემებს. მუსლიმურ ანალოგიურ კრებულებში დაცული მასალა კი, ძირითადად, თეორიული მიმართულებისაა და არ სცდება მეცნიერების

დარგების კლასიკური დიფერენციაციით განსაზღვრულ ჩარჩოს. უფრო გვიანდელი პერიოდის კრებულები, ძირითადად, XIX საუკუნის ევროპული/რუსული ცოდნის ანარეკლს წარმოადგენს და, პრაქტიკულად, სამეცნიერო წიგნებია საკითხის ისტორიის განხილვით, კვლევის თანადროული მეთოდების, სამედიცინო სფეროს მიღწევების მოხმობით.

ზემოთქმულის ნიმუშად შეგვიძლია განვიხილოთ გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი № 7205. დ 96. ვრცელი კრებული შედგენილია 1847-1893 წლებში გორელი ექიმის ალექსანდრე გარსევანიშვილის მიერ. ავტორი წერს: „სხვადასხვა პირთაგან შევეკრიბე. დავამატე ჩემგანვე შეკრებილი ცნობები იმ ბალახისა და მცენარეებისა წამლობანი, რომლებსაც ხმარობენ ქართველები, აგრეთვე გადმოვთარგმნე რუსული ენიდან ქართულად იმ ბალახებისა და მცენარეების სახელებიცა, ანბანზე შევადგინე, განვმარტე მათი სახელები რუსულად და ლათინურად, წესისამებრ ბოტანიკისა“.

მასალა ხელნაწერში მრავალგვარია. დაავადებები დაყოფილია დარგებად; თითოეული დარგი კი კარებად. მოცემულია დაავადების, მათ შორის, გადამდები დაავადებების აღწერა, მკურნალობის საშუალებები – ყურსები, შარბათები, მაჯუნები, ზეთები და სხვ. – მათი დამზადების წესის მითითებით. ტექსტში ვეტერინარული მასალაცაა შესული; წარმოდგენილია უცხო სიტყვათა (არაბულ-სპარსულის, რუსულის, ლათინურის) ლექსიკონები შესაბამისი ქართული ტერმინებისა და განმარტებების დართვით. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტორი წყაროებსაც უთითებს როგორც სქოლიოებში, ისე ტექსტშიც: „რუსულიდან ვთარგმნე“, „ძველი კარაბადინიდანაა“, „ქართველთა ხალხისაგან ხმარებული“, „გორის მაზრის ექიმის იოსებ გიორგის ძის სააკოვისაგან ნასწავლი ...“ და სხვ. კრებული მეცნიერული წიგნის ნიმუშად შეგვიძლია განვიხილოთ.

სამედიცინო-პრაქტიკული დანიშნულების კრებულები

სამედიცინო ცოდნის ამსახველი მასალა სპეციალური, პრაქტიკული დანიშნულების კრებულებშიცაა წარმოდგენილი. მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი, ვახტანგ მეექვსის ნაშრომი – „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ (S 3721) – ამ მხრივაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. არსებობს თხზულების ერთადერთი სრული ხელნაწერი, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ხელითაა გადანერვილი, მის მიერვეა შესრულებული ხელნაწერში ჩართული ხელსაწყოების მონახაზები.

თხზულება 1716-1724 წწ-შია დაწერილი. ნაშრომი აღწერს ალქიმიის შემდგომ პერიოდს, როდესაც გავრცელდა ცნობები ქიმიურ ნაერთებზე, გაუმჯობესდა მათი მიღების მეთოდები, აღმოჩენილ იქნა ახალი ნაერთები. ძეგლში შეინიშნება როგორც ქართული, ორიგინალური, ისე სპარსული და ევროპულ-რუსული წყაროების კვალი; სხვადასხვა დარგის თეორიული და პრაქტიკული მასალა, მათ შორის, სამკურნალო პარაგრაფები. ვახტანგს უსარგებლია რუსული წყაროებითაც (Травники, Леченники). რუსეთში ყოფნისას ვახტანგს ხელი მიუწვდებოდა ევროპულ წყაროებზე. მის პირად ექიმად 1732 წელს დაინიშნა პეტრე პირველის ყოფილი ექიმი გოტლიბ შობერი, რომელიც ამასთან შესანიშნავი მეცნიერიც იყო. ნაყოფიერი იყო აკადემიკოს დელილის ჯგუფთან თანამშრომლობაც (აბულაძე 1981; ვახტანგ VI 1990; Невская 1974).

ვახტანგის კრებულის მასალა მრავალდარგოვანი და მულტიკულტურულია. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგს არ შეუქმნია უშუალოდ სამედიცინო ნაშრომი, მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის უძველესი ქართული სამედიცინო ხელნაწერების მოძიება-მონესრიგებაში, გადანერასა და რედაქტირებაში („უსწორო კარაბადინი“, ფანასკერტელი-ციციშვილის სამედიცინო თხზულება). მის „ქიმიასში“ შესული სამედიცინო პარაგრაფები ადასტურებს მეცნიერის განსწავლულობას სამედიცინო თვალსაზრისითაც. როგორც მიუთითებენ ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევრები (მ. შენგელია, რ. შენგელია), ტექსტში აღმოსავლური ტერმინების გვერდით ხშირია რუსული სიტყვები, ტერმინები, მაგალითად, *ოტკა*, *ხლება*, *ჩეთვერთი*, *მიშიაკ*, *პოროშოკი* და სხვ. აგრეთვე, ლათინური ტერმინოლოგია: *ალე ვიტერმუს*, *კარდიალის ტერპენანტო*, *მოსტიხა* და სხვ., რაც დასავლეთ ევროპასთან იმდროინდელი საქართველოს კულტურ-

რულ-ეკონომიკური ურთიერთობების მაჩვენებელია. ნიგნში ხშირად ვხვდებით ასეთ წინადადებებს: „საფრანგეთიდან მოვა“ (§ 246), თავისი ნამალი ... ამის ქანი ხვარასა-ნშიც არი და საფრანგეთსაც არი (§ 54), „ფრანგული ლადანის მსგავსი სურნელება“ (§ 252), „დანამასტაკის ოტკას ფრანგნი მოსტიხას ეძახიან“ (§ 267) და ა.შ. ხელნაწერში სამკურნალო საშუალებების სისტემური აღწერილობა არ გვხვდება, მაგრამ ის მაინც გარკვეულ ინტერესს იწვევს, ერთი მხრივ, ძველი ქართული მედიცინის ისტორიის და, მეორე მხრივ, თვით ვახტანგ VI-ის პიროვნებისა და მისი მეცნიერული დიაპაზონის შესწავლის თვალსაზრისით. ტექსტიდან მედიცინის ისტორიის კუთხით საინტერესოა 35-ე პარაგრაფი – ვახტანგი განსწავლულია ოპტიკური მედიცინის სფეროში: § 2-ში აღწერილია სათვალის ყალიბის გაკეთება. ტექსტიდან ირკვევა ვახტანგ VI-ის ღრმა ცოდნა ფიზიოლოგიური და ფიზიკური ოპტიკის მეტად რთული საკითხისა. გარდა ამისა, შესაძლებელი ხდება ვივარაუდოთ, რომ თბილისში იყო ოპტიკური სახელოსნო. ვახტანგს განსაკუთრებული ყურადღება გამოუჩენია სათვალეებისა და სხვა ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების წესების აღწერისადმი. მის მიერ აღწერილია სათვალის ჩარჩოს დამზადება; გაპრიალების პროცესი – ვახტანგი ასახელებს ქალაქის დაკვრას ყალიბზე ნებოთი და გასაპრიალებელ ნივთიერებად „კროკუსის“ ნაცვლად მიუთითებს ჯერ „ამარულსა“ და შემდეგ „ტრიფელს“, ე.ი. ორჯერად გაპრიალებას. დანარჩენი 33 პარაგრაფი შეიცავს ზოგიერთი დაავადების დროს გამოსაყენებელი სამკურნალო საშუალებების აღწერას, ორგანიზმზე მათ მოქმედებას („ხასიათს“), მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესების ჩვენებას და სხვ. (ფოტო 17)



ფოტო 17.
ხეც, S 3721, ვახტანგ VI, ქიმიკი, სათვალის დამზადების ტექნოლოგია.

საქართველოს იმ დროისათვის კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყანასთან. ტექსტში ხშირად ვხვდებით ასეთ მითითებებს: „ხარისჩინი ცოტა იშოება, ჩინეთიდან მოიტანებენ“; ნიშადური „სამარყანდიდამ, ქაშხარ(ი) დან, ხორასანს მოიტანებენ, იქიდან აქეთ წამოვა“; „თალხი თეთრი რუსეთიდან მოვა“ და სხვ. ოპტიკური სახელოსნოსათვის საჭირო ნივთიერება „კროკუსი“ კი, როგორც ჩანს, საფრანგეთიდან შემოჰქონდათ: „კროკუსი ერთი ფისია ყვითელი, საფრანგეთიდან მოა“. ვახტანგის თხზულების ორ ათეულზე მეტი პარაგრაფი კოსმეტიკურ საშუალებებს ეხება – ლახოსტაკის, გუნდრუკის სურნელის, ზეთების (დარიჩინისა და სანდალის, მიხაკის ჯავზისა და ყოვლის თესლეულის, ვარდის ზეთის, ამბრის სული, ლადანის, ჯალასინის, ნარინჯის ყვავილის და სხვ.), თმის საღებავის, სიქაჩლის წამლის დამზადებას (ხიდაშელი 1999).

ცნობები ინფექციური დაავადებებისა და მათი მკურნალობის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში

საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში დაცული ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ინფექციური დაავადებების შესახებ, ქრონოლოგიურად X-XIX საუკუნეებს მოიცავს.

ხელნაწერებში ინფექციური სნეულებების მართვასთან დაკავშირებული ცნობები პირობითად შემდეგ ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. მკურნალობის ხერხები ძველ საქართველოში „უსწორო კარაბადინის“, „ნიგნი სააქიმოს“ და სხვა სამკურნალო შინაარსის თხზულებათა მიხედვით; 2. ეპიდემიის გამო იზოლაციის/ჩაკეტვის და განრიდების ტაქტიკა, რომელიც განხილულია არა მხოლოდ ძველ ქართულ სამკურნალო თხზულებებში, არამედ ძველი აღთქმის ტექსტებსა და სასულიერო ლიტერატურაში, მემუარული ხასიათის ნაშრომებში; 3. საკარანტინო ქსელები სახელმწიფო ღონისძიებების რიგში დოკუმენტური წყაროების მიხედვით; 4. ჰიგიენურ – სანიტარული ხასიათის მითითებანი სამკურნალო წიგნებსა და კარაბადინებში.

შუა საუკუნეების ფუნდამენტურ სამედიცინო თხზულებებში – „უსწორო კარაბადინი“, (X-XI სს.), „ნიგნი სააქიმო“ (XIII ს-ის დასაწყ.), „იადიგარ დაუდი“ (XVI ს.) – განხილულია რიგი ინფექციური დაავადებები; ზოგჯერ ცალკე თავი აქვს დათმობილი თითოეულ სნეულებას; აღწერილია მათი გამომწვევი მიზეზები და კლინიკური ნიშნები; მოცემულია სამკურნალწამლო საშუალებათა დოზირებული ჩამონათვალი; აღწერილია სანიტარულ-ჰიგიენური და პროფილაქტიკური მეთოდები, რომელსაც იყენებდნენ თხზულებათა თანადროული და ძველი მკურნალები ამ ინფექციებისგან თავის დასაცავად.

სნეულებათა სახელები ტექსტებში ხშირად ორივე ენაზეა მოტანილი. ასეთებია, მაგალითად, ავი ჟამი, იგივე შავი ჭირი, არაბულად ტლაალუნი (ტაუნი), რომელიც „უსწორო კარაბადინშია“ მოხსენიებული: *„ავი ჟამი, რომე ტლაალუნი ჰქვიან ... ჟამისა ნიშანი ესე მჯდომი არის, ან გამოვა ყურის ძირს, ანუ ენისა ძირსა, ანუ ძუძუსა ძირსა,*

ან ღლიასა, ანუ საზარდულსა“. შემდეგ ჩამოთვლილია მისი სამკურნალო საშუალებები და ღონისძიებები – სისხლის გამოშვება, კოტომის მოკიდება და სხვ. (უსწორო კარაბადინი 1997: 520).

„ნიგნ სააქიმოში“ ქოლერის გამომწვევ მიზეზად დასახელებულია ცხელი ჰაერი: „ვაბაქსა/ჰაიტაი-ის ცხრომ, ჰაერისა სიხორშაესაგან იქნების, რომელ ტანისა გასარეველისა ბუნებად სისწორისაგან შეცვალოს და ტანი დააუხუსუროს. ნიშანი მისი იგი არს, რომელ სნეული დაბნდეს და მაჯასი ძლიერი იყოს და მიწყით ფეთქდეს, და წყურვილი დია იყოს ... და ნერწყვი, რაისაცა ამოიღებდეს, მყრალი იყოს ... კურნებად მისი იგი არს, რომელ ჴელი გაიხსნას ... ჰამოჲ სურნელი და ყუავილი გრილი თავისა მიდამოსა დადვას ... დია ერგების“ (ნიგნი სააქიმო 1936: 289-290). ქოლერის გამომწვევ მეორე მიზეზად ზედმეტი ჭამა არის დასახელებული. „ჰაიტაი და გარჯაჲ, რომელსა ჰქვან არაბულად თუხმაჲ და ქართულად ელდაჲ, ესე მანკი დია საჭამადისა ჭამისაგან იქნების, ანუ გასარეველისა საზაფროისა ფიცხელისაგან, რომელ სტომაქსა შიგან შეყრილ იყოს და ანუ ტკბილისა და ცხიბიანისაგან ქნილ იყოს, რომელ დია ეჭამოს და ვერ მოედნოს. ნიშანი ჰაიტაისი იგი არს, რომელ ბუნებად ეშლებოდეს და სწყუროდეს, ჴელნი და ფერჴნი გაუცივდენ და ცივი ოფლი გამოეცეს და უკანის დია არწყევდეს, და სილბოჲ დაეწყოს“ სამკურნალოდ სტომაქის განმედას ურჩევს „ჰავთა საჭამადთა ნარჩომთაგან“ (ნიგნი სააქიმო 1936: 173-174).

ამავე თხზულებებში ფიქსირდება კანის ინფექციურ სნეულებათა რამდენიმე სახეობა: კეთრი (ბარასი), მუნი, ქაშოვეთი/ქაშოეთი, ჯუზამი. „კეთრიანობაჲ/მუნი რომე სჭირდეს, ვისაცა ესე სენი სჭირდეს და მათთანა სჭამოს და სვემდეს, მას გარდაეხვევის“ (უსწორო კარაბადინი 1997: 72). „კეთრიანობაჲ, რომელსა ჰქვან არაბულად ბარასი ... ესე მანკი გლუსუნისა ბალღმისაგან იქნების; ბარასი, ვითამცა კეთრი, შავიცა იქნების და თეთრიცა. და რაჲცა ნემსი შესცენ და სისხლი არ გამოვიდეს, არ იკურნების; და რაჲცა სისხლი გამოვიდეს ... კარგად იკურნების; და რაჲცა სინედლე გამოვიდეს, ძნელი იქნების“ (ნიგნი სააქიმო 1936: 262). „უსწორო კარაბადინში“ აღწერილია კეთრის გარეგნული ნიშნები, სნეულისთვის ავტორი ჰაერის გამოცვლას ურჩევს და აღნიშნავს, რომ ეს სენი მამიდან შვილს მემკვიდრეობით გადაეცემა: „ნიშანი ჯუზამისა, რომე ქაშოეთელსა ქუიან ... რაჟამს ფერი პირისა გაუწითლდეს და მერმე გაუშავდეს, და გაუმსხვილდეს ... ნამნამი და ნარბი გასცვივდეს ... თავსა და პირსა ნიადაგ ოფლი სდიოდეს ... ჯუზამი არის ... თუ მთისა ქუეყანასა იყოს, ბარსა ნაიყვანეთ და თუ ბარსა იყოს, მთასა ნაიყვანეთ. ადგილისა ცულა ერთობ კარგი არის ... ჯალინოზ თქვა: ესე სენი ძნელი არის და ძნელად გამოვა ამისგან კაცი ... გარყუნის ფსელსა კაცისასა და შვილსა გაუჰავებს და არცა იგი გამრთელდების“ (უსწორო კარაბადინი 1997: 494- 495).

„ნიგნ სააქიმოში“ განხილულია სურდოს ორი ფორმა: ზუქამი და ნაზლაჲ, რომელთა გამომწვევ მიზეზებად დასახელებულია მავნე სიმხურვალე და მზე: „სურდოჲ,


რომელსა ჰქვან ზუქამი და ნაზლაჲ, სიმჭურვალისა მავნისაგან იქნების ... მადანნი იტყვს: რაჲცა წყალი ტვნით ცხვრთაჲთ ჩამოვიდეს, მას ზუქმი ჰქვან და რაჲცა პირისაკე ჩამოვიდოდეს და მკერდსა ჩავიდოდეს, მას ნაზლაჲ ჰქვან (წიგნი სააქიმოჲ 1936: 132).

აღწერილია ინფექციური სნეულება – ჭლექი იგივე ტუბერკულოზი, რომელსაც „უსწორო კარაბადინსა“ და წიგნ „სააქიმოში“ ეწოდება ფირტუისა ტკივილი/ფირტუსა სინყლულე, არაბულად – სილი. „კარი სილისა: ნიშანი ესე იყოს, მუდმად ახუელებდეს და მწოვედ აქმინვებდეს, სწყურდებოდნენ, და ჯორცნი დნობაშიგან იყუნენ და ხან-ჟამიერად სისხლსა ამოილებდეს, და პირის სახე წითელი იყოს და წყნარად აცხელებდეს, საღამოს ჭამას უკანით უფრო აცხელებდეს; რა ესე ნიშანი ნახო, იცოდი სილი არის, რომე ფირტუისა ტკივილსა ქუიან“ (უსწორო კარაბადინი 1997: 363). „ფირტუსა სინყლულე, რომელსა ჰქვან არაბულად სილი ... იგი არს, რომელ ტანი დამჭლდეს და მიწყით ლბილად აცხროებდეს; და თხამლი, რომელ ჯორჯისაგან ამოვიდეს, ყვთელი იყოს ... ესე მანკი მით ძნელი არს, რომელ ფირტკ აწყლულდეს უკუნისამდე არ გამრთელდების, რომელ ნიადაგ შეკრვასა და გაღებასა შიგან არს“ (წიგნი სააქიმოჲ 1936: 161).

ინფექციური დაავადების, ყვავილის შესახებ მოთხრობილია „წიგნ სააქიმოჲსა“ და დაუთხანის „იადიგარ დაუდიში“. „ყუავილი, რომელსა ჰქვან არაბულად ჯოდრი, ნიშანი ყუავილისა ვითარებისა, იგი არს, რომელ ძნელად აცხროებდეს, და ზურგი სტკივოდეს, და თუალნი წითლად იყვნენ. კურნებაჲ იგი არს, რომელ ჯელი გაიწსნას და სისხლი სნეულისა ძალისა მისაფერად გამოილოს. და თუ ვერ მოესწრას, ჯელის გაწსნასა და გამოსრულ იყოს ყუავილი და გამოვიდოდეს, ნუ გაწსნის, თუ არა ევნების ... თუ სნეული ყმანურილი იყოს ჭიქაჲ მოჰკიდონ და სისხლი დია გამოილონ, რომელ ესე მანკი დია სისხლისა გამოღებითა დასწყნარდების. და მეცნიერთა აქიმთა გამოუცდია, ვისცა ესე ცხროჲ შეეპყრას, საშიშოჲ იქნების“ (წიგნი სააქიმოჲ 1936: 266).

„იადიგარ დაუდის“ ავტორი ყვავილის ინფექციის რამდენიმე სახეობას ასახელებს: „უწინდელი პილნი სისხლი ზოგი ყვავილად, ზოგი ქუნთრუშად, ზოგი მოლოქურად გამოვა და ზოგს პარტახტად გამოყრის ...“ და იქვე ურჩევს როგორ უმკურნალონ: „კაცს რა ყვავილი გამოაჩნდეს, მკლავი გაუხსნან საშუალის ძარღვიდაღმან სისხლი ადინონ და კოტოში მოკიდონ; ასეთი აბები ასვან, რომე არწყევინოს; თუ ცხვირს სისხლი ედინა, ისი მწოვედ კაი არის ... და რა ყვავილი გამოაჩნდეს, ნურც ხელს გაუხსნით და ნულარც კოტოშს მოჰკიდებთ“ (იადიგარ დაუდი 1992: 554). აღწერილია მისი რამდენიმე ფორმა: „ყვავილისგან უკეთესი ის არის, პირველ გააცხელოს და მერმე გამოაყაროს; ძნელი და ავი ის არის, რომე შავი და წვრილი გამოაყაროს. და თუ ერთმანეთზედა გათეთრებული ასხია, საფათერაკოა ... მჯდომის ნიშანია ... მჯდომი ერთი, მოთეთრო რომე არის, მერმე წვრილი და შავი ... პარტახტის სახე არის (იადიგარ დაუდი 1992: 555-557).

„ნიგნ სააქიმოს“ ბოლოს ცოფის შესახებ მსჯელობის მხოლოდ ნაწყვეტილაა შემორჩენილი, ვინაიდან ხელნაწერი ბოლონაკლულია: „იგი ზაჰრი არს, რომელ ტანსა შიგან დაიპანტოს ... ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაზომთა დღეთა უკანა ტანი მისი განითლდეს და ასოთაგან ოფლი სდიოდეს დია, და წყლისაგან დია ეშინოდეს. და იქნების რომელ ძალლივითა ყბედობდეს და კაცსა შემოუტეობდეს ... წყლისაგან მით იშიშვის, რომელ ძალლისა ცოფისა სახესა ჰნახავს“. „იადიგარ დაუდიში“ მოცემულია ცოფის გამომწვევი მიზეზი. ცოფს „ძალლის სიბრაზიანე“ ეწოდება: „ძალლის სიბრაზიანე ერთი სენი არის ... ესე სენი ... რომე ვისაც უკბენს, იმასაც გარდაედების. და ესე სენი ძალლს მგელს, ტურას, მელას, კატას – ყველას შეექნების და გაბრაზიანდების. ამის მიზეზი ეს არის, რომე ბევრს ავსა და დამპალს მძოვრს ... სჭამს. ბრაზიანობის ნიშანი: თვალეზი დაუნითლდების, პირს დორბლი მოედინების ... პირს და ცხვირს წყალი წაედინების, თავი და პირი მიწის პირად ექნების ... მოშივდების და არასა სჭამს



ფოტო 18.

PHB, IN №149. „ისტორია და საექიმო დარიგებანი ხოლერაზედ“.

და სვამს; წყალი ნახოს გაექცევის, შიშით ათროლოდების ... ფაცფაცითა იარების ... კაცის კბენა მოუნდების; ყელშიგა მოირჩობის და ველარ დაიყებებს ... ასე ბრაზიანმა ძაღლმა კაცს უკბინოს, შვიდ დღეს უკან მალიხულიასავით შეიქნების, მარტო ყოფნა მოუნდების, სინათლეს დაერიდების, ბნელს სახლშიგა შევარდების. თავის სახეს მიჭვრიტანაშიგა ველარ გამოიცინობს, ბრაზიანი ძაღლი ეგონების და შეშინდების. ძაღლსავით ყუვილს დაიწყებს, ყელი და ხახა გაუხმების, ვერ დაიყეფებს. კაცის კბენა მოუნდების ... სადამდისი წყალს რიდებას დაუნყებდეს, ამისი წამალი ადვილი არის. მკურნალობა: ძაღლის ნაკბენი ორმოცი დღის განმავლობაში არ შეხორცდეს, ფიცხლავ კოტოში მოიკიდოს“. შემდეგ სხვა სამკურნალო საშუალებებია ჩამოთვლილი (იადიგარ დაუდი 1992: 606-608).

გადამდები სნეულებებისგან თავის დაცვის მეთოდებზე ყურადღებას ამახვილებს „უსწორო კარაბადინის“ ავტორი და რჩევას იძლევა, თუ როგორ უნდა მოიქცეს მკურნალი და მომვლელი ასეთ ავადმყოფთან: „და იქნების, ანუ სნებისაგან ანუ ყვანისაგან ავი სული უდიოდეს [სნეულს] და ის სული ეცეს აქიმსა, გარდაეხვიოს მას, სიფრთხილე უნდა ... შორს დაჯე, რომე სული არ გეცეს, აგრე შეეკითხე; დიდ ხანსა ნუ დაიყოვნი, ადრე ადეგ“ (უსწორო კარაბადინი 1997: 71). შემდეგ უფრო დეტალურად აღწერს: „რომელსაცა სახლშიგან ისი [სნეული] იწვეს, შენ ნუ დასდგები და ნურცა დასწვები; და რაცა მას ეჭამოს საჭმელი, მისსა ნაჭამსა თქუენ ნუ სჭამთ, თვარემ საშიშარი არის. ნურცა მათითა ჭურჭლითა წყალსა სვამთ, რომლითა სნეული სმიდეს“ (უსწორო კარაბადინი 1997: 72).

XIX საუკუნის რამდენიმე ქართულ სამედიცინო ხელნაწერში საინტერესო ცნობებია გადმოცემული ქოლერის შესახებ. ერთ-ერთია იოანე ბატონიშვილის (1772-1830 წწ.) კოლექციის ნუსხა №149, „ისტორია და საექიმო დარიგებანი ხოლერაზედ“. ხელნაწერი დაცულია რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (პეტერბურგი) (**ფოტო 18**) აქ მოკლედ არის გადმოცემული ისტორია „ახალი სნეულებისა“, რომელსაც „ხოლერა მირაბუს“ (ლათინურად ჰნიშნავს „გარგასხმასა მსწრაფლად ნაღველისასა“) ეწოდება. სნეულება პირველად გაჩენილა ინდოეთში, ბენგალიის სოფელში 1816 წელს; აქედან ინდოეთის სხვა ქალაქებში ... შემდეგ სპარსეთში გავრცელდა. იგი გადამდები, „ანუ შესაყარი“, არ არის, მაგრამ ჩნდება „წამხდარი ჰაერისაგან“. სნეულება სამი ფორმით გამოვლინდება: 1. სნეული ტკივილს ჭიპის არეში გრძნობს; 2. აქვს კრუნჩხვითი ტკივილები ჭიპსა და მუცლის არეში, საჭიროა სისხლის სწრაფად გამოშვება (40-50 მისხალი და მისცენ ზემოხსენებული წამლები); 3. ემართება უეცარი ქაფიანი გულყრა და დასუსტება, საჭიროა ცივი წყლის სახეში შესხმა და დასველებული ტილოს გულზე დაფენა. ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, თხზულების ავტორია დავით მიკირტიჩინ კარპელი, „ჩინებული ექიმი, სწავლული ინგლისის საექიმო აკადემიისა შინა ქალაქსა კალკუტასა“; მთარგმნელი ალაძონ ერემიევი; „დაიბეჭდა ტფილისში, იაგორ ერემიევი-არცენოვის სტამბაში, 1823 წ., 23 აგვისტოს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ნუსხები, A 1645 და A 1646, სხვადასხვა ხელით გადაწერილ ერთსა და იმავე შინაარსის ტექსტს შეიცავს, რომელიც ეხება ქოლერის ეპიდემიის მართვას. გადმოცემულია სნეულების გამომწვევი მიზეზები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი დროებითი იზოლაციის – კარანტინის პირობებში. აღნიშნულია, რომ ქოლერა თავისი ბუნებით გადამდები (შესაყარი) დაავადება არ არის, ამიტომ მხოლოდ კარანტინის დაწესება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. ეპიდემიის შესაჩერებლად საჭიროა მხედრობისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის (სიმთელის) დაცვა. ამისათვის ექვსი ძირითადი პირობა უნდა შესრულდეს: 1. ქალაქებში დიდი ტვირთების შემოტანის დროს აიკრძალოს ადამიანებისა და პირუტყვის სიმრავლე, სადგომებში სიმჭიდროვე, რაც გააძლიერებს და გაავრცელებს მასთან მომყოლ სხვა სნეულებებს; 2. მდინარეების, ტბების და ჭაობების ახლოს მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან მოსახლეობა გაიხიზნოს მაღალ, გრილ ადგილებში; ხოლო მხედრობა ზაფხულის თვეებში გავიდეს მშრალ და გამლილ ადგილებზე მონყობილ ბანაკებში, რომ დროულად გამოვლინდეს ავადმყოფი და გაიგზავნოს ლაზარეთში; 3. ზაფხულის ცხელ დღეებში (40° C) მუშებმა მხოლოდ დილაობით (4-დან 8 საათამდე) უნდა იმუშაონ, რომ დაღლილობისა და შუადღის სიცხის გამო არ დაემართოთ „ხოლერა“ (აქაური სახადებიც მაღალი სიცხისგან ჩნდება). ამავე დროს უნდა ეხუროთ მზისგან დამცავი ქუდები; 4. ძლიერი და ხანგრძლივი წვიმების დროს ცხელ და უქარო ამინდებში საშიშია ეს სნეულება. ამისათვის ადამიანებმა უნდა გამოიცივალონ ადგილი, ისეირნონ და ჰაერი გამოიცივალონ, რომ თავიდან აიცილონ ეს ავადმყოფობა; 5. ციხეებსა და მჭიდროდ დასახლებული ქალაქებიდან საჭიროა დაუსაქმებელი ადამიანები გაერიდონ ზაფხულობით, რომ მხედრობა და სამოქალაქო მოხელეები გათავისუფლდნენ ზედმეტი სივინროვისგან, ვინაიდან ადამიანებისა და პირუტყვის სიმრავლე ჰაერს წაახდენს; 6. დაავადების დასაწყისში ყველას შეუძლია ჰქონდეს პატარა მინით ძმარი, რომელიც არის „შესაწვენიელი წამალი სასუნებელად და საფეთქლებზე წასასმელად“. ხოლო რომელნიც არიან სისხლით დაჭარბებულნი, შეუძლიათ იხმარონ „სასაქმებელად რევანდი, ღვინის ქვის მარილი“. ამასთანავე, საზღვარზე სნეულების გამოვლენისთანავე, უნდა მომზადდეს საზაფხულო ფანჩატურები და ახლებიც აშენდეს, რომ ავადმყოფთა სანოლები მჭიდროდ არ ეწყოს; მომზადდეს მათთვის საცვლები და პირადი მოხმარების ჭურჭელი საკვებისათვის. თუ ავადმყოფების სიმრავლის გამო საცვლები საკმარისი არ იქნება, მაშინ მათივე საკუთარი პერანგები დაურეცხონ ყოველ კვირას დაუყოვნებლივ, აგრეთვე ლაზარეთში მოსული ყოველი ავადმყოფი უნდა იბანებოდეს აუზში. უნდა იკვებებოდნენ „შვრიის ან ქერის სუბუქი შორვა კარაქით“; საჭიროა, რომ საკმაო რაოდენობის იყოს „ქუნჯუთის ზეთი და სპირტი“ წასასმელად ავადმყოფთა შეხუთვის დროს და „კარგი ღვინო მოსაღონიერებლად მომატებულის სისუსტისათვისა“. განკურნებულები მაშინვე არ უნდა გაუშვან, არამედ უნდა აცალონ მომჯობინება-მოღონიერება წამლებით და ზაფხულის მდინარის წყალში ბანებით, რომელიც სასარგებლო იქნება „კარგადმყოფ სალდათებისთვისაც“.

ყვავილი

საქართველოში საკმაოდ გავრცელებულ და საშიშ დაავადებებს ბავშვთა ინფექციური სნეულებები, ანუ „სახადები“ წარმოადგენდა. ამ დაავადებებს განეკუთვნებოდა: ხუნაგი, ანუ დიფტერია, ყვავილი/დიდი ბატონები, წითელა, ქუნთრუშა/ქუთეშა/ყელათმა, ჩუტყვავილა/წყლის ყვავილი/ქშუტი, წითურა, ყბაყურა, ყივანახველა/ხველა¹.

„ხუნაგი„/დიფტერია – დიდ ზიანს აყენებდა ბავშვებს და მას ხშირად სიკვდილიც მოსდევდა. სულხან-საბას მიხედვით, ხუნაგი – სასის გასივებაა ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში კი ხუნაგი მძიმე გადამდებ დაავადებად იყო მიჩნეული. ადრეული შუა საუკუნისათვის ცნობილი იყო ამ დაავადების ისეთი ნიშნები, როგორებიცაა: ხახის ტკივილი, გასიება, ყლაპვის გაძნელება და სხვ. „ხუნაყი ამას ქუიან, რომე ხახა სტკიოდეს და საჭმელსა ვერა ჩანთქემდეს და ყელიცა გაუსივდეს. ესე ავი სენი არის“ (უსნორო კარაბადინი 1997: 346). ხუნაგის დროს „კაცი იგრძნობს ტკივილს ყელში და კისერში. დიდი გაჭირვებით დაიწყებს სუნთქვას და ყლაპვას დაუშლის. ამასთან ნაზლა დაუნყებს პირიდან დენას, თვალეები გაუწითლდება და თუ მალე არ უშველეს, იქნება კიდეც დაარჩოს“ (სააკაშვილი, გელაშვილი 1956: 52-53).

„წიგნი სააქიმოს“ 193 (რჟგ) თავში ერთად აღწერილია ორი ინფექციური დაავადება: „ყუავილი, რომელსა პრქვიან არაბულად ჯოდრი ... და წითელი (=წითელა) ... „მხურვალისა და ფიცხელისა სისხლისაგან იქმნების, რომელ ტანსა მოერივნენ“. ყვავილით დაინფიცირებულს აქვს ცხელება, რომელიც სამ დღეს გრძელდება, ავადმყოფს სტკივა ზურგი და აქვს ჩანითლებული თვალეები. „ნიშანი წითლისა მანკისა: იგი არს, რომელ პირი მშრალად ედგას და სნეული შფოთად ჩქარად იყოს, და თვალნი წითლად ედგნენ და ბუნებაი ეშლებოდეს...“ (წიგნი სააქიმოი 1936: 266).

ყვავილის ეპიდემია, სხვა დაავადებებთან ერთად, ყოველთვის იყო დიდი საფრთხის შემცველი კაცობრიობისათვის, რაც, ბუნებრივია, იწვევდა მედიცინის განსაკუთრებულ ინტერესს. ამ დაავადების შესახებ ინფორმაცია გვხვდება ქართულ სამედიცინო წიგნებში. სახადები, ანუ ჟამი, უსნორო კარაბადინში მოიხსენიება: „კარი ყვავილისა და ავი ჟამისა“, რომელშიც განხილულია ყვავილის სიმპტომები და მისი მკურნალობის წესები. „ცხრო რომე ყუავილისაგან იქნების. მისი ნიშანი ესე არის: ერთობილი ტანი ცეცხლივითა იყოს და თუალნი გაუწითლდენ და თავი ასტკივდეს და ტანსა ქავილი დაუნყოს და წყურვილიცა დაუნყოს და ჭკუაცა შეცვალოს და გულშიცა შიში ჩავარდნოდეს“ (უსნორო კარაბადინი 1997: 397), ან „ნიშანი მისი ეს არის, რომე გაცხელდეს და სამსა დღესა უკლებად მწოვედ ზურგი და წელი სტკიოდეს მისი მიზეზი სისხლისა განედლებისაგან იქნების, რომე ტანშიგა მიემატების. ერთი ნიშანი ის არის, რომე პირი გაუწითლდების და თვალნი და თავი მძიმედ ჰქონდეს; რა ეს ნიშანი ნახო, იცოდი, რომე ყვავილი გამოესხმის“ (უსნორო კარაბადინი 1997: 397-399). მკურნალობის საშუალებად მაჯის გახსნა და სხვადასხვა მცენარეული საშუა-

¹ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სახადები სნეულებებია: „წითელა – სენია, ყვავილი – სენია, ქუნთრუშა – სენია“ და ა.შ. (ორბელიანი: 1993).

ლებათა მითითებული. „რაჟამს შეატყო კაცსა ყვავილი გამოესხას, ხელი გაუხსენ და ... სისხლი ადინე“... თუ პირველად ყვავილი გამოვიდეს, ხელსა ნუ გაუხსნი. ყვავილისა გამოჩენისა უკანით ქერისა წყალი მიეცი უნაბითა და ოსპითა მოდულებული იყოს“. მკურნალობის არაერთი წესია მოყვანილი ტექსტში. ასევე მოცემულია დარიგებები, რა მცენარეული საშუალებები უნდა გამოიყენონ, რომ ყვავილი თვალში არ გამოვიდეს, ან გამონაყარის კვალი არ დარჩეს ავადმყოფს.

საქართველოში ეპიდემიისგან თავის დაცვის საშუალება რომ კარანტინი იყო, ამას სხვა წყაროებიც ადასტურებს. ვიდრე საქართველოში მეფის ინსტიტუტი არსებობდა, ერთადერთი, მაგრამ ძალიან ეფექტური ეპიდსაინააღმდეგო ზომა ყოფილა სრული იზოლაცია იმ ქვეყანასთან, სადაც გაჩნდებოდა ეპიდემია. იკეტებოდა საზღვარი და წყდებოდა ყველა სახის მიმოსვლა, თუმცა ეს შეზღუდვები წესდებოდა შავი ჭირის ეპიდემიასთან დაკავშირებით ოსმალეთსა და სპარსეთთან, ყვავილის დროს ასეთი შეზღუდვების შესახებ ცნობებს ვერ ნაგანყდით.

დადგა მეცხრამეტე საუკუნე. ამ ეპოქამ პოლიტიკურ სიახლეებთან ერთად სხვა ბევრი სიახლეც მოიტანა და ჩვენში შეინიშნება ტრადიციული ქართული ხალხური მედიცინისა და ევროპული მეცნიერული მედიცინის თანხვედრა იმდენად, რამდენადაც ქვეყანაში რუსული (ევროპული) სამედიცინო პრაქტიკა დაინერგა. სწორედ ევროპიდან რუსულში შემოვიდა და რუსულიდან ქართულად ითარგმნა სამედიცინო ნაშრომი: „ლონეი და შეწვენილება, რომლითაცა იხსნების ერი ყვავილის სნეულების სრვისაგან, რათა აუცრიდნენ საზოგადოდ ყოველთა ძროხის ყვავილსა“. წიგნი 1805 წელს დაიბეჭდა მოსკოვში საექიმო აკადემიის მიერ რუსულად და ამავე წელს ქართულად ითარგმნა გოდერძი ფირალოვმა, თვითონვე გადაწერა და მიართვა იოანე ბატონიშვილს. როგორც მთარგმნელი და გადამწერი თავისი მინაწერით გვამცნობს, ნაშრომი აღიარებული ყოფილა მთელ ევროპაში და მთარგმნელს ამიტომაც შეუჩერებია ყურადღება მასზე.

ხელნაწერი ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კოლექციაში, H 2217. ნაშრომი 11 თავისაგან შედგება, რომლებშიც განხილულია ყვავილის აცრის შესწავლის ისტორია, მოხსენიებული არიან ედუარდ დჟენარი (ჯენერი) და ევროპელი მოღვაწეები, წარმოდგენილია ყვავილის სნეულების თვისებები, სიმპტომები, შედარებულია აცრისათვის კაცისა და ძროხის ყვავილის ჩირქი, რომლითაც ხდებოდა აცრა, უპირატესობა ენიჭებოდა ძროხის ყვავილს, ერთ-ერთი თავი მასალის აღების სპეციფიკასაც ეძღვნება. ხელნაწერში ვკითხულობთ: ბურცი არა უგვანეს 10 დღის გაჩენილი უნდა იყოს, უნდა უჩხვლიტო გვერდიდან, აილო ნივთი, ანუ მასალა, „გამოთლილს ბროლსა შინა“, მერე უნდა შეკრა, ანუ დაგოზო სანთლით ან „რბილი ლაქით“, რომ არ იმოქმედოს პერმან. სჯობს გაახმონ მასალა და ისე შეინახონ ბროლში. ანუ სტერილურად უნდა შეინახო ... გამოყენებისას უნდა გაიხსნას ან თბილ წყალში, ან სისხლში, ან ნერწყვში. შემდეგ ვერცხლის ნემსით უკეთებენ, რომელსაც აქვს ოქროს წვერი ხვრელით.

როგორც ირკვევა, აცრიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამომჟღავნდება რეაქცია, შეიძლება ამას „შეზრზინებაც“ (ცხელება) მოჰყვეს, სუსტი გამონაყარიც, ერთი სიტყვით, „შეუსწორდეს ბუნებითა ყვავილის მოხდასა“, მაგრამ ეს პროცესი ადამიანებს არ დაურღვევს ჯანმრთელობას, არც დაამახინჯებს, არც მოკლავს“, ემსახურება კაცობრიობის დაცვას ყვავილისაგან.

საქართველოში რომ ყვავილი იყო და ბევრჯერ ლეტალურადაც სრულდებოდა, ამას ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაშიც ვხვდებით. „თქვენი ძენი და ასულნი ყვავილმან განყვიტნა“, – ეუბნება მეფეს ავსიტყვა კაცი სულხან-საბას არაკიდან „მეფე და ავსიტყვა“. ანუ ყვავილი დაუნდობელი სენი იყო, თუმცა, როგორც მედიცინის ისტორიის მკვლევრები მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, მ. შენგელია გვაუწყებენ, საქართველოში ყვავილის დაავადება არ იწვევდა განსაკუთრებულ პანიკას, რადგან მას თურმე ებრძოდნენ ვარიოლაციის გზით. ეს მეთოდი გულისხმობდა შემდეგს: მასალას იღებდნენ გაზაფხულზე ან ზამთრის პირს მსუბუქად დაავადებული ადამიანისგან. აღებულ სითხეს ინახავდნენ სუფთა ჭურჭელში, თბილ ადგილას. საჭიროებისამებრ სითხე მიჰქონდათ ავადმყოფთან, მკლავზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას კანრავდნენ კანს და დაანვეთებდნენ აღნიშნულ სითხეს. ამ ადგილს დააფარებდნენ კაკლის ნაჭურჭს და შეახვევდნენ რამდენიმე დღით. ავადმყოფს 25 დღე ენიშნებოდა დიეტა; არ ეჭმებოდა ხორცი და ა.შ. ავადმყოფს აცრიდან ერთ კვირაში ეწყებოდა დაავადების სრული სურათი, ოღონდ ძალზე იოლი ფორმით.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, 1771 წელს, რუსეთის იმპერიამ იოჰან ანტონ გულდენშტედტი მოავლინა პეტერგურგიდან საქართველოში. იგი 1772 წლის შემოდგომამდე დარჩა საქართველოში. საქართველოს სტუმარი აღწერს ყვავილის აცრის პროცესს: „15 მაისს 100-ზე მეტ ბავშვს გაუკეთეს აცრა... აცრის დამთავრებამდე რვა დღით ადრე ბავშვებს აუკრძალეს ხორცის, თევზის, ბრინჯის მიღება. ისინი მხოლოდ პურითა და რძით იკვებოდნენ“. მოგზაური აღწერს, რომ ჭრილობა (განაკანრი) ბავშვებს უკეთდებოდათ ცერა და საჩვენებელ თითებს შორის, ხოლო ჭრილობაში (განაკანრზე) ადებდნენ ჩირქს და ახვევდნენ. ამის შემდგომ ბავშვებს უშვებდნენ სუფთა ჰაერზე და ისინი თავს ჯანმრთელად გრძნობდნენ. 19 მაისს აცრის ადგილას გაჩნდა სამი პაპულა. 22 მაისს გულდენშტედტ გაემგზავრა და უკან 2 ივლისს დაბრუნდა. ბავშვები მას, რასაკვირველია, სრულიად ჯანმრთელი დახვდნენ. ყვავილის აცრა მეფისნულ იულონისთვისაც გაუკეთებიათ.

აღნიშნულ მეთოდს სამცხე-ჯავახეთშიც იცნობდნენ. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ყვავილის საწინააღმდეგო აცრას ხარისჭირაშვილების გვარის წარმომადგენლებიც აკეთებდნენ. მათი წინაპრები ყოფილან ადუაშვილები ჯავახეთიდან, სოფელ ბარაღეთიდან, ხოლო ხარისჭირაშვილის გვარი ხელობის აღმნიშვნელია და მათ იმის გამო მიუღიათ, რომ აკეთებდნენ „ხარის ჭირის“ წამალს – დაავადებული ხარის ან ძროხის გამონაყარიდან გამოიღებდნენ შიგთავსს დანით, იმავე დანით ბავშვს ცერსა

და საჩვენებელ თითს შუა კანს ჯვრის ფორმით გაუსერავდნენ. აცრის ჩატარების შემთხვევაში ყვავილი არ უნდა შეხვედროდა, თუ შეხვდებოდა, მსუბუქად უნდა მოეხადა (ჩირგაძე 2010:41).

ტიფი

ტიფი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (ბერძნ. typhos გონების დაბინდვა), რამდენიმე მწვავე ინფექციური დაავადების საერთო სახელწოდებაა (მუცლის ტიფი, პარტახტიანი ტიფი, შებრუნებითი ტიფი, პარატიფი), რომელთა მძიმე მიმდინარეობის დროს ცნობიერება იბინდება.

პარტახტიანი ტიფი (ქართულად „პარტახტი“ ნიშნავს ლაქას, გამონაყარს) – მწვავე ინფექციური (რიკეტსიოზული) დაავადება არის, ახასიათებს ძლიერი ინტოქსიკაცია, არტერიების სპეციფიკური დაზიანება და გამონაყარი. მის გადატანა-გავრცელებაში ძირითადი როლი მიუძღვით ტილებს. ადგილი აქვს აგრეთვე რიკეტსიებით გამონეულ ტიპურ დაზიანებას – ვასკულიტს. დაავადება შეყვანილია განსაკუთრებით საშიში ინფექციების რიცხვში (გოგიჩაძე 2011: 442).

XIX საუკუნეში, ბაქტერიოლოგიის განვითარების წინა პერიოდში, მიმდინარეობდა ეპიდემიოლოგიური დაავადებების ფართო კვლევა და სამედიცინო სტატისტიკის ფორმირება, რაც დიდწილად განაპირობებდა დაავადებათა პროფილაქტიკისათვის საჭირო მეცნიერული ბაზის შექმნას მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური მონაცემების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანამდე.

საუკუნის მეორე ნახევარი და დასასრული აღინიშნება მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის შექმნითა და მედიცინის ამ დარგების შემდგომი განვითარების წინაპირობების ჩამოყალიბებით; მიმდინარეობს ინფექციური დაავადებების დიფერენციაცია, მათი მექანიზმების კვლევა, გავრცელების თავისებურებების შესწავლა, პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა.

ამ პერიოდის ქართული ხელნაწერები, ძირითადად, ასახავს მედიცინის განვითარების ბაქტერიოლოგიამდელ პერიოდს, თუმცა უკვე ზოგიერთ მათგანში, XIX საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ ხელნაწერებში, წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად სისტემატიზებული ცოდნა ინფექციური დაავადებების შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა იოანე ბატონიშვილის მოღვაწეობა, მისი ქართული ხელნაწერების კოლექციის ზოგიერთი ნუსხა.

იოანე ბატონიშვილი, მრავალმხრივი, ენციკლოპედიური განათლების მქონე მეცნიერი და მოღვაწე, საგანაგებო ყურადღებას უთმობდა სამედიცინო აზრის განვითარებას, ევროპული ცოდნის ქართულ ნიადაგზე დანერგვას, სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნას, მედიცინის პრაქტიკული გამოყენების ორგანიზებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩამოყალიბებას, მათ შორის, ინფექციური დაავადებების შესწავლისა და მკურნალობის მეთოდების აღწერასა და თავმოყრას. ისტორიული წყაროების მი-

ხედვით, თავად სწავლული ექიმი იყო. მისივე თქმით, „სწავლულთა თვითვე ვკურნებდი, ვინათგან ვისწავლე მკურნალობაც სხვადასხვა სწავლებისთანა...“ (შენგელია 1980: 264); ამასთანავე, იგი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას დიდ ყურადღებას უთმობდა სამედიცინო ხასიათის რეფორმების გატარებას, რაც ასახულია მისი „სჯულებების“ 27-ე პარაგრაფში ექიმბაშის ინსტიტუტის, საექიმო და სააფთიაქო საქმის ორგანიზების შესახებ, „სასწავლო“ და სამშობიარო სახლების ფუნქციონირების თაობაზე და სხვ. (შენგელია 1980: 262-263); იოანე დაავადებებს ყოფს შინგან და გარე სწავლებებად, მიმოიხილავს პროფილაქტიკური მედიცინის („დაცვისათვის სიმრთელისა“) – ეპიდემიოლოგიის, ჰიგიენის – ელემენტებს. თავის ცნობილ „კალმასობაში“ ავტორი წარმოადგენს საექიმო ხელოვნების დისციპლინებად დაყოფის სქემას, რომელიც მოიცავს 14 დისციპლინას, მათ შორის, ანატომიას, ფიზიოლოგიას, თერაპიას, პათოლოგიას, ფარმაკოლოგიას და სხვ. მოცემული სისტემა მხატვრული ფორმით, „ძველი“ და „ახალი“ მედიცინის წარმომადგენელთა დაპირისპირების, კამათის სახითაა მოცემული (კუკავა 1956: 40-53).

რუსეთში გადასახლების შემდეგ იოანე ბაგრატიონი ეწევა ფართო მთარგმნელობით-სამეცნიერო საქმიანობას – ქმნის სპეციალურ ლექსიკონებს, რომლებშიც დაფიქსირებულია ლათინური, რუსული, აღმოსავლური ტერმინები; თარგმნის სამეცნიერო შრომებს, მათ შორის, სამედიცინო ხასიათის თხზულებებს ევროპული და რუსული ენებიდან, ადგენს სამეცნიერო კრებულებს და სხვ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტისა (პეტერბურგი) და რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის (პეტერბურგი) ფონდებში „იოანე ბატონიშვილის კოლექციის“ ხელნაწერებში წარმოდგენილია მედიცინის ისტორიის, სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების ტენდენციების შესწავლის თვალსაზრისით არაერთი საინტერესო ხელნაწერი, რომლებიც წამოგვიდგენს მათი ავტორის/ავტორების ღრმა ერუდიციას, განსწავლულობასა და პრაქტიკულ მიზანდასახულობას. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი არ არის ავტორიზებული, თუმცა სპეციალისტთა ვარაუდით, ისინი თავად იოანე ბატონიშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერია იოანეს კოლექციის ნუსხა № 63 რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის (პეტერბურგი). ხელნაწერში ჩადებულია ფურცელი, რომელზეც დატანილია თხზულების სათაური: „ნერვების და დამპლის საოფლისათვის“. ეს უნდა იყოს ტიფისა (ტიქსტი მიხედვით, „ხალებიანი“, პარტახტიანი ტიფის) და მასთან დაკავშირებული გამოვლინებების დახასიათება, რომელიც ემყარება ევროპულ წყაროს. „წინაუწყებაში“ ავტორი აღნიშნავს: „სხუადასხუა და დახულანჯულ არს მეცნიერება ამის შესახებ“. იგი ცდილობს მასალა სისტემატიზებული და სტრუქტურული ფორმით მიაწოდოს მკითხველს.

დასაწყისში შემდგენელი მკითხველს აწვდის სქემას, რომლის მიხედვითაცაა მასალა დალაგებული:

- ნოდება სენისა – მოცემულია ლათინური დასახელებები, „საოფლის“ განმარტება – „დამაშვრალობისაგან ძალთა გამოსრულება, ანუ ნერვებისებად, ანუ ლოშპიტლურებას, ანუ ხალებიან საოფლეებად.

- დასაბამი სენისა.
- განმრავლება სენისა.
- დასასრული სენისა.
- ბედნიერი დასასრული.
- ჟამი კურნებისა.

ყოველი ეტაპი ცალ-ცალკეა დახასიათებული; ხაზგასმულია, რომ ეს დაავადება ფსიქო-სომატურია; იგი დაკავშირებულია გარემო პირობებთან და ადამიანის ცხოვრების წესთან: ცუდ ჰაერთან, ცუდ წყალთან, ცუდ და დამპალ საზრდელთან, საერო უბედურებასთან, საზოგადო მწუხარებასთან, ნალველთან, ნამეტან ძალის ხარჯვასთან, დაკარგულ სისხლთან ...

პარტახტიანი ტიფის გავრცელებასა და მსგავს მიზეზებზე XIX საუკუნეში უაღრესად საინტერესო ინფორმაციას გვანვდის გაზეთი „წითელი არმიელი“ (№ 204, 1923 წ.). არმიელთათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ დაავადების ეტიოლოგიის, გავრცელების მიზეზებისა და პროფილაქტიკის საშუალებების ცოდნა, რადგან, როგორც ცნობილია ისტორიული წყაროებით, სწორედ პარტახტიანი ტიფი იყო მეზრძოლთა დიდი მტერი. გაზეთის საინფორმაციო ხასიათის რუბრიკაში – „ცნობები სანიტარიიდან“ – მოყვანილია ტიფის ამ სახეობის გაჩენის/გავრცელების რამდენიმე მიზეზი XIX საუკუნის ისტორიულ მაგალითებზე, საერთო ეკონომიკურ და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით:

ომი – 1812 წ. ნაპოლეონის მოსკოვზე გალაშქრებისას დაიღუპა არმიის დიდი ნაწილი; 1853-1856 წლებში ყირიმის ომის დროს ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებმა დაკარგა ოთხჯერ მეტი ჯარისკაცი ტიფისგან, ვიდრე ბრძოლის დროს;

შიმშილი – როგორც ცნობილი იყო, დაავადების გავრცელებას ძლიერ უწყობს ხელს შიმშილი. მაგალითად, მოუსავლიანობის დროს, კრიზისის პირობებში, რუსეთში ამ დაავადებით დაიღუპა 1,5 მილიონი ადამიანი. მეტი ადამიანი კვდებოდა ამ მიზეზით მარტში, როდესაც გლეხებს ელეოდათ პურის მარაგი, მათი დიდი ნაწილი შიმშილობდა;

სიღარიბე – განაპირობებს სიბინძურეს, ხალხი ცხოვრობს ნესტიან სახლებში, შრომის აუტანელი პირობები აქვთ, აკლიათ ძილი. ლონდონში აღნიშნული დაავადებით გარდაცვლილთა 97% ღარიბი მოსახლეობაა;

ჰავა – დაავადება ვრცელდება იმ რეგიონებში, რომლებშიც ზომიერი და ცივი ჰავაა;

გავრცელების დრო – იანვრიდან აპრილამდე, როდესაც ცივა. ადამიანები ნაკლებად ბანაობენ, ეს კი ინვევს ტიფის მიკრობების გამრავლებას. ინფორმაციაში ხაზგასმულია დაავადების გავრცელების დიდი ალბათობა, მოყვანილია მაგალითები დაავადებულ ექიმებსა და სხვა სამედიცინო პერსონალზე ავადმყოფებთან კონტაქტის

გამო. ავადმყოფი აუცილებლად უნდა განცალკევდეს; მისი გამონაყოფები, ჭურჭელი, ლოგინი გადამდებია. ბოლოს მითითებულია, რომ ავადმყოფობას დიდი სიკვდილიანობა ახასიათებს.

დავუბრუნდეთ იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერს. ნუსხის მიხედვით, დაავადების მკურნალობა გულისხმობს: „განშორებას მიზეზთა ეპიდემიკურის საოფლისაგან – მკურნალობის უპირველესი საჭიროება,“ სისუფთავე, მწუხარებისაგან განშორება; საკვები უნდა იყოს ჯანმრთელი, არაცხიმიანი; სასმელი აძლიერებს დაავადებას; საჭიროა ორგანიზმის განმენდა.

მოცემულია სამკურნალწამლო საშუალებები, ძირითადად, მცენარეებისგან და მზადებული, ხმარობენ ქაფურსაც და ოპიუმსაც; აღწერილია აბაზანის მომზადებისა და მიღების წესები. ავტორის აზრით, ამ სნეულების დროს შინაგან ორგანოთა დაავადებები შეერთებულნი არიან „ნერვების საოფლესთან“. კარგია „ტკბილი კვერცხის წყლისა და მალნეზიის“ ხმარება.

თხზულება წარმოადგენს მეცნიერული წიგნის ნიმუშს – მოხმობილია სხვადასხვაენოვანი ტერმინები ქართული შესატყვისებითა და განმარტებებით, მოტანილია სქოლიოები, დასახელებულია წყაროები და მათი წარმოშობა; მასალა სტრუქტურულია და მიჰყვება დასაწყისში წარმოდგენილ სქემას.

ბოლოს, დასკვნის სახით, ავტორი წერს: „უუმჯობესია წელიწადთა შინა ძალუძს მიწევნად იმ ჭეშმარიტებისადმი სულიერისა სიამოვნისა, რომლითაც შემსუბუქდებიან ყოველნი შრომანი და დატკბების ყოველივე მსოფლიო მწუხარება“.

ამდენად, ადამიანის კურნებისთვის, მათ შორის, „ეპიდემიკურის საოფლისაგან“, უპირველესი მისი სულიერი მდგომარეობის გაჯანსაღება და სიმრთელე, ფსიქოლოგიური წონასწორობა და ბუნებასთან ჰარმონიაა.

ქოლერა


მემუარული ხელნაწერები საინტერესოა იმით, რომ მათში აისახება მოვლენების (ისტორიული ხდომილებების), ჩვენს შემთხვევაში, ინფექციური დაავადებებით გამოწვეული ეპიდემიების, აღქმა თანამედროვეთა მიერ. ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველ რომანტიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენლის, ალექსანდრე ორბელიანის მოგონებებში, „პირველი ქოლერა აქ, ტფილისში (1830 წელსა რაც ვიცი ანუ შემხვედრია)“, მოცემულია ცნობები თბილისში ქოლერის ეპიდემიის შესახებ.

ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერების კოლექციის S ფონდში, შიფრით S 1665. მართალია, ხელნაწერის ქვესათაურში მითითებულია კონკრეტული – 1830 წელი, მაგრამ ავტორს თვითონ ხელნაწერი 1869 წელს დაუსრულებია. ამრიგად, ტექსტი იძლევა ინფორმაციას 1830-იანი წლებიდან 1870 წლამდე პერიოდში (თითქმის 40 წლის განმავლობაში) ქოლერის საქართველოში გავრცელების შესახებ. თხზულება საინტერესოა XIX საუკუნის 60-იან წლებში საქა-

რთველოში ინფექციური დაავადებების, კერძოდ, ქოლერის შესახებ თანამედროვეთა წარმოდგენების შესწავლის თვალსაზრისით. (ფოტო 19)

მოგონებების ავტორი, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი ერეკლე მეორის უმცროსი ასულის, თეკლე ბატონიშვილის, ვაჟიშვილია. მისი ცხოვრების ძირითადი ეტაპები იმ პერიოდის სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა, დიდგვაროვან ოჯახთა წარმომადგენლების ბიოგრაფიების მსგავსია. ინფორმაცია ქოლერის შესახებ გადმოცემულია განათლებული ადამიანის თვალთახედვით. ხელნაწერში მოცემული ცნობები შეიძლება რამდენიმე შრედ განვიხილოთ: პიროვნება, ოჯახი, ქალაქი, ქვეყანა და მსოფლიო ეპიდემიის დროს.

მოგონებები ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრების გარკვეულ პერიოდს ასახავს, 1830 წელს ის 28 წლისაა. მოგონებების მიხედვით, შესაძლებელია მისი ცხოვრების წესის, დღის წესრიგისა და სამსახურებრივი მოვალეობების დადგენაც კი. ამავე დროს, ეს არის მისი სულიერი სამყაროს ამსახველი მასალა, რომელშიც ჩანს მისი განცდები უჩვეულო ეპიდემიისა და საყოველთაო შიშინაობის დროს, ჩანს მისი ადამიანური თვისებები, ჰუმანურობა, რომელსაც სიტყვით, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მოქმედებითაც გამოხატავს. საილუსტრაციოდ ერთი ეპიზოდი მოვიყვანოთ: ალექსანდრე ქალაქის გარეუბანში მისთვის უცნობ დედაკაცს, რომელიც „თმა ჩამონწეილი მორბოდა გულსაკვდავის კვნესითა“, დედას, რომელსაც წინა დღეს „ქმარი და ერთი ვაჟკაცი



ფოტო 19.

ხეც, S 1665, ალექსანდრე ორბელიანი. „პირველი ქოლერა აქ, ტფილისში“.

შვილი“ ქოლერით მოუკვდა და მაშინვე პოლიციამ დაამარხვინა, დაავადებისგან გონებადაკარგული მეორე შვილის მოსულიერებაში და გადარჩენაში ეხმარება.

ქოლერის პირველი შიშის ქვეშ მყოფი ალექსანდრე ზაფხულის სიცხეში ოთახის კარებს და ფანჯრებს ხურავს, რასაც დედას, თეკლე ბატონიშვილს, იმ დროს გავრცელებული წარმოდგენების საფუძველზე ასე უხსნის: „ვინც მიხურვილს ოთახში არის, იქ ხოლერა თურმე ველარ შევა“.

მოგონებების ავტორი ქალაქში, ადგილზე, აკვირდება მიმდინარე პროცესს, რის საფუძველზეც მოგონებებში აღწერს მცხოვრებთა შიშიანობას, ხალხის ქალაქიდან გახიზვნას, ეპიდემიის სანინაალმდეგოდ განხორციელებულ ღონისძიებებს. ხელნაწერში საკმაოდ დინამიკურადაა აღწერილი ქალაქში ეპიდემიის შესახებ ცნობების გავრცელება და ამით გამონჭეული პანიკა მოსახლეობაში.

ეპიდემიის შედეგად დაცარიელებული ქალაქის სურათი სევდას ჰგვრის ავტორს და დაავადების გამოჩენამდე სიცოცხლით სავსე, ხმაურიან ქალაქს ახსენებს. „სანთლის შუქი ფანჯარაში ძლივს ანათებდა, ასე გასინჯეთ ძაღლის ყეფაც არსაიდგან აღარ ისმოდა, ისე ყოველი ბუნების ხმა გაკმენდილი იყო მაშინ, როდესაც მხიარული ქალაქის ხალხი სიმღერ-ძახილითა აივლიდნენ, ჩაივლიდნენ, დაირა და ჭიანური თავის თარით, ვინლა დაუკრავდა ... ყოველი ეს იმ დროს მკვდარი იყო, დაბურვილი მწუხარების სიჩუმე იწვა ამ ჩუენს ტურფა ქალაქს ტფილისს“.

მოგონებები იძლევა გარკვეულ წარმოდგენებს ეპიდემიის პირობებში ქალაქის ცხოვრების ადმინისტრაციული ორგანიზების თაობაზეც. ქალაქის სავაჭრო ობიექტები ძირითადად დაიხურა, ვინაიდან „დუქნების პატრონები სულ გაქცეულიყვნენ“. ამავე დროს, ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის კვების უზრუნველსაყოფად დადგენილი იქნა გარკვეული მორიგეობა – „პოლიციამ გვიბრძანა, რიგით უნდა ვიდგეთ ყასბები აქ, რომ ვინც რუსის ოფიცრები დარჩნენ აქა, ან კიდევ რიგიანი სახლობანი, იმათ ხორცი ვაძლიოთ“.

მოგონებებში მოცემულია სამედიცინო ისტორიის თვალსაზრით საინტერესო ინფორმაცია: დაავადების კლინიკური სურათი („თათრის მეიდანში გაველ, იქ აქა-იქ წაქცეული კაცები, ზოგს რკინისფერი ედო სახეზე და იკვანჭებოდა, ზოგსა პირიდგან ზაფრა ამოსდიოდა“); წარმოდგენები „ქოლერის ქარზე“, როგორც დაავადების გამომწვევზე და ამ წარმოდგენების შესაბამისად მიღებული ზომების თაობაზე; სამკურნალო საშუალებები და ხერხები – „სისხლის გაღება“ და ავტორისეული მიგნება – კახური შავი ღვინის გამოყენება.

ამ ხერხებს სპეციალისტები შემდეგ შეფასებას აძლევენ: მ.შენგელია „სისხლის გაღებას“ მეტად უგუნურ ხერხს უწოდებს, რომელიც დამლუპველად მოქმედებდა ქოლერიან ავადმყოფზე, ვინაიდან ქოლერით დაავადებულის ორგანიზმი სითხისგან იცლება და საჭიროა, პირიქით, რაც შეიძლება მეტი სითხის მიწოდება და არა გამოღება სისხლის სახით. კახური შავი ღვინის, როგორც სამკურნალო საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით კი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქოლერის მსუბუქი ფორმით დაავადებულთათვის ეს ხერხი შეიძლებოდა ეფექტური ყოფილიყო, რადგან ავადმყოფი ღვინის სახით სითხეს ღებულობდა,

ღვინო სუსტი, მაგრამ მაინც ერთგვარი სადღეზინფექციო საშუალების ფუნქციასაც შეასრულებდა, გარდა ამისა, ტანინის შემცველობის გამო შავი ღვინო გამოიწვევდა კუჭ-ნაწლავის შეკვრას და ამით დაიცავდა ორგანიზმს სითხის დაკარგვისაგან.

ქოლერა განსაკუთრებული სიმძლავრით მძვინვარებდა თბილისში, ასევე თელავის, გორის, სიღნაღის, დუშეთის და სხვ. მაზრებში. აგვისტოს მეორე ნახევრიდან 1 სექტემბრამდე 2772 კაცი დაღუპულა. ალექსანდრე ორბელიანის მოგონებებში სტატისტიკური ცნობები მოყვანილი არ არის, ავტორს ლაკონურად უწერია: „დიდი დანაკლისი უყო საქართველოს ხალხსა ხოლერამაო“. მოგონებებში ავტორი ეხება საქართველოში ქოლერის ეპიდემიის გავრცელებას 1830, 1847, 1865 წლებში.

ქოლერა საქართველოში მსოფლიო პანდემიის ნაწილია, ეს კარგად ესმის ალექსანდრე ორბელიანს, რომელიც თავის მოგონებებს ასე იწყებს: „ამ წელიწადის ორი თუ სამი წლის წინათ ამბები მოდიოდა: ინდოეთსა ერთი რაღაც სნეულება გაჩენილა, ძალიან სწყვეტს ხალხსა, რომელსაცა უწოდებენ ხოლერასა ...“

სამ წელიწადში ინდოეთში დაწყებული დაავადება საქართველოს აღწევს, რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში ვრცელდება და ევროპაში გადადის. XIX საუკუნეში მსოფლიომ ქოლერის ხუთი პანდემია გადაიტანა.

აღსანიშნავია, რომ ქოლერის პანდემიის ყველაზე მძლავრ აფეთქებას XIX-ის 50-იან წლებში ჰქონდა ადგილი. ვიქტორიანული ბრიტანეთი შეძრა 1854 წლის ეპიდემიამ, როდესაც ლონდონის ცენტრში, სოხოში, რამდენიმე დღის განმავლობაში 616 ადამიანი გარდაიცვალა. ეს აფეთქება ისტორიაში შევიდა ბრიტანელი ექიმის ჯონ სნოუს წყალობით, რომელმაც მეთოდურად გამოიკვლია დაავადების ყველა შემთხვევა და ქოლერის გავრცელების მიზეზად „ქოლერის ქარი“ კი არა, დაბინძურებული წყალი დაასახელა. ექიმმა ჯონ სნოუმ შეადგინა ქოლერის შემთხვევების რუკა, მასზე აღნიშნა წყლის შეგროვების ადგილები და სახლები, სადაც დაფიქსირდა ქოლერისგან გარდაცვალების შემთხვევები. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით იგი ცდილობდა დაესაბუთებინა კავშირი სოხოს ბროდ-სტრიტზე წყლის მიწოდების წყაროსა და დაავადების შემთხვევებს შორის. ამ მონაცემებთან თითქოს წინააღმდეგობაში მოდიოდა ის ფაქტი, რომ ახლოს მდებარე მონასტერში ქოლერით არავინ დაავადებულა. ამ ანომალიის შესწავლამ აჩვენა, რომ ბერები სვამდნენ მხოლოდ მონასტერში მოხარშულ ლუდს, რამაც ჯონ სნოუს თეორია კიდევ უფრო გაამყარა. მისი კვლევა განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისტორიაში, რომელმაც ბიძგი მისცა ეპიდემიოლოგიის ჩამოყალიბებას, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების განვითარებას.

1883 წელს რობერტ კოხის მიერ ქოლერის ვიბრიონის აღმოჩენამ სათავე დაუდო სამეცნიერო წარმოდგენების განვითარებას ქოლერის გამომწვევი მიზეზების შესახებ. სწორედ მეცნიერების მიღწევების შედეგად ეპიდემიები, ინფექციური დაავადებები შეუცნობელი და არაკონტროლირებადი მოვლენებიდან თანდათანობით გადაიქცა გამონვევებად, რომლებიც კონტროლს ექვემდებარება.

ლექსიკა და ტერმინოლოგია

ქართული სამედიცინო თხზულებები, თარგმანები და გადამუშავებები შეიცავს მდიდარ მასალას ლექსიკური, ტერმინოლოგიური, ენობრივი ურთიერთობების კვლევის კუთხით.

ძველი აღთქმის ტექსტებში უხვადაა ლექსიკური ერთეულები და ტერმინები, რომელთა გამოყენება და მნიშვნელობა მოწმობს შინაგანი ორგანოების, ფიზიოლოგიის შესახებ გარკვეული წარმოდგენების არსებობას.

გრიგოლ ნოსელის, ნემესიოს ემესელის, იოანე დამასკელის და სხვათა ანთროპოლოგიური ნაშრომების ქართულ თარგმანებში, ქვეყნის შექმნის შესახებ კანონიკური ცნობების გარდა, მოცემულია თანადროული მეცნიერების ცოდნის ამსახველი მასალა, რომელიც ემყარება საბერძნეთსა და აღმოსავლეთიდან მემკვიდრეობით მიღებულ მონაცემებს, შესაბამის ლექსიკა-ტერმინოლოგიას – ქართულს, ორიგინალურს და თარგმნა-კომენტირების შედეგად შექმნილ ენობრივ ერთეულებს (აბულაძე 1964: 5-6).

ივ. ბერიტაშვილი ამ ნაშრომების ქართული თარგმანების განხილვისას აღნიშნავდა: „ის ფაქტი, რომ ასეთი შრომების სიტყვარი და ტერმინები ქართულ ენაზე არსებობს უკვე IX საუკუნიდან, იმაზე მიუთითებს, რომ განათლებული ქართველობა ასეთ შრომებს არა მარტო კითხულობდა და შეისწავლიდა, არამედ იყენებდა თავის ორიგინალურ ნაწარმოებებსა და პრაქტიკაშიც“ (ბერიტაშვილი 1957: 97-107).

შუა საუკუნეების სამედიცინო ხელნაწერებში თვალსაჩინოა უხვად გამოყენებული როგორც ბერძნული, ისე არაბულ-სპარსული სამედიცინო ლექსიკა, რომლის გარკვეული რაოდენობა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდშია შესული.

ბერძნული წყაროების შესაბამისად, ქართული ეგზეგეტური და ფილოსოფიური თხზულებების თარგმანებში საღვთისმეტყველო ლექსიკასა და ტერმინულ ერთეულებთან ერთად წარმოდგენილია საერო – ზოგადსამედიცინო ლექსიკა. ამგვარი მასალა საკამოდ ბევრია ქართული სამედიცინო შინაარსის ხელნაწერებში: ავგაროზი, სტომაქი, ორგანო, ქსენონი, სტვიქისი, იოგი, ნესტვი, ტიფი, ლარი და სხვ.

არაბული წარმომავლობის ლექსიკიდან აღსანიშნავია, მაგალითად, „ექიმი“ (არაბ. ḥakīm) – მკურნალის ზედწოდება, ბრძენს, გონიერს, ფილოსოფოსს, ექიმს ნიშნავს. დღესაც ზეპირმეტყველებასა და სალიტერატურო ენაში „მკურნალი ექიმი“ ბუნებრივად ჟღერს (არაბულად მკურნალს tabīb-ი ეწოდება). ჩანს, ქართულ სამედიცინო მწერლობაში მკურნალს უფრო მეტი მოეთხოვებოდა, ვიდრე სწეულის მხოლოდ მედიკამენტებით განკურნება. ამას ადასტურებს „წიგნი სააქიმოის“ შესავალში ჩამოთვლილი ექიმის მოვალეობანი: „აქიმი ეგეთი ხამს, რომელ აქიმობაი კარგად და სრულად იცოდეს, მრავალი სააქიმოი წიგნი წაეკითხოს მეცნიერთა ოსტატთა აქიმთათანა ... მრავალჯერ კურნებასა დამხუდარიყოს ... მისანდობელი და უხარბო იყოს, ზანტი არ იყოს და გლახაკთა უნუკვარი იყოს“; ექიმი „შინ მისანდობელი არს ... ფარდაგიანნი ხელსა მიუპყრობდენ და მაჯასსა უჩუენებდენ და ვითა მოძღვარსა ეგრე მიენდობვიან“ (წიგნი სააქიმოი 1936: გვ. 9-10).

ასევე, სიტყვა კარაბადინი (არაბ. karābādīn), რომელიც ქართული სამედიცინო და ვეტერინარული შრომების თითქმის ზოგად სახელწოდებად იქცა, არაბულენოვანი წყაროების გზით შემოვიდა ქართულში. ტერმინი პირველად „უსწორო კარაბადინის“ სათაურში დაფიქსირდა და მას შემდეგ XX საუკუნის დასწყისამდე სამედიცინო შინაარსის თხზულებათა ზოგად სახელწოდებად გამოიყენებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ არაბულ-სპარსული ლექსიკა ქართულ სამედიცინო თხზულებებში ხშირად ორიგინალთან ზედმიწევნითი სიზუსტის დაცვით იყო ნაკარნახევი.

გაქართულებული არაბული სამედიცინო ლექსიკიდან აღსანიშნავია: აბი, ბალამი, ბუასირი/ბოვასილი, ბურანი/ბუჰრანი, ვარამი, ზაფრა (ნაღველი), მალამო, მაჯასი/მაჯა მაჯისცემა (პულსი), ნიკრისი, ტლე/ტილაუ (სალბუნი), შაკიკი, შარბათი, ხუნაყი/ხუნაგი (დიფტერია), ჰუკნა/ჰუყნა, ასევე, ინფექციურ დაავადებათა დასახელებები, რომლებიც თავად ტექსტებშია განმარტებული (აღნიშნული მასალის შესახებ იხ. ტერმინთა ლექსიკონი).

განსაკუთრებული სიჭრელით ხასიათდება გვიანი შუა საუკუნეების „სხვათა სიტყვათაგან აღრეული“, სპარსულ-არაბული ლექსიკური ერთეულებით გადატვირთული ენა. ამ ტერმინულ ერთეულთა დიდი ნაწილი დამკვიდრებულია ენაში, მათი ხმარება კარაბადინებშიც სრულიად ბუნებრივია. ამავე დროს ჩვენი მწიგნობრები ცალკეულ ქართულ სამეცნიერო თარგმანებსა და კრებულებს ურთავენ სპეციალურ ლექსიკონებსა და განმარტებებს, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული პრაქტიკული და საგანმანათლებლო მიზანდასახულობა აქვთ.

ზოგადად, თარგმნისას, პირველადი თარგმანი იქნება ეს თუ მეორეული/ კომენტირებული/შევისებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამოსავალი ტერმინების ზუსტი ეკვივალენტისა თუ მისი განმარტების დართვას. ასეთი შესატყვისები ხშირად არ მიაწინებენ განსამარტი ტერმინის შინაგან ფორმაზე და ძირითად შინაარსზე და საჭირო მიმართებას იძენენ მხოლოდ მთარგმნელისეული განმარტების შე-

დეგად (ლამბაშიძე 1966). ამდენად, საგანგებო როლი ენიჭება მთარგმნელის როლს, მის ცოდნასა და ერუდიციას.

სწორედ ამ კუთხითაა განსაკუთრებით საგულისხმო ქართული სამედიცინო შინაარსის ხელნაწერების ლექსიკოგრაფიული მასალა, ტექსტებში ჩართული ლექსიკა, სამედიცინო და ბიოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონები, რომლებიც შეიცავს წამალთა და სამკურნალო მცენარეთა ქართულ, ლათინურ, ბერძნულ, აღმოსავლურ დასახელებებსა და მათ ქართულ შესატყვისებს. მაგალითად, H 343, S 19, № 69/გორი/ – დაუთხანის „იადიგარ დაუდის“ შემცველი ხელნაწერები; H 414 – ცხენის კარაბადინი, Q 877 – ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო ნიგნი“ და სხვ.; მატენადარანის ხელნაწერი № 17, რომელიც დიდ მსგავსებას იჩენს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კრებულთან Q 281, შეიცავს მრავალფეროვან მასალას, მათ შორის ტერმინოლოგიურს – დაავადებათა და მცენარეთა დასახელებებს შესაბამისი ტერმინული შესატყვისებითა თუ განმარტებებით: *მათბუხი ბანავშ- კაცს რომ გვერდი სტკიოდეს, მათბუხი ჰალაჯან – მლიერსა ჰქვიან, შაჰთარა-ქასნის თესლი, ასლი ასინდუბა – ვითამცა ვენახის ღიჭიო, ავსანთინი რუმი – აზზინდა, აღა ყარყარჰა და უდულ ყარყაჰა – ორივე გარეული ტარხუნის ძირსა ჰქვიან და სხვ.*

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ შეიცავს მდიდარ მასალას სამეცნიერო ცოდნის თანადროული დონის, სპეციალური ლექსიკა-ტერმინოლოგიის შექმნა-დამკვიდრების თვალსაზრისით. ქართველი განმანათლებლებისა და მეცნიერებისთვის საბას ლექსიკონი საუკუნეთა განმავლობაში იყო საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა ენის შემდგომი გამდიდრება და განვითარება ისტორიულ-კულტურული კონტექსტით განპირობებული ახალი სამეცნიერო ტერმინული ერთეულების შემოტანის გზით.

ასეთი მიდგომით ხასიათდება ვახტანგ VI-ის, იოანე და დავით ბატონიშვილების ტერმინთშემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც ემყარება წინარე გამოცდილებას და ქართული, აღმოსავლური და ევროპული წყაროებიდან მომდინარეობს.

მოვიყვანთ მაგალითებს: საბრი და უდი – ალოე (საბას განმარტებით, აზუა) – გვხვდება „იადიგარ დაუდიში“, „ნიგნი სააქიმოისა“ და სხვა ბევრ სამედიცინო თხზულებაში, კარაბადინსა თუ ცალკეულ რეცეპტში, ასევე, ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ „ცხენის კარაბადინში“, „ქიმიაში“.


ასეთივე გავრცელება აქვს შემდეგ მცენარეთა დასახელებებს: ჯავზი – კაკალი, ხარდალი – მდოგვი, ბადიანა – კამა, ანზალი – გოგრა და სხვ., რომელთა ფართო გამოყენება და მათი არაბულ-სპარსულ დასახელებათა ხმარების ტრადიცია ძველი კარაბადინებიდან და სამედიცინო ნიგნებიდან მომდინარეობს.

სპეციალური დანიშნულების, ტექნოლოგიური ფუნქციის მქონე ზოგიერთი სპარსულ-არაბული წარმოშობის ტერმინი ასევე ფართოდ იყო გავრცელებული როგორც მნიგნობრულ ტრადიციაში, ისე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით: ავანი/ჰავანი/ავანგი, სომხურ-ქართული საერთო ხმარების ირანულიდან მომდინარე ლექსემა (აბულაძე 1944; ანდრონიკაშვილი 1966) – როდინი, ფილთაქვა – გვხვდება „უსწორო კარაბადინში“,

„იადიგარ დაუდიში“, „ქიმიში“, თუმცა მის პარალელურად გამოიყენება ქართული „როდინიც“. ასევე, ჰალი – ნადნობი; ხელნაწერებში ძალზე ხშირად ხმარებული ყურსი – აბი, კვერი. აღნიშნული ტერმინი ყველა ქართულ კარაბადინსა და სამედიცინო წიგნში გვხვდება. მან ჩაანაცვლა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქართული „კვერი“.

სამედიცინო მნიგნობრული ლექსიკის ახალი, ევროპული, ლათინურ-რუსული მასალით გამდიდრება დავით და იოანე ბატონიშვილების და მათთან ერთად ვასილ ჭილაძის (ქუთათელაძე 1967; კიკნაძე 2015) რუსეთში მოღვაწეობას უკავშირდება.

ამ მხრივ საინტერესო მასალას გვანვდის ეროვნულ არქივში დაცული ერთი ხელნაწერი (1446/106) – სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ნუსხა, რომელიც 1764 წელს ყიზლარშია გადაწერილი. ნუსხა დავით ბატონიშვილს ეკუთვნოდა. მისივე მინაწერის მიხედვით, მან პეტერბურგში შეისყიდა რუსული ლექსიკონი, დაურთო „განმარტებანი ცხოველთა და ბალახთანი, რომელიც საბას არც სმენოდა“. აღნიშნული მასალა დავით ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული მუშაობის მეორე ეტაპადაა მიჩნეული.



ფოტო 20.

ვიემ, №69, კრებული.

ლექსიკონს უძღვის „საქართველოს მეფის გიორგის ძის იოანესგან პოვნილნი და ქმნილნი“ სალექსიკონო ერთეულები „რუსული, თათრული, ქართული“. ხელნაწერის ტექსტი მთლიანად დავით ბატონიშვილის მიერაა ნასწორები. ხელნაწერში მოტანილი ტერმინული ერთეულები განეკუთვნება ზოოლოგია-ბოტანიკის, საბუნებისმეტყველო, კერძოდ, მინერალოგია-გეოლოგიის სფეროებს, მასში მრავლადაა მცენარეული სამკურნალწამლო საშუალებები რუსული, ლათინური შესატყვისებით, „ნონა ნამლე-ბისა“, „საექიმო სწავლა“ და სხვ. სალექსიკონო მასალა სამენოვანია, ზოგჯერ „თათრული“ და სომხური ერთეულებიცაა განმარტებული თავად ბატონიშვილების მიერ.

მასალის შესწავლის შედეგად შესაძლოა გამოიყოს ტერმინთა ფორმების შემდეგი სემანტიკური ნიმუშები: შემოსული ტერმინები, საზოგადო სიტყვების მნიშვნელობის სპეციალიზაცია, სემანტიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული ტერმინები (როდესაც ტერმინი იქმნება ორი ან მეტი სიტყვის შერწყმის შედეგად, მაგრამ არ ხდება მათი ერთ ახალ ტერმინად ჩამოყალიბება); რთული ტერმინები/ფრაზები.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში, ტერმინული ერთეულის განმარტებები აღწერილია და არ არის მოტანილი პირდაპირი შესატყვისები, რაც შემდეგი გარემოებებითაა განპირობებული: ქართულ ენაში არ არსებობდა ზუსტი შესატყვისი ერთეული, შემდგენელი ცდილობდა ამომწურავი აღწერით მიენოებინა მკითხველისთვის ტერმინის შინაარსი. ამგვარ მოვლენას ვხვდებით ვახტანგ მეექვსის თარგმანებში, როდესაც მთარგმნელს შემოაქვს უცხო სიტყვა/ტერმინი ქართული შესაბამისი ლექსიკური ერთეულის არარსებობის გამო და მას იქვე განმარტავს სიტყვათშეთანხმებით ან ფრაზით, მაგალითად:

„მაჯუნი (მა'ჯუნ) – სხვათა ენაა, ქართულად დუბეიდ ჰქვია“ (იგულისხმება ტერმინის შინაარსი – ნარევი ელექსირი, კონფორტატივი, ორი ან მეტი კომპონენტისაგან შედგენილი), კოლინჯი – ესე ნაწლევი არს უპეის ქვევით, რომელი მიმოვალს აქეთ იქით“. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სემანტიკური ინტეგრაციის შედეგად შექმნილი უცხოენოვანი ტერმინი ნუსხაში ერთი ქართული პირდაპირი შესატყვისითაა მოტანილი: „კუტუფი ჰულბა – შემგბარი“ (საბას ლექსიკონის კულტუფი და ჰულბაი – განმარტების გარეშეა მოყვანილი კარაბადინიდან). მცენარე ჰულბა/ჰულბაი, საბას განმარტებით, არის ბალახი ულბო, ზოგიერთი ნუსხის მიხედვით – შამბალილა. ამ შესატყვისის უწერს დავით ბაგრატიონი აღნიშნულ შედგენილ ტერმინს.

სულხან-საბას ლექსიკონის პარალელურად დავით და იოანე ბატონიშვილების სალექსიკონო მასალაც ვრცელდებოდა სპეციალურ ლიტერატურაში. სანიმუშოდ შეიძლება მოვიხმოთ გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ნუსხა № 69, რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს დაუთხანის კარაბადინი – „იადიგარ დაუდი“. იგი იოანე მღვდლის მიერაა გადაწერილი მოზდოკში 1792 წელს. გადამწერის სიტყვებით, მას ნუსხა „ბატონიშვილის მირიანის“ კარაბადინისაგან გადმოუწერია. ხელნაწერს ერთვის გადამწერისა და მთარგმნელის ანდერძები; წამალთა აღმოსავლური სახელები ქართული შესატყვისებით; სიცოცხლის წრეების სქემა; პურის, ხორცის, რძის თაბიათები /ბუნება/; ფერად-ფერადი მალამოების დამზადება, მაჯუნების /ზემოთ აღნიშნული წამალთა ნარევი, კონფორტატივი/ ნუსხა, საძიებელი. (ფოტო 20)

განსაკუთრებით საგულისხმოა ხელნაწერის მეორე ნაწილი – „მეორე კარაბადინი“, რომელიც, შემდგენლის სიტყვით, დავით ბატონიშვილისგან „გადაწერა“. ტექსტს ერთვის ლექსიკონი – „წამლების სახელები თათრულისაგან ქართულად“.

ხელნაწერი კრებულის დასაწყისში შემდგენელი აღნიშნავს, რომ მან (გარსევანოვმა) შეაგროვა „ახლად ქართველთა მიერ გამოყენებული“ მცენარეული წამლები და დააღაგა ანბანურად. ქართულად მოყვანილ ტერმინს ახლავს რუსული შესატყვისი და ენციკლოპედიური ხასიათის აღწერა-განმარტება (აბზინდა – პალინ, სამკურნალო მცენარე; ალისარჩული – ყვითელი მცენარე, გამოიყენებოდა საღებავად); აქვეა მოცემული გარეგანად სახმარი წამლის/მაღამოს დამზადების რეცეპტი – კომპონენტები და ტექნოლოგია. ამ შემთხვევაშიც ის ტერმინული დასახელებებია წარმოდგენილი, რომლებიც გვხვდება სულხან-საბასთან, იოანე და დავით ბატონიშვილების დანართებში: ლახოსტაკი – ნელსაცხებელი, წარბთ საღებავი ქვა, გუნდა; ავაჯუა/ჰავაჯუა – მესხურ-ჯავახური ოჯახური მრავალწლიანი მცენარე, ძირნითელა, ასევე, ზემოთ განხილული ზოგიერთი ტერმინი. ისინი განმარტებებისა და პირდაპირი შესატყვისი ერთეულების გარეშეა მოცემული, რადგან საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული იყო მოსახლეობაში.

განხილული ლექსიკოგრაფიული მასალა ასახავს ქართველ მწიგნობართა თაობების მუშაობის მთელ სურათს – ქართველი მეცნიერი-განმანათლებლების მიერ მასალის შემატება-გამდიდრების პროცესს კულტურული გარემოს, ავტორთა/თანაავტორთა ინტერესებისა და ერუდიციის კვალად, მულტიკულტურულ ცოდნასა და კულტურულ მედიატორთა პრაქტიკულ მიზანდასახულობას.

მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებები ქართულ საექიმო ნიგნებსა და კარაბადინებში

ფუნდამენტურ სამედიცინო თხზულებებში (ქანანელის „უსწორო კარაბადინი“, ხოჯაყოფილის „ნიგნი სააქიმო“, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო ნიგნი-კარაბადინი“, დავით ბაგრატიონის/დაუთხანის „იადიგარ დაუდი“) აღწერილ სამკურნალწამლო საშუალებებში გამოყენებული ნედლეული ცხოველური, მცენარეული და მინერალური წარმოშობისაა. ქართულ კარაბადინებში სამკურნალწამლო საშუალებების აღწერილობების საფუძველზე გამოიყო 40-მდე მინერალური წარმოშობის ნივთიერება, მათი დანიშნულების (სამკურნალო ფუნქცია, შემავსებელი, გამხსნელი და სხვ.) მითითებით. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ კარაბადინებში არ არის მოცემული ამ ნივთიერებების თვისებების აღწერა, თუმცა მათი გამოყენების ხერხების მითითება ცხადყოფს ამ მასალის შესახებ გარკვეული ცოდნის არსებობას.

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო ნიგნი – კარაბადინში“ დასახელებულია „ქვა მალნიტისა, რომელი რკინას აიღებს“ – მინერალი (მაგნეტიტი, ქიმიური ფორმულით – Fe_3O_4 ე.წ. რკინაქვა), რომლის ფხვნილის გამოყენება მითითებულია ორგანიზმიდან (კუჭ-ნაწლავიდან) რკინის წიდის გამოსადევენ საშუალებად: „მათთვის, რომელთა რკინისა წიდა ეჭამოს და მუცელსა შიგა დარჩუმოდეს, კურნება მათი ესე არს. – აიღე: ქვა მ[ა]ლნიტისა, რომელი რკინას აიღებს, – ნახევარი მიტყალი, დანაყე კარგად და შეასუი ღვინითა ანუ ტფილითა წყლითა, ვირე შეკრიბოს წიდა იგი ერდგან“ (სამკურნალო ნიგნი – კარაბადინი 1979: 559,15).

დაუთხანის „იადიგარ დაუდიში“ კბილის დაავადებებსა და მკურნალობას მთელი თავი ეძღვნება, სწორედ ამ თავში დასახელებულია ალმასი, სიმაგრის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე (ფარდობითი სიმაგრის მინერალოგიური 10

ბალიანი მოოსის სკალით აღმასის ფარდობითი სიმაგრე 10-ის ტოლია) მინერალი, რომელიც განიხილება, როგორც კბილის ამოსაღები საშუალება: „ვინცა აღმასი კბილზედად დაიდვას, კბილი ნაფეთ-ნაფეთად დაამტუროს და ამოილოს და, თუ კაცმან ჭამოს, მაშინვე ნანლავები დაუჭრას და მოკლას“ (იადიგარ დაუდი 1985: 312,26).

მარილი, მარილწყალი, ქვამარილი, კარაბადინების მიხედვით, სხვადასხვა სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენებოდა, მაგალითად, ურჩევდნენ კბილის ამოღებისას: „რა კბილი ამოაძრონ, მოიტანე მარილწყალი და ამა მარილწყალშიგა ძველი ბამბა დააღებეთ და ამოძრობილი კბილის ალაგი ამა მარილწყალიანისა ბამბით გამოუტენონ, და ისრე დაიძინოს და გათენებამდისი შიგ უნდა ედვას, სხვასა კბილებსა დაამაგრებს და ადგილიდალმან აღარ დასძრავს, ღძილებსა შემოჰყრის“ (იადიგარ დაუდი 1985: 312,26).

სამკურნალო წიგნებში გილი არმანი, გილერმანი (ტალახი, თიხა, მინა სომხური, Bolus Armenica/Bolus Armenus – წვრილმარცვლოვანი რკინოვანი თიხა დამახასიათებელი ყვითელი ან მოყავისფრო-წითელი ფერის, ძლიერი შემკვრელი თვისებებით) და/ან გილი მახთუმი (თეთრი თიხა, Bolus Alba – ბუნებრივი სილიციუმშემცველი ენტეროსორბენტი, რომელიც შედგება კაოლინიტის $(Al_4[Si_4O_{10}](OH)_8$ ჯგუფის ერთი ან რამდენიმე მინერალისაგან) მითითებულია როგორც რთული შედგენლობის სამკურნალწამლო საშუალებების ერთ-ერთი კომპონენტი ისეთ შემთხვევებში, როგორებიც არის სისხლის დენა, კუჭ-ნაწლავის დაავადება, ფალარათი, მონამვლა, კანის დაავადება და სხვ. მაგალითად, ცხვირიდან სისხლის დენის შეჩერების წამალი ასე არის აღწერილი: „ბურჰამან აქიმმან თქუა: ესე წამალი, სისხლის დაწყუეტისათვის ბევრჯელ მიქნია, და დამიცადიაო. მოიტანე თოვლისა, ბაზარუჯისა და კიტრის გულის წყლები და ამა წყლებშიგა გილი არმანი გააყენეთ და ცოტა ქაფურიცა გაურიეთ, და ორსავე ცხვირშიგა უნდა ჩაასხან (იადიგარ დაუდი 1985: 260,37). „იადიგარ დაუდის“ 28-ე თავში, რომელიც „სუდასა, წყურვილისა და სტომაქის ტკივილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებს გამცნებს და გიამბობს“, მოცემულია დაავადებულისთვის წყლისა და საჭმლის თანმიმდევრობით მიცემისა და შეზღუდვის ეტაპები, ასევე, სამკურნალწამლო საშუალებები, რომელთა შორის დასახელებულია გილი არმანის /გილი მახთუმის შიგნით მიღება, რაც თიხის შემომგარსველი და მადსორბირებელი თვისების გამოყენებას ითვალისწინებს: „მერმე წყალი ასრე უნდა აუკრიფოთ რომე აღარ ასვათ, და არცა საჭმელი და პური აჭამოთ, და თუ უწყლოობა მწოვედ მისჭირდეს, ვარდის წყლითა თეთრი სანდალი გალესონ და ასვან,...ან ამავე რიგად თაბაშერი ჰინდი გალესონ და ასვან, ან გილი არმანი ან გილი მახთუმი ასვით“ (იადიგარ დაუდი 1985: 365,18). კანის დაავადებების (კარი მღიერისა; მღიერი – ქეცი ან მუნი) მკურნალობისას კი მითითებულია: „...გარშემო გილი ერმანისა და ძმრისა ტლე შემოსდვას და ფერომ[ა]რულისა მალამა შემოსდვას“ (ფანასკერტელი 1978: 622,18).

გოგირდი ადამიანის ორგანიზმში შემაჯავალ მიკროელემენტთა რიცხვს მიეკუთვნება, ნივთიერების სახით კი ხასიათდება ანტისეპტიკური და ანტიპარაზიტული მოქმედებით, რაც შესაბამისად ასახულია სამკურნალო წიგნებსა და კარაბადინებში: „გოგირდი, მხურვალე და ხმელი არის, კაცსა რომე მუნი ესხას და ესე გოგირდი თაფლითა ჭამოს და ტანზედაცა შეიცხოს, მუნსა უშველის“ (იადიგარ დაუდი 1985: 219,14); მუნის (მუნი – კანის პარაზიტული დაავადება, რომელსაც მუნის ტკიპა იწვევს) სამკურნალოდ გოგირდის გამოყენება აღწერილია ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“: „სხვა წამალი მუნისა. – აილე ხარის-ძირა, დან[ა] ყე და გაცარ და აილე ზეთი და გოგირდი, და ძმარი გაურიე, გა[ა]თბე და შემწენ, და უშუელის“ (ფანასკერტელი 1978: 626,26).

გოგირდს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამკურნალო მიზნებისთვის, ამით აიხსნება, რომ მის დაწვრილებით აღწერას და გასუფთავების ხერხებს ვახტანგ VI თავის ცნობილ სახელმძღვანელოში „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, შეკრებული მეფის ვახტანგისაგან“ (ხეც. S 3721) დიდ ყურადღებას უთმობს: „გოგირდი ერთი ქარვას გავს, ერთი ყვითელია, ერთი მოშაო და ტრედის ფერი. იტყვიან, წითელიც იყოს მადანი, მაგრამ ქიმიანიც გა[ა]კეთებენ წითელს და ყვითელიც ბევრ რიგია: ზოგი ნაჭერია, ზოგი მგრგვალი და გძელია, ზოგი სხვა რიგისა, მაგრამ ამ ყვითელს, ყველას ერთი ხასიათი აქვს და, რაც ზეთი რომ დაგვიწერია, ამ ყვითლის მეტი სხვა არ ვარგა და არაყად – თეთრიც კარგია“ (ვახტანგ VI 1981: §13). ამრიგად, განხილულია გოგირდის ფერი, ფორმა და აღნიშნულია, რომ სისუფთავის მხრივ ყველაზე მაღალხარისხოვანია ყვითელი გოგირდი. „ქიმიის“ სხვა პარაგრაფში აღწერილია სუბლიმაციის გზით გოგირდის განმწმენდის მეთოდი – მეოთხე გამოხდა გოგირდის ზეთისა (ვახტანგ VI 1981: §11).

საინტერესოა, რომ სამკურნალო მიზნით გამოიყენებოდა როგორც გოგირდი, ისე „გოგირდის წყალი“ – გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) წყლები, რომლებიც მიეკუთვნება ბალნეოლოგიურ წყლებს და გამოიყენება გარეგანი (მინერალური წყლის აბაზანები) და/ან შინაგანი (სასმელი, ინჰალაცია, შესხურება, მოსხურება, ოყნები) მოხმარებისთვის. აღნიშნული წყლების გამოყენება რეკომენდებულია: გულ-სისხლძარღვთა, ძვალ-კუნთოვანი, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული, ენდოკრინული სისტემების, ასევე, გინეკოლოგიური, უროლოგიური და კანის დაავადებების სამკურნალოდ. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: „რაც ალაგი ფილენჯის ქარისაგან (ორგანიზმის ერთი რომელიმე ადგილის დამბლა) შეტაცებული ჰქონდეს, ...თავსა და ტანსა და დაჭირულსა ასოსა და ძარღვებსა გოგირდის წყლითა, და ან შაბის წყლით დაიბანდენ“ (იადიგარ დაუდი 1985: 275,11)

„კიდევ ერთი შარდის გადენის სენისა ეს არის, რომე კაცსა შარდი მუდამ გაზდიოდეს და შარდის გადენას ვერ შეიტყობდეს. ამისა მიზეზი სიგრილისა და თირკმლის სიცივისაგან იქნების. ამისი წამალი რწყევა და გოგირდის წყალში ჩაჯდომა არის (იადიგარ დაუდი 1985: 450:15).

ვერცხლისწყალი და მისი ნაერთები უძველესი დროიდან გამოიყენება მედიცინაში. პლინიუს უფროსი (ჩვ. წ. I ს.) ვერცხლისწყალს მარადიულ სითხესა და ყველა საგნის საწმამლავს უწოდებს. ითვლება, რომ სწორედ პლინიუსთან პირველად იხსენიება სახელწოდება Hydrargirum, ანუ „ვერცხლის წყალი“, თუმცა, უფრო ხშირად ამ ლათინური სახელწოდების ავტორად მოიხსენიება I საუკუნის ძველბერძენი ექიმი პედანიოს დიოსკორიდე, კილიკიის ქალაქ ანაზარბის მკვიდრი. ვერცხლისწყალი, ერთადერთი მეტალი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში თხევადი სახით გვხვდება, მუდმივად ინვევდა ინტერესს, შესაბამისად, ძალიან ადრე გახდა ცნობილი მისი თავისებურებები – სამკურნალო თვისებები და ტოქსიკურობაც. ვერცხლისწყალი, ასევე, სულეიმანის, სულეიმანის მაჯუნის სახელწოდებით ცნობილი ვერცხლისწყლის ნაერთი – სულემა (შედგენილობით: $HgCl_2$) გვხვდება ქართულ სამკურნალო წიგნებში როგორც ანტიპარაზიტული, სადეზინფექციო, ანტისეპტიკური საშუალებები: „კიდევ კაი წამალი, რომე მუნს უშველის: მოიტანე სამი კუერცხი და კარგად გათქუიფეთ, მერმე მოიტანეთ ერთი დირჰამი სულეიმანი, ვითამცა და დარიშხანაო, და წმიდად დანაყეთ და ამა კუერცხის ცილაშიგა ჩაყარეთ,...და ერთსა დღესა დღამესა შეინახეთ, და მეორეს დილასა მუნიანი კაცი აბანოშიგა შევიდეს და მუნი კარგად დაიფხიკოს, და მერმე ესე წამალი...მუნზედა შესცხონ, და ორსა საათსა ამყოფონ და მას უკან თბილის წყლითა დაიბანონ, და ღ'თითა უსათუოდ ეშველებს (იადიგარ დაუდი 1985: 515,37).

მოცემული რეცეპტის თანახმად, აღნიშნული რთული შედგენილობის სამკურნალწამლო პრეპარატი სულემა ისეთივე მოქმედებას აწლავნებს, როგორსაც დარიშხანი. დარიშხანს, დარიშხანის ბუნებრივ ნაერთებს გოგირდთან, ანუ სულფიდურ მინერალებს – აურიპიგმენტს As_2S_3 და რეალგარს AsS – უძველესი დროიდან წამლად იყენებენ და ისინი ქართულ წყაროებში გვხვდება ზარნახი//ზარნეხი//ზარნიხის//ზირნიხის სახელწოდებით. საინტერესოა, რომ ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნში „მონამვლების“ თავში ზარნახი ნახსენებია როგორც საწმამლავი – „კაცსა კაცისათვის ...ზარნახი ეჭმევინოს“, მოცემულია მონამვლის კლინიკური სურათი: „ტანი სრულად ასტკივდეს და წელებშიგა მღიერი შექნას და საჯა (მუცლის ყვანა, სისხა, სისხლით ფაღარათი) გამოუჩნდეს“, კლინიკურ ნიშანთა აღწერას მოსდევს მომწამვლელი ნივთიერების ანტიდოტის (გამანეიტრალებელი, გარსშემომკვრელი საშუალებები) აღწერა, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით „მისი წამალი ესე არს“ (ფანასკერტელი 1978: 250,34). ამავე დროს, ნაჩვენებია, რომ ზარიკი (arsenicum, დარიშხანი) შედის კომპონენტის სახით კბილის ტკივილის საწმამლავადეგო რთული სამკურნალწამლო საშუალების შედგენილობაში (ფანასკერტელი 1978: 371,25). ამრიგად, კარგად არის ცნობილი დარიშხანისა და მისი ნაერთების როგორ სამკურნალო, ისე ტოქსიკური მოქმედება.

კარაბადინებში დასახელებული მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებები, ძირითადად, ბუნებაში თვითნაბადი მარტივი (გოგირდი, ალმასი,

ვერცხლი, ვერცხლისწყალი, ოქრო და სხვ.) და რთული ნივთიერებების – ნაერთების (მაგნეტიტი, ქვამარილი, შაბი, არჯასპი, სინგური, თაბაშირი, და სხვ.) სახითაა გავრცელებული. ამავე დროს, სამკურნალო მიზნით გამოყენებულ მინერალური წარმოშობის ნივთიერებებს შორის არის გარკვეული ტექნოლოგიური პროცესების შედეგად მიღებული ნივთიერებები, როგორცაა: სურინჯი (ქიმიური შედგენილობით: ტყვიის ორმაგი ოქსიდი, Pb_3O_4), მურდასანგი (შედგენილობით: ტყვია (II)-ის ოქსიდი, PbO , ყვითელი სურინჯი), ინდოური ზანგარა/გუნდა/ჟანგარა/ჟანგარო/ლახოსტაკი/ლახოსტაკი (შედგენილობით: სპილენძ (II)-ის აცეტატი, $Cu(CH_3COO)_2$; Cuprum Aceticum), და ზოგიერთი სხვა.

ლახოსტაკის, როგორც სპილენძ (II)-ის აცეტატის, გამოიყენება ნაჩვენებია ქეცისა და მუნის საწინააღმდეგო რთული შედგენილობის ნამლებში: „კიდევ მწოვედ კარგი ნამალი: მოიტანე ფარსი გოგირდი ექუსი დირჰამი, მურდასანგი, ლახოსტაკი, ინა და თუთიაი ყალამი ოთხ-ოთხი დირჰამი, ვერცხლის წყალი ორი დირჰამი, და მურდის ფოთოლი დირჰამ ნახევარი. ესე ნამლები ყუელა დანაყონ და წმიდად გაცრან. და პირველ ინა წყლითა მოზილონ და ვერცხლის წყალი ამა ინითა მოკლან, მერმე სრულად ესე ნამლები ერთის კვერცხის ცილითა მოზილონ და კვერცხის ნაჭუჭშიგა ჩადვან და ესე კვერცხის ხეჭუჭი ცომშიგა წაახვიონ და ცხელსა ნაცარშიგა ჩაფლან, და რა კარგად შეიწვას ორასის დირჰამის შავის ცხურის დუმითა გააყენეთ და აბანოშიგა ტანზედა შეცხონ, და იმ დღესა და ღამითა ზედ უნდა იყოს, და მერმე კიდევ აბანოშიგა შევიდეს და იბანოს“ (იადიგარ დაუდი 1985: 515,17).

ამავე დროს, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ლახოსტაკი „წარბთ საღებავი ქვაა“, ანუ წარმოადგენს კოსმეტიკაში შავ საღებავად გამოყენებულ საშუალებას, რომლის ქიმიური შედგენილობის შესახებ წარმოადგენას იძლევა ვახტანგ VI-ის „ქიმიის“ სახელმძღვანელოში (ვახტანგ VI 1981: §58) აღწერილი რეცეპტი „გაკეთება ლახოსტაკისა“: „მოიტანე ოთხი წონა სპილენძი, პტყლად განეული, სამი წონა გოგირდი. სპილენძის მეთერთმეტედი მურდასანგი. გოგირდი და მურდასანგი ერთად დანაყე. სპილენძი, რა ერთათაც გინდოდეს დასჭერ. ერთი პირი დანაყილი გოგირდი ჩაყარე გამოუმწვარს თიხის ჭურჭელში და ერთი პირი სპილენძი დააწყევ საწამდინ გინდოდეს. პირი დაუჭირე, ქურაში ჩადევ, დაიწვას, გამოიღე. ლახოსტაკი იქნება, იმარე“. აქ აღწერილია ლახოსტაკის მიღების ხერხი, კომპონენტები და მათი ურთიერთმოქმედებისთვის საჭირო პირობები, რაც ხელს უწყობს სულფიდირების რეაქციის ბოლომდე ჩატარებას. პროცესის წარმართვა ჰერმეტიულ სივრცეში გამორიცხავს მიღებული პროდუქტის – სპილენძი (II)-ის სულფიდის, CuS – დაჟანგვის საშიშროებას, არ არის მოცემული რეაგენტიც, რომელიც აცეტატის მიღებას უზრუნველყოფს; მურდასანგის (PbO) დამატება კი, შესაძლებელია, ხელს უწყობდეს ლახოსტაკისათვის ბზინვარების მომატებას (ვახტანგ VI 2013: §58).

ლახოსტაკის შედგენილობის ვარიანტული ნაკითხვა იმ პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკის გამოვლინებაა, როდესაც ქიმიური შედგენილობის მიხედვით განსხვავებულ ნივთიერებებს ერთი და იგივე დასახელებით აღნიშნავდნენ, და პირიქით, ერთი

შედგენილობის (ქიმიური ფორმულის) ნივთიერებას – სხვადასხვანაირად ასახელებდნენ (გოგირდი, ქიბრიითი, ნუმნუმა).

კარაბადინებში დასახელებული მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებების შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც მედიცინის, ისე ქიმიის ისტორიის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ხელს უწყობს ნივთიერებებსა და მათ თვისებებზე, მათ შორის, სამკურნალო ფუნქციებზე წარმოდგენების, პრაქტიკული და თეორიული ცოდნის განვითარების ეტაპების გაგებასა და გააზრებას.

ქართული ვეტერინარული ხელნაწერები

ცალკე ჯგუფებს ქმნის ვეტერინარული ხელნაწერები. საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში დაცული ვეტერინარული ხელნაწერების კვლევა საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ, დროთა განმავლობაში, რომელი შინაური ცხოველებისა და ფრინველების დაავადებები განიხილება, რა დაავადებებს გამოყოფენ პრაქტიკოსი ვეტერინარები, რა სამკურნალწამლო საშუალებებსა თუ მანიპულაციებს მიმართავენ დაავადებათა სამკურნალოდ. შედეგად, იქმნება ვეტერინარიის განვითარების სურათი, ჩანს მისი სოციალური როლი საზოგადოებაში.

შინაურ ცხოველთა და ფრინველთა სხვადასხვა დაავადებები და მათი სამკურნალწამლო საშუალებები, ასევე, ნაწილობრივ, მათი მოვლისა და მოშენების ხერხები და მეთოდები, რომლებსაც ქართველი ხალხი იყენებდა, წარმოდგენილია ძველ ქართულ წერილობით ვეტერინარულ ძეგლებში, ანუ კარაბადინებში. შესაბამისად, არსებობს „ცხენის კარაბადინი“, „ფრინველის კარაბადინი“, „შევარდნის კარაბადინი“, „ძაღლის კარაბადინი.“ ეს ხელნაწერი კრებულები იძლევა მდიდარ მასალას იმის შესახებ, შინაურ ცხოველთა და ფრინველთა რომელი დაავადებები იყო ცნობილი ძველად საქართველოში და რა სამკურნალო საშუალებები გამოიყენებოდა მათ მიმართ.

ვეტერინარული ხელნაწერი წიგნები საქართველოში XVII საუკუნიდან გვხვდება. შესაძლებელია, ადრეულ საუკუნეებშიც იყო მსგავსი კრებულები, რადგან საქართველოში შინაური ფრინველებისა და ცხოველების დაავადებათა ცოდნა, მკურნალობა და შენარჩუნება მნიშვნელოვანი საქმე უნდა ყოფილიყო არა მარტო ელიტარული ფენებისათვის, არამედ ფართო სოციუმისათვის, მაგრამ მოღწეულ კარაბადინთა რაოდენობა, მათი თარგმანის ისტორია ან ორიგინალური კრებულების შექმნის შესახებ არსებული ცნობები XIX საუკუნის დასაწყისიდანაა ცნობილი (იოანე ბატონიშვილის დაწერილი „ძაღლის კარაბადინი“ Q 198).


გვიანი შუასაუკუნეებიდან იწყება კარაბადინების თარგმნა. ამ საქმეში თავისი კვალი დატოვა ვახტანგ VI-მ. მან სპარსულიდან თარგმნა ქართულად „ცხენის“ „ესე მცირე კარაბადინი“, რომელსაც, როგორც ხელნაწერი წიგნები Q 281 და S 14 გვაუწყებენ, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონია „ჭაბუკ მხედართათვის სახელოვნად და მთავართათვის და ჯოგის მყოლეთა“.

ვახტანგ VI-ის საქმე განაგრძეს და ვეტერინარიის განვითარებას განსაკუთრებული კვალი დაატყვეს გიორგი XII-ის შვილებმა იოანე და ბაგრატ ბატონიშვილებმა, რომლებიც საჭიროდ მიიჩნევდნენ ამ ცოდნის ქართველი ხალხისათვის გაზიარებას, რასაც კონკრეტული სარგებელი უნდა მიეცა ადამიანებისთვის.

სავარაუდოდ, სამედიცინო კრებულები ძალიან პოპულარული იყო და ისინი ხშირად გადაინერგებოდა ხოლმე, მაგრამ ინტენსიური გამოყენების გამო ზიანდებოდა, იფურცლებოდა და იხეოდა. ესაა მიზეზი, რომ არცთუ ბევრმა სამედიცინო კრებულმა მოაღწია ჩვენამდე.

ეს ხელნაწერები, ძირითადად, მოხატულობისა და საგანგებო მორთულობის გარეშეა დატოვებული. მათ შემკულობას წარმოადგენენ სინგურით გამოყოფილი საზედაო ასოები, მარტივი ორნამენტები. სამწუხაროდ, სამედიცინო კრებულებში არც სამედიცინო ხელსაწყოების ნიმუშებია მოცემული, რომ არაფერი ვთქვათ, ადამიანის ანატომიის შესახებ.

სამაგიეროდ, ევროპული გავლენით შექმნილი ზოგიერთი ვეტერინარული კარაბადინი გაფორმებულია სამედიცინო ხელსაწყოებითა და ცხოველთა ჩონჩხის გამოსახულებით, უკვე აღმოჩენილი და ცნობილი ფილოსოფიური საექიმო ძეგლების მიხედვით. (ფოტო 21)



ფოტო 21.

ხეც, Q 311, ვეტერინარული სამანიპულაციო იარაღები.

ცხოველთა და ფრინველთა კარაბადინები გვიანი შუასაუკუნეებიდან მოგვეპოვება, მათი რაოდენობა 47-ს აღწევდა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც კ. ჯვარშიშვილი იკვლევდა ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერებს. კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 30 ვეტერინარული კრებული, დანარჩენი 17- საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა მუზეუმებში. ამ 30-დან ექვსი ნუსხა „ფრინველთა კარაბადინის“ ტექსტს შეიცავს, 21 ხელნაწერი კი ცხენის სამკურნალოდ განკუთვნილი ხუთი სხვადასხვა შრომის ნუსხებია; ორ ეგზემპლარში ერთი და იმავე ტექსტის შემცველი კრებულებია და მათში ვეტერინარული რეცეპტურაა წარმოდგენილი, ხოლო ერთი – ძაღლის კარაბადინის ფრაგმენტს წარმოადგენს. თითოეულ ხელნაწერს თავისი წარმოშობა, თავგადასავალი და ღირებულება გააჩნია. ისინი გადაწერილია სხვადასხვა დედნიდან, განსხვავებული ცოდნისა და ლიტერატურული გემოვნების მნიშვნობართაგან.

კ. ჯვარშიშვილის მიხედვით, აღნიშნული ხელნაწერი წიგნები ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა.

I ჯგუფს განეკუთვნება ცხენის კარაბადინები, რომლებშიც წარმოდგენილია მოვლის, მკურნალობისა და მოშენების საკითხები. იგი, თავის მხრივ, ხუთ ქვეჯგუფს შეიცავს:

ა) I ქვეჯგუფს განეკუთვნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უძველესი H 414. იგი ნუსხურითაა ნაწერი, ქრონოლოგიურად ყველაზე ადრე შესრულებულ ნუსხას წარმოადგენს და მისი გადაწერის თარიღად XVII საუკუნის I და II ნახევრის მიჯნაა მიჩნეული. ტექსტი ფრაგმენტულადაა მოღწეული, შეიცავს 4 ფურცელს;

ბ) II ქვეჯგუფი შეიცავს ერთი და იმავე ტექსტის შემცველ ნუსხებს, რომლებიც თარგმნა ვახტანგ VI-მ სპარსულიდან. მათგან ყველაზე ადრეული 1763 წლითაა დათარიღებული, ყველაზე გვიანდელი – 1874 წლით. ამ შრომის ვრცელი რედაქცია 114 პარაგრაფისაგან შედგება, რომელთაგან 43 მიძღვნილია ზოოტექნიკური საკითხებისადმი, 71 კი ვეტერინარულ საკითხებს ეძღვნება.

ხელნაწერებზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა ვახტანგ VI-ის (1675-1737 წწ.) „ცხენის კარაბადინის“ კიდევ 4 უცნობი ნუსხა, რომლებიც, როგორც ჩანს, საცავებში გვიან შეიტანეს. აქედან გამომდინარე, ისინი ჯვარშიშვილის მონოგრაფიაში არ ფიქსირდება. ეს ხელნაწერებია: საქართველოს ეროვნული არქივის № 816, 1730-1820 წწ., 64 ფ.; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Q 1606, კარაბადინების კრებული, 1839 წ., 1r-51r; ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის № 46, 4, 1846 წ. (71r-122r) და ქუთაისის ისტორიული მუზეუმი K 716, XIX ს. 70 ფ.

გ) III ქვეჯგუფში შესულია გიორგი ბატონიშვილის (შემდგომში გიორგი XII-ის) ბრძანებით იოანე ოსეს ძის მიერ შესრულებული ნაშრომი. კარაბადინი შეიცავს 280 პარაგრაფს, რომელთაგან 56 ეძღვნება ზოოტექნიკურ, ხოლო 224 ვეტერინარულ საკითხებს. ანდერძის თანახმად, შემდგენელს უსარგებლია სომხურ ენაზე არსებული და ვახტაგ VI-ისეული კარაბადინებით. ამდენად, შრომა კომპილაციურია.

დ) IV ქვეჯგუფი შეიცავს ბაგრატ ბატონიშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილ ტექსტებს, რომლებშიც საუბარია ცხენთა და პირუტყვთა მკურნალობის შესახებ. ეს ქვეჯგუფი აერთიანებს 5 ნუსხას, რომელთაგან სამი ბატონიშვილის ავტოგრაფიული ნუსხაა. ერთ-ერთია Q 311. ნუსხა ორ სხვადასხვა ვეტერინარულ ნაშრომს წარმოადგენს. მისი პირველი ნაწილი წარმოდგენილია 4r-92v-ზე. იგი 1817 წელსაა დაწერილი პეტერბურგში, თარგმანი შესრულებულია ფრანგულიდან. წინ უძღვის ცხენის ანატომიის ამსახველი სურათი (3v), ხოლო 5v-6r-ზე ჩახაზულია ვეტერინარული სამანიპულაციო იარაღები წარწერებითურთ.

ე) V ქვეჯგუფში „ცხენის კარაბადინის“ ორი ნუსხაა წარმოდგენილი: S 3728 – და რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის (პეტერბურგი) ნუსხა № 24/20, რომლებშიც განხილულია ზოოტექნიკური და ვეტერინარული საკითხები, კერძოდ: დაავადებები – ცხენის კანის [მუნი], შუყაყი, სასუნთქი გზების [ხველა, ქოშინი – „ქუში“], საჭმლის მომნელებელი სისტემის, კბილებისა და ღრძილების დაავადებანი და სხვ. გარდა ამისა, მითითებულია დაავადებათა სამკურნალოდ გამოყენებული თერაპიული და ქირურგიული მეთოდები, მითითებულია სამკურნალო საშუალებები.

ვეტერინარულ ხელნაწერთა II ჯგუფში შესულია „ძაღლის კარაბადინი“. იგი ერთადერთი ნუსხითაა მოღწეული და ფრაგმენტს წარმოადგენს Q 198. კრებული ფრაგმენტი 6 ფურცელს შეიცავს, თარიღდება XVIII საუკუნით. გადარჩენილია ანდერძი, რომელიც გვაუწყებს, რომ „იქმნა საქართველოს მეფისძის ძის იოანესაგან“.


III ჯგუფი შეიცავს „ფრინველთა კარაბადინს“. მასში შინაურ ფრინველთა მოშენება-მოვლის, დაავადებებისა და მათი მკურნალობის საშუალებებია აღწერილი. უმრავლესობა XVII საუკუნეშია გადწერილი. ერთ-ერთ ხელნაწერს (Q 562:2) ერთვის ფიზიოლოგიური შესავალი. ილია აბულაძის აზრით, ძეგლის ენობრივი მონაცემების მიხედვით, იგი XII-XIII სს-ის თხზულებას უნდა წარმოადგენდეს. ეს გარემოება მკვლევრებს აძლევს საშუალებას, იფიქრონ, რომ ვეტერინარულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი გაცილებით უფრო ადრეა შექმნილი.

IV ჯგუფს განეკუთვნება ორი კარაბადინი, რომლებშიც თავმოყრილია ვეტერინარული რეცეპტურა. ხელნაწერებში განხილულია 117 რეცეპტი ისეთ სამკურნალო საშუალებათა ძირითადი ფორმებიდან, როგორებიცაა: შირა, ანუ ექსტრაქტი, მალამო, ხსნარი, მტვერი (დღეს ფხვნილი), აბი, შარბათი და სხვ.

Q 311 ვეტერინარული რეცეპტურა აღწერილია კრებულის შემდეგ გვერდებზე: 105r-149r. (ფოტო 22)

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ვეტერინარულ ხელნაწერ კარაბადინთა უმრავლესობაში, წმინდა ვეტერინარული საკითხების გარდა, აღწერილია ზოოტექნიკური საკითხებიც (იოანე ოსესძის მიერ გადმოღებულ-შედგენილი კომპილაციური შრომა „ცხენის კარაბადინი“, H 2156. მასში წარმოდგენილია შემდეგი პრაქტიკული რჩევები ცხენების მოშენებისა და მოვლის შესახებ: სანაშენოდ შერჩეული და გამოყენებული უნდა იქნეს სათანადო გარეგნობისა და ზნის მქონე ბედაური ცხენი; ცხენის მაკეობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მითითებულია იმის შესახებ, თუ წლის რომელ პერიოდში უნდა იქნეს აჯილდა ჯოგში გაშვებული; მოგების წინა პერიოდში მაკე ცხენზე უნდა მიმაგრდეს საქმის მცოდნე და გამოცდილი პირი, რომელსაც „ქეშიკი“ ეწოდებოდა. საგანგებო რჩევებია მოცემული ფრინველთა მკურნალობისა და მოვლა-მოშენების შესახებაც.

კვლევის შედეგები, ინფორმაცია და შეფასებები ავსებს აქამდე არსებულ მონაცემებს, მნიშვნელოვანია ვეტერინარიისა და ზოოტექნიკის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით; იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეებს.



ფოტო 22.

ხეც, Q 311, ცხენის ჩონჩხი.

*ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში
დადასტურებული ჭარხლის შემცველი რეცეპტურის მიხედვით
დამზადებული სამკურნალწამლო საშუალების
პროტოტიპის შესახებ*

მულტიდისციპლინური კვლევის შედეგად, ხელნაწერებში დამონმებული ჭარხლის (Beta Vulgaris) ფოთლების შემცველი რეცეპტურის საფუძველზე შემუშავდა ფარმაცევტული პრეპარატის პროტოტიპი (BVLP – Beta Vulgaris Leaves Prototype), რომელიც იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კლინიკამდელი ფარმაკოქიმიის კვლევის დეპარტამენტში ცხოველებზე გამოსცადეს ეთანოლით და NSAID (ინდომეტაცინით) ინდუცირებული ექსპერიმენტული პეპტიკური წყლულის მოდელზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ BVLP-ს ახასიათებს საშუალო სიმძლავრის გასტროპროტექტორული მოქმედება კუჭის ადგილობრივი გამაღიზიანებელი ფაქტორებით გამოწვეული კუჭის ლორწოვანი გარსის დაზიანებისას, ხოლო სისტემური მოქმედების აგენტებისთვის (როგორცაა სტეროიდები, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები) დამახასიათებელი დარღვევების პრევენციისთვის BVLP პრაქტიკულად არაეფექტურია.

BVLP არც ერთჯერადი და არც მრავალჯერადი (14 დღე) პერორალური შეყვანის პირობებში არ იწვევს რაიმე ტოქსიკურ ეფექტებს ვირთაგვებსა და თაგვებში. ცხოველების ქცევა, წონის ცვლილებები, შინაგანი ორგანოების წონითი კოეფიციენტები არ განსხვავდება საკონტროლო (ინტაქტური) ცხოველების მონაცემებთან. აღსანიშნავია, რომ შესწავლილი დოზები 30-ჯერ აღემატება ადამიანის დღიურ დოზებს. **(ფოტო 23)**



ფოტო 23.

ფარმაცევტული პრეპარატის პროტოტიპი/ BVLP.

სამედიცინო და ვეტერინარული
ხელნაწერების ალბომი



X-XIV სს-ში გადანერილი ხელნაწერები: ჯრუჭის I და ჯრუჭის II, ასევე გელათისა და მოქვის ოთხთავები უხვადაა შემკული ილუსტრაციებით, რომელთა შორის მრავლადაა განკურნების სცენები. ამა თუ იმ ფიზიოლოგიური მოვლენის ამსახველი თითოეული მინიატიურა არის დინამიკური, სავარაუდოდ, ემყარება რეალური ცხოვრებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას. ყოველი პათოლოგია წარმოდგენილია შესაბამისი დამახასიათებელი ნიშნით; თითოეული დაავადების სცენები ასახავს დაავადებულთა შესაბამის ჰაბიტუსს, სნეულის გარეგნულ სახეს, მის აღნაგობას, ფიზიკურსა თუ გონებრივ მდგომარეობას.

ჯრუჭი I

პირველი კლასიკურად გაფორმებული სახარება, შემკული ჯვრის გამოსახულებით, კამარებით, 8 კანონითა და ილუსტრაციებით, რომელთაგან 3 კურნების სცენის შემცველია.

936-940 წწ.

297 ფ.; 26x21 სმ.; ეტრატი, მთავრული, წითელი და შავი მელანი. მომგებელი: გრიგოლ მირდატის ძე; გადამწერი: გაბრიელი; მომხატველი: თევდორე კამარათამწერალი. ხეც. H-1660

იოვანე 5, 5-6, 8-9


5. იყო ვინმე... კაცი, რომელსა ოც და ათრვამეტი წელი დაეყო უძღურებასა შინა.

6. ესე იხილა იესუ მდებარე და გულისწმა-ყო, რამეთუ მრავალი წელი აქუს უძღურებასა შინა.

ჰრქუა მას იესუ: გნებავსა, რაჟთა განიკურნო?..

8. ჰრქუა მას იესუ: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!

9. და მეყსეულად განცოცხლდა კაცი იგი და აღიღო ცხედარი თვისი და წარვიდა.



ჯრუჭი II ოთხთავი

ხელნაწერი ერთ-ერთი გამორჩეულია მინიატიურების სიუხვით, მხატვრული სტილის მანერით. ხელნაწერის მომხატველი და გადამწერი ერთი და იგივე პირია.

XII ს.

278 ფ., 24,5x18,6 სმ., ეტარტი, ნუსხური, ოქრომელანი, წითელი, შავი მელანი; გადამწერი და მომხატველი: მიქაელი.

ხეც. H-1667

მათე, თ.12, 10, 13

10. „და იყო მუნ კაცი ერთი, რომელსა ჴელი განჯმელ ედგა...

13. მაშინ ჰრქუა იესუ კაცსა მას: განიროხ ჴელი შენი! და მან განიროხა ჴელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი“.

გელათის ოთხთავი

ხელნაწერი წიგნის უნიკალური ნიმუში, უხვად ილუსტრირებული, შემკული ფურცლოვანი ოქროს ფონზე მდიდრულად გაფორმებული 254 მინიატიურით, ბრწყინვალედ შესრულებული საზედაო ასოებით, სვეტოვანი კამარებით.

XII ს.

293 ფ.; 26x18,8 სმ; ეტრატი, ნუსხური და ასომთავრული, ოქრომელანი, წითელი და შავი მელანი.

ხეც. Q-908

ლუკა 17, 12-14

12. „და შე-რაჲ-ვიდა იგი დაბასა რომელსამე, მოეგებვოდეს მას ათნი კეთროვანნი კაცნი, რომელნი დადგეს შორს.

13. და მათ აღიმალღეს ჴმაჲ მათი და იტყოდეს: იესუ მოძღუარ, შემინყალენ ჩუენ!

14. და თავადმან ვითარცა იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: ნარვედით და უჩუენენით თავნი თქუენნი მღდელთა. და იყო ვითარცა ნარ-ოდენ-ვიდეს იგინი მისგან, განწმიდნეს კეთროვნებისა მისგან“.



მარკოზი 5, 1-2, 7-8, 12

1. და მოვიდეს წიაღ ზღუასა მას, სოფელსა მას ლადარინელთასა.
2. და ... მეყსეულად მოეგებვოდა მას საფლავებისაგან კაცი, რომლისა თანა იყო არანმიდაჲ სული...
7. ლალადებდა ჳმითა დიდითა და იტყოდა: ...გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე.
8. რამეთუ ეტყოდა მას იესუ: სული ეგე არანმიდაჲ, განვედ კაცისა მაგისგან!..
12. და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი ეშმაკნი და ეტყოდეს: მიმავლინენ ჩუენ ღორებსა იმას...და განვიდა სულეზი იგი არანმიდაჲ კაცისა მისგან და შევიდა ღორებსა მას. და მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად, რამეთუ იყვნეს ვითარ ორ ათას და დაიშთვნეს ზღუასა მას შინათა...



ლუკა 14, 2,4

2. და აჰა ესერა იყო ვინმე კაცი წყლით მანკიერი წინაშე მისსა...

4. ...და მოიყვანა კაცი იგი, განკურნა და განუტევა.

աւիկի զիմեւն և անձնացն և արագն և զիմապ
և անկի ին իմա Տանաւ և արն և զարմաւ և ին
լուսն և ապ և ին իմն զիմեւն և զարմաւ և ին
զիմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն և զարմաւ
և ին իմն և զարմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն

Ե

և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն



և զարմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն և զարմաւ և ին իմն

Ե

և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն
և զարմաւ և ին իմն



მათე 9, 28-30, 32-33

28. და ვითარცა შევიდა იესუ სახლსა, მოუჭდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესუ: გრნამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად? ჰრქუეს მას: ჰე, უფალო.

29. მაშინ შეახო თუალთა მათთა და ჰრქუა მათ: სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ!

30. და მეყსეულად აღეხუნეს თუალნი მათნი...

32. და ვითარცა-იგი გამო-ოდენ-ვიდეს, მოჰგუარეს მას კაცი ყრუ და ეშმაკეული.

33. და ვითარცა განჴადა ეშმაკი იგი, იტყოდა ყრუ იგი.



მოქვის ოთხთავი

საზეიმო ხასიათის ხელნაწერი, ერთ-ერთი ბოლო ილუსტირებული ოთხთავი, გადანერილია აფხაზეთში. იგი უხვადაა შემკული ფურცლოვან ოქროზე შესრულებული მინიატიურებით, კამარებითა და საზედაო ასოებით.

1300 წ.

329 ფ.; 30x 23,5 სმ., ეტრატი, ნუსხური; წითელი და ყავისფერი მელანი; დამკვეთი მთავარეპისკოპოსი დანიელი; გადამწერი და მომხატველი: ეფრემი; გადანერის ადგილი: მოქვი.


ხეც. Q-902

ლუკა თავი 2, 21

„და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადაცუეთისა მისისანი, და უწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან, ვიდრე ყოფადმდე მისა მუცელსა დედისა თვისისასა“.

შატბერდის კრებული, თვალთაი

X ს-ის უნიკალური ქართული ხელნაწერი, საგანმანათლებლო დანიშნულების ანთოლოგია. ხელნაწერში წარმოდგენილია როგორც სასულიერო, ისე საერო შინა-არსის თხზულებები. გარკვეული სამედიცინო ინფორმაცია, თვალთა/ მინერალთა სამკურნალო თვისებები, მოცემულია ამავე კრებულში შესულ ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში „თუალთაი“, რომელიც აღწერს ბიბლიური აარონის მოსასხამის 12 ქვას: სარდიონი მოარჩენს მუცელს და „ხსნილად შექმნის“, ტბაზიონი/ტოპაზი – მისი ნალესავი გამოიყენება მონამღულთა მკურნალობისთვის, „ბრუ-ქცეულთა და მწყუდნართათვის“, საფირონი – მსივნებას განკურნავს, ძონეული – მუცლის ტკივილს და სხვ.



973-976 წწ.
287ფ.; 28x22 სმ; ეტრატი. მელანი ყავისფერი, წითელი; ასომთავრული და ნუსხური; გადამწერი: იოვანე ბერაი; გადწერის ადგილი: შატბერდი ხეც, S 1141.

უსნორო კარაბადინი

სამედიცინო შინაარსის პირველი სპეციალური ფუნდამენტური ნაშრომი, შედგენილი X-XI საუკუნეებში. მასში გადმოცემულია თანადროული სამედიცინო ცოდნა ბერძენი და არაბულენოვანი ავტორების შრომებიდან, ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან; ხალხური მედიცინიდან შეტანილია სამკურნალო მეთოდები და საშუალებები; დამონმებულია „ბაბილოვნელ ბრძენ და ფილასოფოსთა“ სადიაგნოსტიკო მეთოდები.

თხზულება კომპილაციურია და შემდგენელიც მას შესაბამისად, „უსნოროს“ ანუ სნოროუპოვარს უწოდებს: ნაშრომი სამი დიდი განყოფილებისგან შედგება: აღწერილია კერძო პათოლოგია, სამკურნალო საშუალებათა ფორმები შინაგანი ორგანოების მკურნალობა, გარეგანი სნეულებები, მარტივი (ერთკომპონენტური) ნამლები.




XIII ს.

194 ფ.; 25x17,5 სმ.; ქალაღდი; მელანი შავი და ნითელი. ნუსხური, თავ-ბოლონაკლული. ხეც. Q 26.

კრებული

კრებულში 20 სხვადასხვა შინაარსის თხზულებას შორის არის საექიმო ხასიათის საკითხავები: „კარაბადინათაგან“ და „თვალის ტკივილისათვის“. პირველი ტექსტი შეიცავს ინფორმაციას სხვადასხვა სამკურნალწამლო საშუალების დამზადების, მათი დოზების, ეფექტურობის შესახებ; მეორე ტექსტში მოცემულია ამა თუ იმ დაავადებისასთან დაკავშირებული რჩევები.



XIV-XV სს.

147 ფ., 138×104 სმ.; ქალაქი, შავი და წითელი მელანი; ხელნაწერი ეკუთვნოდა იერონიმე ალექსევეს; სოლომონა მენვრილმანისაგან შეუძენია მღვდელ მიხეილ ხელაშვილს; ეროვნულ არქივში შევიდა 1924 წელს ვლადიმერ ხელაშვილისაგან თელავიდან.
სეა, 1446/75.

კურთხევანი


ლიტურგიკულ კრებულში სხვადასხვა ლოცვებთან ერთად შეტანილია ლოცვები ჯანმრთელობისათვის: „ლოცვა თმისა მოკუეცისათვის“, „ფუცება ზეთსა ზედა გესლიანის ნაკბენისა“, „ლოცვა ყოვლისა სენისა და სულთა ზედა ვნებულისა“, რაც მკურნალობის სხვადასხვა საშუალებასთან ერთად ფსიქოთერაპიის ჩართვას გულისხმობს; წიგნი მოიცავს ასევე სამკურნალო დარიგებებს: „ღვძლისა და ფირტუსა ტკივილისათვის“ „ღვძლისათვის“, „ჭია ვისცა ესხის“, „თმა და ნუჭრი ვისცა დაჯდის“. A 1110 უნდა წარმოადგენდეს სამედიცინო ცოდნის შემცველი ადრეული კრებულის ვერსიას.



XV ს.
118 ფ., აქედან 116 ფ. ქალალდი, 2 ფ. ეტრატი; 24,5x20,5 სმ., აღმოსავლური ქალალდი, მელანი წითელი და შავი; უხვად შემკული.
ხეც, A 1110.

ზაზა ფანასკერტელი სამკურნალო წიგნი-კარაბადინი

კომპილაციური შედგენილობის ქართული ორიგინალური სამედიცინო ნაშრომი. მოიცავს მედიცინის თითქმის ყველა დარგს, ცალკეულ ორგანოთა დაავადებების აღწერასა და მკურნალობას. ლიტერატურულ წყაროდ გამოყენებულია ძველი ქართული სამედიცინო ძეგლები, მათ შორის „უსნორო კარაბადინი“; ასევე, შეტანილია თანადროული ხალხური მკურნალობის მეთოდები. თხზულება ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველში (ფფ. 1-24r) გადმოცემულია მედიცინის ზოგადი საკითხები; მეორეში განხილულია პათოლოგიისა და თერაპიის ძირითადი საკითხები, ცალკეულ ორგანოთა დაავადებები, მათი ნიშნები და მკურნალობის მეთოდები, სამკურნალო საშუალებების სხვადასხვა ფორმა.




XV ს.

684 ფ., 36x23 სმ.; ქალაღდი; მელანი შავი და წითელი; მხედრული (ორი გადამწერის ხელი შეინიშნება); თავნაკლული.
ხეც. Q877.

წიგნი სააქიმოჲ

ენციკლოპედიური შედგენილობის ფუნდამენტური ნაშრომი „წიგნი სააქიმო“ თარგმნილია ქართულად ხოჯაყოფილის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში. თხზულება შედგება ორი ნაწილისგან: პირველი ნაწილი ეხება ზოგად ფილოსოფიურ-საექიმო თერაპიას, მედიცინის მნიშვნელობასა და სარგებლობას; ჩამოთვლილია ექიმის მოვალეობანი, ფილოსოფიური შეხედულებანი ადამიანის ბუნების შესახებ; შეტანილია ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობები და სხვ. მეორე ნაწილი ეხება კერძო პათოლოგიას და თერაპიას; განხილულია ადამიანის ორგანოების დაავადებები, მათი მკურნალობის მეთოდები და სამკურნალო საშუალებები; აღწერილია გარეგანი (კანის) დაავადებანი და სიმსივნეები; სიცხიანი (ცხროიანი) სნეულებანი; ტრავმები და დამწვრობანი, ქვენარმავალთა ნაკბენები...

თხზულება გამოირჩევა ავტორთა/წყაროთა სიმრავლით (დამონმებულია 22 ავტორის სადიაგნოსტიკო მეთოდები და სამკურნალო საშუალებები).




XV-XVI სს.

406 ფ.; 30x20 სმ.; ქაღალდი; მელანი შავი და წითელი; ნუსხური; ბლონაკლული.

ბეც. S 1274.

დაუთხანი/დავით ბაგრატიონი. იადიგარ დაუდი

კომპილაციური, მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი. ავტორის ცნობის თანახმად, იგი გამოკრებილია „ორი თათრული წიგნიდან“ („მუნთახაბ შაფი“-რჩეული მკურნალობა და „იადიგარ შარიფი“-ჩემი სამახსოვრო, მოსაგონარი); შედგება სამი ნაწილისგან: პირველი კარი „სააქიმო საქმეებს“ შეიცავს ცნობებს ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ; მეორე კარი „საჭმელებსა, მაჯუნებსა და შარბათებსა“ ეხება, სადაც განხილულია დიეტეტიკის საკითხები და პროფილაქტიკა; მესამე ნაწილი „ყოვლისა სენებისა და სატკივრისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებს“ ეხება, აღწერილია კერძო პათოლოგია.



XVII ს.

260 ფ.; 39x27სმ.; ქალაღდი; მხედრული; მელანი შავი და წითელი.

ხეც. Q 270

დაუთხანის/დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდის“ შემცველი ნუსხები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთ საცავებში (ფოტოები: 38, 39, 40).


XVIII ს.

176 ფ.; 32x21სმ.; ქალაქდი; მხედრული; მელანი შავი და წითელი.
ქმობ. № 46, 3.



ქართლის ცხოვრება

მარიამ დედოფლისეული ნუსხა. შეიცავს ტექსტის უძველეს რედაქციას, აპოკრიფულ თხრობებს, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებს, სუმბატ დავითის ძის ქრონიკას, „მატიანე ქართლისას“, დავითის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებებს. მემატიანის გადმოცემით, გელათში დავით აღმაშენებლის თაოსნობით აშენდა სასნეულო – ქსენონი (გვ.26-დან).




1633-1646 წწ.

470 ფ.: 32,5×23 სმ.; ქალაღდი, მეღნი შავი, ნითელი; მხედრული, ხელნაწერი გადაიწერა ქართლის მეფე როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის დაკვეთით. ხეც, S 30.

აბრაამის კარაბადინი

თხზულება განეკუთვნება „მოზაიკური კარაბადინების“ ჯგუფს; მასში თავმოყრილია ასტრონომიულ-გეოფიზიკური ცნობები, კვიმატი დღეების ჩამონათვალი, მკურნალობა, ქრისტიანული და მაგიურ-წარმართული მედიცინის ნიმუშები... ამგვარი კრებულები გამიზნულია ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად სნეულებების, ატმოსფერული ცვალებადობისა და სხვა გარეშე ძალებისაგან.

კარაბადინი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველი, ასტრონომიულ-გეოფიზიკური ცნობები; მეორე, კარაბადინი მართალი და ჭეშმარიტი; მესამე, ნაწყვეტი სახარებიდან, წარმართული შელოცვები, წმინდა მამათა ქრისტიანული ლოცვები (მაოტებელად ეშმაკთა).




XVIII ს.

82 ფ; 20x14 სმ.; ქალაღდი; ნუსხური; მელანი შავი და წითელი. მწერალი/გადამწერი/შემდგენელი „მოდღუარი აბრაამი“.

ხეც. H 916.

ვახტანგ მეექვსე, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის

ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი ნაშრომი ემყარება აღმოსავლურ (არ-რაზის თხზულება „საიდუმლოებათა საგანძური“), რუსულ, ლათინურ წყაროებს, ეროვნულ ტრადიციებს, ავტორის მიერ ჩატარებული ცდების შედეგებს. ძველი შეიცავს სამედიცინო პარაგრაფებს, რომლებშიც წარმოდგენილია კოსმეტიკაში გამოყენებული სურნელოვანი წყლების, ბალზამების, „ძილის მომცემი“ საშუალებების, გამოსავლები სთხეების დამზადების რეცეპტები; განხილულია ოპტიკის საკითხები (კორექციის მეთოდები).




XVIII ს-ის 40-იანი წლები

72 ფ.; 16x10 სმ; ქალაღდი; მელანი შავი, წითელი; მხედრული; გადამწერი და ნახაზების შემდგენელი: ვახუშტი ბატონიშვილი; გადანერის ადგილი: რუსეთი ხეც, S 3721.

კრებული

ხელნაწერი წარმოადგენს შერეული კრებულის ნიმუშს, რომელიც აერთიანებს: „ალექსანდრიანს“, ფრინველთა კარაბადინს, „იერუსალიმის დარღვევას“. კარაბადინში წარმოდგენილია ფრინველთა მკურნალობის მეთოდები, რჩევები მათი შენახვისა და გამრავლებისათვის შესაფერისი ადგილისა და ტემპერატურის შერჩევის შესახებ.




XVIII ს.

48 ფ.; 16 x 18 სმ; ქალაღდი; მელანი შავი; მხედრული

ხეც, S 26.

საოჯახო კარაბადინი

ხელნაწერში წარმოდგენილია მეტალურგიულ-საიუველირო, სანიტარულ-ჰიგიენური რჩევები; სამკურნალო დარიგებები, ცხოველთა და ფრინველთა სამკურნალო საშუალებები და სხვ.




XIX ს.

55 ფ.; 15,5x11 სმ; ქალალდი, მხედრული (სხვადასხვა ხელი); მელანი შავი და წითელი. სკლმ № 25227,6.

ვრცელი ქართული კარაბადინი

კარაბადინი სამეცნიერო წიგნს წარმოადგენს – მითითებულია წყაროები (რუსული, აღმოსავლური, ქართული ხალხური), ერთვის სქოლიოები, განმარტებები, ანბანზე დალაგებული სალექსიკონო მასალა ლათინური და რუსული შესატყვისებით; მოცემულია სამკურნალო საშუალებების სახეები; დაავადებები დარგების მიხედვითაა დაჯგუფებული; ავტორი მიუთითებს, რომ სამკურნალო საშუალებებს და მათი გამოყენების წესებს აგროვებდა როგორც ცნობილი ექიმებისგან, ისე მოსახლეობისგან.




XIX ს-ის მეორე ნახევარი

278 ფ. 22 x 18 სმ; ქალაღი; მელანი შავი, ყავისფერი; მხედრული. ავტორი და შემდგენელი: ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანიშვილი.
გიემ 96/7205.

კარაბადინი ნერვულ და ტუბერკულოზურ დაავადებათა შესახებ

ხელნაწერი სამეცნიერო წიგნის ნიმუშს წარმოადგენს. ტექსტი ეხება „საოფლისა“ და მისი გამომწვევი ნერვული მდგომარეობის დახასიათებას. თხრობა მიჰყვება შემდეგ სქემას: წოდება სენისა, დასაბამი სენისა, განმრავლება სენისა, დასასრული სენისა, ბედნიერი დასასრული, ყამი კურნებისა. თხზულება ეყრდნობა ლათინურ/ევროპულ წყაროებს. მასში საუბარია ფსიქო-სომატურ მოვლენებზე, დაავადებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივ და სოციალურ პირობებთან; მოცემულია ტუბერკულოზური დაავადებების მკურნალობის წესები ლათინური წყაროების მითითებით და მოკლე კომენტარებით;



XIX ს.

29 გვ. 21x31,5 სმ; 22*34 სმ; ქალაღდი; მელანი შავი; შედგება სამი რვეულისაგან:

6 ფ., 12 ფ., 8 ფ. მხედრული.

PHE, IN 63.

სამკურნალო კრებული

კრებული შეიცავს: 1. დაუთხანის (დავით ბატონიშვილის) „იადიგარ დაუდის“ (ძეგლის D რედაქცია). 2. კარაბადინს (სამკურნალო რჩევებს); 3. ვახტანგ VI -ის ცხენის კარაბადინს. „იადიგარ დაუდის“ ერთვის მრავალი ხელნაწერით ცნობილი ანდერძი; მოსდევს სამთვარიო, სამკურნალო დარიგებანი, საეცლო და სარჩივი; ცხენის კარაბადინი ძირითადი ტექსტის გარდა შეიცავს ასტროლოგიურ ცნობებს, ტაბულებს, ნამლებს დასახელებებს სხვადასხვა ენაზე.




1834 წ.

321 ფ.; 34x21,5 სმ; ქალაღდი; შვი, ნითელი; მხედრული; გადამწერი: ნიკოლოზ ბალინოვი; შემსწორებელი და უკანასკნელი მფლობელი: სვიმონ დავითის ძე ცოტაძე. ხეც, Q-281.

ცხოველთა კარაბადინი

ბაგრატ ბატონიშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილი და „გამოკრებილი კარაბადინი“ ეხება ცხენის, ძროხის, ხარის, ღორისა და სხვა შინაური ცხოველებისა და ფრინველების მკურნალობას. უფრო ვრცელია ცხენის კარაბადინის ნაწილი. კრებულს ერთვის ვეტერინარული ხელსაწყოების ჩანახატები და „ცნობისთვის ძარღვთასა“ (ცხენისთვის სისხლის გამოშვების ადგილების მითითებით).




XIX ს.

52.ფ.; 19 x 15 სმ; ქალაქდი; მელანი შავი, ნითელი; მხედრული; ილუსტრირებული. ქსიმ, K 228.

ცხენის კარაბადინი

იოანე ოსეს ძის მიერ შედგენილი კარაბადინი შეიცავს ვახტანგ VI-ის, იოანე ბატონიშვილისა და სომხურიდან თარგმნილი ვეტერინარული თხზულების მასალას. მოცემულია რჩევები ცხენის შერჩევისა და ჯვოგის შეყრისათვის; წარმოდგენილია დაავადებათა სიმპტომები და სამკურნალო საშუალებათა ჩამონთვალი.





მისდევს ხეც, H-2156.


1791 წ.

66 ფ.; 34 x 21 სმ. ქალალდი; მელანი შავი, ნითელი; მხედრული; შეიცავს ილუსტრაციებს. გადამწერი: ტფილისის სიონის დეკანოზი იოანე ოსეს ძე. დამკვეთი: გიორგი XII. ერთვის ანდერძები.

ხეც, S 3467.

კრებული

ხელნაწერი წარმოადგენს კონვოლუტს; სხვადასხვა ავტორის მიერ დანერილი, ორი განსხვავებული შინაარსის შემცველი ვეტერინარული შრომაა აკინძულ-გაერთიანებული, ერთი შეიცავს ფრაჯ და თოროს „სამკურნალოს ცხენისა და პირუტყვთა“, ხოლო მეორე – ბაგრატ ბაგრატიონის „ცხენის სამკურნალოს“. ორივე ნაწილი ჩაკინძულია ერთად მუყაოს ყდაში. I ნაწილის მთარგმნელები არიან: იოანე ოსესძე, ტერ-პეტროსი და ტერ-ფილიპე ყაითმაზოვი; დამკვეთი: გიორგი ბატონიშვილი. II ნაწილი, ხელნაწერი, ანუ „სამკურნალო ცხენთა“, ბაგრატ ბატონიშვილის ავტოგრაფული ნაწერია. იგი მის მიერ შედგენილია რუსულ ენაზე არსებულ ვეტერინარულ წყაროთა გამოკრეფით თარგმანის შედეგად და შრომის პირველი ვარიანტია.




1792 წ.; 1816 წ.

131 ფ.; 25x16.; 32,5 x20 სმ.; ქალაქი. შავი და წითელი მელანი; მხედრული.

ИВР РАН, М37 (G194; M48).

[რეცეპტურა], გარდაღებული ლათინურისა და რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა ფრიად საჭირო

კრებულში თავმოყრილია სამკურნალო საშუალებები, მათი დამზადების წესები, დოზირება, მკურნლობა და დიეტეტიკის საკითხები მკურნალობის პერიოდში. დაავადებათა სახელწოდებები ქართულ ანბანზეა განწყობილი. რეცეპტურაში გვხვდება ნაირგვარი ფორმის, შინაგანი და გარეგანი დანიშნულების სამკურნალო საშუალებები, ესენია: მყარი და თხევადი ფორმის პრეპარატები, ზეთები, მაღამო, ანუ „მაზი“, ელექსირი, ტინქტურა, სავლები, მტვერი ანუ ფხვნილი. მთარგმნელი დაავადებათა სახელწოდებებად ძირითადად ქართულ ტერმინოლოგიას იყენებს, ხოლო პრეპარატების აღსანიშნავად ტერმინებს „ტინქტურა“, „მაგნეზია“ ლათინური გაფორმებით ტოვებს, რათა იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელშიც უნდა გამოეყენებინათ კრებული, პრაქტიკული ღირებულება არ დაეკარგა.




1877 წ.

92 ფ.; 16x21,5 სმ.; თეთრი ქაღალდი, შავი და წითელი მელანი, მხედრული.

PHB, IN, 176.

სამკურნალო კაცისა

სამედიცინო კრებული შედგება 14 კარისაგან, რომლებშიც განხილულია სხვადასხვა დაავადების – ღვიძლის, თირკმლის, სუროვანდის, თავის, თვალის, კბილის ტკივილის – სიმპტომები, მათი მკურნალობის საშუალებები, წესები, დოზები. ზოგიერთი დაავადების მკურნალობისას ხაზი ესმება წელიწადის დროების გათვალისწინების საჭიროებას; მოცემულია დიეტოლოგიური რეკომენდაციები. ტექსტი ძველი ტრადიციული სამკურნალო წიგნიდან არის გადმონერილი.




XIX ს.

20 ფ.; 17x22,5სმ; ქალაღდი, ყავისფერი მელანი, მხედრული.

PHB, IN, 187.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, დავით და იოანე ბატონიშვილების მიერ შევსებული ნუსხა

ხელნაწერი ასახავს სულხან-საბას „სიტყვის კონის“ დავით და იოანე ბატონიშვილების მიერ ახალი, ლათინურ-რუსული, გარკვეული ტიპის აღმოსავლური მასალით გამდიდრების პროცესს. ხელნაწერში მოტანილი ტერმინული ერთეულები განეკუთვნება ზოოლოგია-ბოტანიკის, საბუნებისმეტყველო, კერძოდ, მინერალოგია-გეოლოგიის სფეროებს; მასში მრავლადაა მცენარეული სამკურნალწამლო საშუალებები რუსული, ლათინური შესატყვისებით, „წონა წამლებისა“, „საექიმო სწავლა“ და სხვ. სალექსიკონო მასალა სამენოვანია, ზოგჯერ „თათრული“ და სომხური ერთეულებიცაა განმარტებული თავად ბატონიშვილების მიერ.




1764 წ.

286 ფ.; 21,6 x 17,8 სმ; ქალაღდი; მელანი ყავისფერი, წითელი; მხედრული; გადამწერები: ნიკოლოზ გარსევანოვი (ძირითადი ტექსტის გადამწერი), იოანე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, დავით ბატონიშვილი; გადამწერის ადგილი: ყიზლარი; მფლობელი: დავით ბატონიშვილი.

სეა, ფ. 1446, №106.

ფრინველთა კარაბადინი

თხზულება შედგება შესავლისა და 22 თავისაგან. იგი შეიცავს ქათმის, მიმინოს, შევარდნის, მტრედისა და სხვა ფრინველთა დაავადებებისა და მათი მკურნალობის მეთოდების აღწერას; მითითებულია სამკურნალო საშუალებები და ბაზიერთათვის სასარგებლო რჩევები.




XIX ს.

56 ფ.; 205x15,5 სმ; ქალაქი; მელანი შავი; მხედრული; ი. ბოძაშვილის მითითებით, ხელნაწერი ნაპოვნი უნდა იყოს თავად ჩოლოყაშვილის სახლში მათი განდევნის დროს (1924 წ.) ახმეტிடან.

თიბ, 2482/15.

„მდელითა, ნერგთა, მვეცთა, მფრინველთა, და ქუენარმავალთა და აგრეთვე სხუათა მეტალთა და ბუზთა. ქართული, არაბული, სპარსული, თათრული, ლათინური, სომხური“

ტექსტი ტერმინოლოგიური ლექსიკონია, შეიცავს 1175 ერთეულს, დალაგებულია ქართული ანბანის რიგზე. წყაროდ ლექსიკონი იყენებს ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებს. ალ. ცაგარელის ვარაუდით, ნიგნის შემდგენელი უნდა იყოს იოანე ბაგრატიონი.



XIX ს-ის I მეოთხედი.

24 ფ.; 33.6x21 სმ.; ქალაღდი; წითელი და შავი მეღანი; მხედრული; ტექსტის დასაწყისში თავსამკაული; გაღანერიღია პეტერბურგში. ხელნაწერი ინახება ორ უყდო რვეულთან ერთად.

ИВР РАН H31₃ (G 96; H 40).

ტერმინთა ლექსიკონი

აარაზი (არაბ. a'rād) – დიაგნოსტიკა.

აბი (არაბ. ḥabb) – სამკურნალწამლო ფორმა- მარცვალი, მედ. პილიული Pilulae.

აბზინდა – პალინ, სამკურნალო მცენარე, Artemisia absinthium. L.

ავანი/ჰავანი/ავანგი (არაბ. სპარს.) – სამედიცინო ხელსაწყო.

ავაჯუა/ჰავაჯუა – (ბოტ. მესხურ-ჯავახური დიალექტ.) მრავალწლიანი მცენარე, ძირნითელა.

ავგაროზი (ბერძ. αὐγάζα) – ავი თვალისგან დასაცავი, მკურნალი სენტა და სალმოზათა.

ავი ჟამი – შავი ქირი, მისი ნიშანია მჯდომი, რომელი „გამოვა ყურის ძირს, ანუ ენისა ძირსა, ანუ ძუძუსა ძირსა, ან ღლიასა, ანუ საზარდულსა“.

ავსანთინი რუმი – აბზინდა, Artemisia absinthium L.

ალისარჩული – ყვითელი მცენარე, გამოიყენებოდა საღებავად, Carhamus tinctorius L.

ალმასი – მინერ., განიხილება როგორც კბილის ამოსაღები საშუალება, „ვინცა ალმასი კბილზედად დაიდვას, კბილი ნაფეთ-ნაფეთად დაამტურიოს და ამოიღოს“.

ამარული – გასაპრიალებელი ნივთიერება.

ანაფელოეს-ცხრო ბალღმისა.

ანზალი-გოგრა.

აპკა – გარსი, ტვინის გარსი.

აპოპლეზია – იხ. ფილენჯის ქარი.

არჯასპი (სომხ.) – იხ. შაბი.

ასო – სხეულის ცალკეული ნაწილი, ორგანო.

ატელექტაზი (ბერძნ.-ლათ. Atelectasis) – ფილტვის ერთი ნაწილის ვერგაშლა (ვერგახსნა), დაჩუტულ მდგომარეობაში ყოფნა. ვითარდება ნახველით ან უცხო სხეუ-

ლებით ბრონქების დახშობის, ბრონქების კიბოს, ანდა ლიმფური კვანძების გადიდების შემთხვევაში.

ალა ყარყარჰა და უდულ ყარყაჰა – ორივე გარეული ტარხუნის ძირსა ჰქვიან.

აცრა – ვაქცინაცია

აჯილლა/ულაყი – ვეტ. დაუკოდავი ულაყი ცხენი, ცხენთა კურო (საბა)

ბადიანა-სუნელოვანი კამა, ცერეცო, *Illicium Anisatum*. L.

ბალზამი (ბერძ. *Ballsamon*) – სუბტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებული ზოგიერთი მცენარის წვენი (სხვადასხვა ეთერზეთების შემცველობით), რომელსაც იყენებენ მედიცინასა და პარფიუმერიაში.

ბალლამი (ბერძნ. – არაბ. *balğam*) – სისველე, ფლეგმა.

ბარასი (არაბ. *baraş*) – კეთრი, მუნი.

ბერნი – უშვილო

ბუასირი/ბოვასილი (არაბ. *bāsūr/bawāsīr*) – ბუასილი, ხორცმეტი, ჰემოროიდული სენი.

ბურანი/ბუჰრანი (არაბ. *buħrān*) – (მედ.) კრიზისი ავადმყოფობის დროს, „ტანისა და ჭირისა ბრძოლა“.

განბორება – კეთრის სნეულება.

განპოხება – (ფიზიოლ.) გასუქება.

განრლუეული – ხეიბარი.

გვამი/გუამი – სხეული.

გლუსუნი – სქელი, ლორწოიანი, „ესე მანკი გლუსუნისა ბალღმისაგან იქნების“.

გუნდრუკი – საკმეველი სუნნელი, რომელი მოიღეს ძღვნად შობა მოგვთა (საბა), *Boswellia serrata* Staskh.

გრგენა – (ბიოლ.) გაღიზიანება, „მცენარებაჲ თესლისაჲ თირკმელში“.

დაგოზვა – შეგლესა, სტერილურად დახურვა სანთლით ან „რბილი ლაქით“.

დანამასტიკი – საკმელ-მძივა, კევი.

დარიჩინის წყალი – (მცენ.) *Cinamomum aromaticum*-ის წყალი.

დალილი (არაბ. *dalīl*) – გამოკვლევა (პასუხი ანალიზის), იგივეა, რაც თავსირი.

ელდა/გარჯა-მოულოდნელიკუჭის მოშლა, საჭმლის მოუნელებლობა.

ეპიდემია (ბერძნ. *Epidemos*) – ხალხში გავრცელებული.

ექიმი (არაბ. *ḥakīm*) – მკურნალის ზედწოდება – ბრძენს, გონიერს, ფილოსოფოსს, ექიმს ნიშნავს.

ექსუდატი (ლათ. Exsudo) – სითხის გამოყოფა, რომელიც ანთების დროს გროვდება ორგანიზმის ქსოვილებში ან ღრუებში.

ვაბაჲ (არაბ. uabā') – ქოლერის ეპიდემია „ჰაერისა სიხორშაესაგან იქნების“.

ვარამი (არაბ. uarām) – ავთვისებიანი სიმსივნე.

ვარაყი (არაბ. uarak) – ოქროს (ვერცხლის) თხელი ფენა ნივთებზე გადაკრული შესამკობად.

ვარიოლაცია (Variation)- ადამიანის ჩირქით ყვავილის აცრა.

ვასკულიტი (vasculitis) – სისტემური ვასკულიტი, კლინიკურ-ანატომიური სინდრომი, რომელსაც სისხლძარღვთა კედლების ანთება და ნეკროზი, დაზიანებული სისხლძარღვის აუზში შემავალი ქსოვილების იშემიური ცვლილებები ახასიათებს.

ვერძი – (ზოოლ.) მამალი (ცხვარი), საპირისპიროა ნეზ – დედალი.

ზიყ ნაფასი (არაბ. ḍayk al-nafas) – სუნთქვის შეგუბება, შევიწროება „ზიყ ნაფასი სულისა გუბებასა და შევიწროებასა და ქშინვასა ქუიან“.

თავსარა (არაბ. tafsīr) – გამოკვლევა შარდის (ანალიზი), იგივე დალილი

თაშრიჰი (არაბ. tašrīḥ) – ანატომია, ჯვალინოზის თაშრიჰი – გალენის ანატომია.

კოლინჯი – „ესე ნაწლევი არს უპეის ქვევით, რომელი მიმოვალს აქეთ-იქით“.

კოტომი/ჭიქა – სამედიცინო ჭურჭელი, მუცელგანიერი პატარა მინის ქილა, ადგამენ სხეულზე სისხლის მოსაზიდად; კოტომის მოკიდება.

კროკუსი (ლათ. crocus) – რკინის ჟანგი ფხვნილის სახით; იყენებენ ძვირფასი ქვების გასაპრიალებლად (ასევე ყვავილია, რომელიც მრავალნაირი გამოყენებისაა)

კუკუხო – (ანატ.) თედოს ძვალი (A-760, 66r), „კუკუხოს ტკივილისა“.

კურთხეულ/სატალი – სენის სახეობა „კურთხეულ ძველად ჰრქვიან სატალი“. იხ. სატალი.

კურო – (ზოოლ.) მამალი, საპირისპიროა ფური – დედალი.

ლარი – (ანატ.) ძარღვი, ბოჭკო. „ძრვანი იოგთანი ლართაგან (ნერვები), რომელნი შეიოჭებიან და განიმარტებიან“.

ლახოსტაკი – ნელსაცხებელი, „ნარბთ საღებავი ქვა, გუნდა“.

ლელვის საფენი – (მც.) სამკურნალო საშუალება (ჩირქგროვის მოსაშუშებლად გამოიყენება).

ლილიფარი – Heliantus Annuus L.

ლმოზა – ტკივილი (მუცლის), „ელმიედ სტომაქნი“.

მათუხი ბანავშ – კაცს რომ გვერდი სტკიოდეს, ყელში მოჭრის და ხმის დაკარგვის სამკურნალო საშუალება.

მაკე/მაკეობა – (ფიზიოლ.) მდგომარეობა, როდესაც პირუტყვის ნაყოფი ჩასახული აქვს საშოში.

მალამო (არაბ. malḥamat) – საცხი, გელი.

მალახულია/მელანქოლია (ბერძნ. μελαγχολία) – შავი ნაღვლის დაღვრა; ფსიქიკური დეპრესია, მელანქოლია Melancholia.

მანკი – სნეულება.

მარილი/მარილწყალი/ქვამარილი – (მინერ.) სხვადასხვა სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენებოდა; ურჩევდნენ კბილის ამოღებისას.

მალნიტი – „მალნიტისა, რომელი რკინას აიღებს“, მინერალი (რკინაქვა, მაგნეტიტი. ქიმიური ფორმულით – $FeFe_2O_4$, Fe_3O_4).

მაჯა/მაჯასი (არაბ. maḡass) – პულსი, მაჯისცემა.

მაჯის გახსნა – სისხლის გამოშვება „სისხლი სნეულისა ძალისა მისაფერად გამოიღოს“.

მაჯუნი (არაბ. maḡūn) – ნარევი ელექსირი, კონფორტატივი, შედგენილი ორი ან მეტი კომპონენტისაგან.

მეცნიერნი კურნებისა / ხელოვანი კურნალნი – ექიმი.

მისხალი (არაბ. miṭkāl) – წონის ერთეული, დაახლოებით = 4,25 გრამს.

მიშიაკი (რუს.) – (ქიმ.) დარიშხანი.

მკელობელი – კოჭლი.

მკლავის გახსნა – იხ. მაჯის გახსნა.

მოლოქური – კანის დაავადება, „წვრილი მსხმო“.

მტერი – ეპილეფსია (ისტერიული გულყრებიც იგულისხმება).

მტვერი – აქ: ფხვნილი.

მუნი/მქავანი/მლიერი/ქეცი – კანის გადამდები დაავადება, ახასიათებს. წვრილი გამონაყარი და ძლიერი ქავილი.

მწყუდნარი – მომაკვდავი.

მჯდომი – დიდი მუწუკი შიგნით (საბა); „მჯდომი ერთი, მოთეთრო რომე არის, მერმე წვრილი და შავი ... პარტახტის სახე არის“.

ნავლი/ფიტი – განავალი.

ნაზლა (არაბ. nazlat) – სურდო, „რაცა წყალი პირისაკე ჩამოვიდოდეს და მკერდსა ჩავიდოდეს, მას ნაზლაჲ ჰქვან“.

ნეზ – (ზოოლ.) დედალი, საპირისპიროა ვერძი-მამალი.

ნესტუ (ბერძ.) – ხვრელი, გასავალი, არტერია, „ნესტუნი შეიყოფვოდეს“.

ნიკრისი (nikris) – „ფეხის თითთა და კოჭის ტკივილი“. იხ. წრდიალი.

ორგანო (ბერძ. Organon) – სხეულის ცალკეული ნაწილი, ასო.

ოსპი – იგივე (არაბ.) ადსი და (ირან.) ნარსაქი; *Ervum Lens L.*

ოპიუმი – ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, მიიღება ხაშხაშის უმნიფარი თესლის წვენიდან.

ოტკა (რუს.) – არაყი, სპირტი.

პანდემია (ბერძ. Pandemia) – ეპიდემია, რომელსაც ახასიათებს ინფექციური დაავადების გავრცელება ვრცელ რეგიონში ან მთელ მსოფლიოში.

პაპულა/პუპულა – ბუშტუკი, წარმოიქმნება აცრის ადგილას.

პარტახტი – ტანზე გამონაყარი, ნითელი ფერის, *Exantema*.

პარტახტიანი ტიფი – ქართულად „პარტახტი“ ნიშნავს ლაქას, გამონაყარს.

პერი – ქაფი

პოროშოკი (რუს.) – ფხვნილი

ჟამი – სახადი, გადამდები დაავადება, რომელიც ერთხელ მოხდის შემდეგ აღარ ემართებათ.

რევანდი -კუჭ-ნაწლავის გასაწმენდი საშუალება, *Rheum officinalis*.

რიკეტსიოზული – მწვავე ინფექციური.

როდინი (ლათ. rodin) – ფილთაქვა, სამედიცინო ხელსაწყო, სანაყელი ჭურჭელი.

საბრი და უდი – (საბასთან, აზუა), ალოე *Aloë L.*

საგურკველი – ჰემოროიდული დაავადება, ბუასილი.

საზარდული – (ანატ.) ბარკლის სადრეკი, *Ligamentum inguinale*.

საკლიტავი/სასა – (ანატ.) პირის ღრუში მდებარე სასის უკანა რბილი ნაწილი.

სალბუნი – მალამო.

სალმობა- სატკივარი, ჭირი, დაავადება.

სამეცი – თუთუბო, მცენარე, რომლის ფოთლების ფხვნილს ძმრის ნაცვლად ხმარობენ. *Rhus coriaria L.*

სამშვინველი/საშუმინველი – (ანატ.) სული, ყნოსვა, ფილტვი „დაიტენა საშუმინველი“.

სანდალი (ირან. არაბ.) – სანდლის ხე *Pterocarpus Santalinum L.*

სანდალოზი – ყვითელი წებო, ლაქი; „გასაელვარებლად წასასმელი სამხატვროს წამალი“.

საოფლე – ესე არს სნება გარდამდები (საბა);

სარდიონი (ბერძ. sardios) – სამკურნალო მინერალი, ძვირფასი ქვა, მოარჩენს მუცელს და „ხსნილად შექმნის“.

სარცხვნელი – მამაკაცის სასქესო ორგანო, Penis.

სასა/საკლიტავი – იხ. საკლიტავი.

სასაქმებელი – კუჭ-ნაწლავის გასანმენდი საშუალება

საფირონი (ბერძ. Sapfeitos) – სამკურნალო მინერალი, ძვირფასი ქვა, „მსივნებას განკურნავს“.

სატალი – ციმბირული წყლული.

საშუმინველი – იხ. სამშინველი.

საჭურისი/გამოსაჭურისებელი – დაკოდილი, სასქესო ჯირკვლებამოკვეთილი, გამოსაჭურისებელი სამი სახისაა: დაბადებით საჭურისი „მუცლითგან დედისაითა საჭურისნი იშვნეს“; ფიზიკურად გამოსაჭურისებელი „კაცთაგან გამოისაჭურისნეს“ და ღვთისათვის გონებით გამოსაჭურისება.

სახადი – იხ. ჟამი, გადამდები დაავადება, რომელიც ერთხელ მოხდის შემდეგ აღარ ემართებათ.

სილი (არაბ. sill) – „ფირტუისა ტკივილი/ფირტუს სინყლულე“, ჭლექი იგივე ტუბერკულოზი.

სილბო – კუჭ-ნაწლავის აშლა.

სნება – სნეულება, ავადმყოფობა.

სტომაქი (ბერძნ. stomakhon) – მუცელი, კუჭი.

სტკეისი (ბერძნ. stoikheion) – სტიქია, ძირითადი ნივთი, ელემენტი „სტკეისნი იგი შეიჭვოდეს“ – ელემენტები იხშობოდა.

სუფუფი (არაბ. Safūf) – ნამლის ფხვნილი. Pulvis.

ტიფი (ბერძნ. Typhos) – გონების დაბინდვა, რამდენიმე მწვავე ინფექციური დაავადების საერთო სახელწოდება: მუცლის ტიფი, პარტახტიანი ტიფი, შებრუნებითი ტიფი, პარატიფი.

ტლე/ტილაუ (არაბ. tilā'u) – სამკურნალო საფენი, სალბუნი.

ტბაზიონი/ტოპაზი (ბერძ. topazos) – (მინერ.) ძვირფასი ქვა, მისი ნალესავი გამოიყენება მონამლულთა მკურნალობისთვის.

ტლაალუნი (არაბ. ṭālūn) – შავი ჭირი.

ტყირპი – ანატ. ელენთა.

ულბო/შამბალილა – *Trigonella foenum-graecum* L.

უნაბი – (ბოტ.) ისხამს მოყვითალო-მოყავისფრო კურკიან, ტკბილ ნაყოფს. *Zizyphus sativa*.

ულაყი – (ზოოლ.) მამალი ცხენი, იხ. აჯილდა.

ურვილი – კანის ერთგვარი სნეულება.

ურნანი – იხ. ბერნი, უშვილო „ურნანი ცხენი იყოს, რომე კვიცობა არა იცოდეს“

ფილენჯის ქარი (არაბ. falğ) – ორგანიზმის ერთი რომელიმე ნაწილის დამბლა.
ფირტუისა ტკივილი/ფირტუს სინჯლულე – ქლექი იგივე ტუბერკულოზი, იხ. სილი.
ფიტი/ნავლი – განავლი.
ფსელი – „წყალი“, შარდი.
ფური – (ზოოლ.) დედალი, საპირისპიროა კურო – მამალი.

ქავანა/მქავანა – იხ. მუნი, „სიმლიერე“, მუნიანობა, კანის ინფექციური დაავადება.
ქალანდროს – (ზოოლ.) „ნაკრტენი მუცლისა მისისაი ჰკურნებს თუალთა დადგომილთა ... ქალანდრმან შთანთქას სალმობაი სნეულისაი“.

ქალწული/ქალწულება – გაუთხოვარი ქალი, ქალიშვილი/ შეუუღლებლობა.
ქარი – ავადმყოფობათა საერთო ცნება; იხმარება აგრეთვე, ნაწლავებში დაგროვილი ქარების შესატყვისად.

ქარვა – ყვითელი ფერის გაქვავებული ხის ფისოვანი ნივთიერება, გამოიყენება სამკურნალოდ.

ქაფურის ხე – *Cinnamomum camphora*.

ქაშოეთი/ქაშოვეთი – კანის ინფექციური სნეულება.

ქერი – (ბოტ.) *Hordeum sativum* L.

ქეშკი – მაკე პირუტყვის (ცხენის) მეთვალყურე, გამოცდილი მოხელე.

ქეცი – იხ. მუნი.

ქოლერა/ხოლერა – კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადება; //ვაბაი, ჰაიტა, გარჯა, თუხმა და ელდაი.

ქსენონი (ბერძ.) – ძველად: სასნეულო, საავადმყოფო.

ქუნთრუმა//ქუთემა//ყელათმა – მწვავე ინფექციური სენი, უმეტესად ბავშვებში ვრცელდება, ახასიათებს გამონაყარი, წვრილი მსხმო.

ქუნჯუთი – იგივე შირაბახტი ან სეზამი. *Sesamum indicum* L.

ქუქუთო – (ანატ.) ქუთუთო, „ჯარბასა ნიშანი ესე არს, რომე ქუქუთოშიგან გაუნითლდეს, გაუსქელდეს და ქაოდეს“.

ქუში/ქოშინი – სასუნთქი გზის დაავადება, გრძელი ხველა.

ქშუტი – იხ. ჩუტყვავილა.

ღვინის ქვის მარილი – კუჭ-ნაწლავის გასაწმენდი საშუალება.

ღლია/იღლია – (ანატ.) მხრის ძირის ჩაღრმავება.

ღუმირაბიკუმი – ერთგვარი კაუჩუკი.

ყბაყურა – გადამდები დაავადება, ყბა-ყურის მწვავე ანთება.

ყვავილი/დიდი ბატონები – ბავშვთა ინფექციური დაავადება.

ყვანა – სნეულება, მუცლის ტარების სენი.

ყვიანახველა/ხველა – ბავშვთა გადამდები დაავადება.

ყურსი/კურსი (არაბ. kurs) – სამკურნალო ნამლის ფორმა, კვერი.

შაბი/არჯასპი (სომხ.) – (მინერ.) სადეზინფექციო საშუალება; შაბი თეთრი და შაბი მწვანე/ შაბიამანი (არაბ. (šāb iamānī – იამანური შაბი).

შავი ჭირი/ ავი ჟამი – პანდემია, ახასიათებს თავის ტკივილი, ოფლიანობა, კანკალი, ძლიერი ციებ-ცხელება; ჩირქოვანი წყლული ე.წ. ბუბონი ჩნდება ილლიის, კისრისა და ბარძაყის მიდამოებში.

შავნალულიანობა – მალიხულია (მელანქოლია).

შაკიკი (არაბ. šakīk)- თავის მფეთქავი ტკივილი.

შარბათი (არაბ. šarbat) – ზოგადად ტკბილი სასმელი, სიროფი.

შაფა (არაბ. šifā') – მკურნალობა.

შაჰთარა – სამკურნალო მცენარე, ძირმწარე. *Aristolochia Clematitis* L.

შებრძვნება – შერთვა, შეხორცება (ძვლის).

შეზრზინება – ცხელება.

შესაყარი – გადამდები.

შვრია – *Avena sativa* L.

შირა – ანუ ექსტრაქტი.

შიორვა/შიურბა (არაბ. šurba) – წვნიანი საკვები.

შიუყაყი (არაბ. šukāk) – ერთგვარი სენი (უკანა კარის პირის, ქალის საშოს პირის დასკდომი); ასევე, ცხენის ფეხის დაავადება.

ჩუტყვავილა/წყლის ყვავილი/ქშუტი – მწვავე ინფექციური დაავადება, უმეტესად ბავშვებში ვრცელდება, ახასიათებს კანის განითლება და სითხიანი ბუშტუკების გამონაყარი.

ცმელი – (ანატ.) მუცლის ქონი.

ცოფი/ძაღლის სიბრაზიანე – ადამიანთა და ცხოველთა მიძიმე გადამდები დაავადება, აზიანებს ნერვულ სისტემას.

ცოფი – გაცოფებული, აფექტში მყოფი ადამიანის ავადმყოფურად აგზნებული ქცევა.

ცხროჲ – ცხელება.

ცხროიანი – სიცხიანი.

ძონეული – (მინერ.) ძვირფასი ქვა „სარგებელ ექმნის, „რომელთა ელმიედ სტომაქნი და რომელთა აღუვსინის მუცელი თვისი“.

ნელი – ნანლავი.

ნითელა – ბავშვთა გადამდები დაავადება, ახასიათებს კანზე წითელი გამონაყარი.
წრდიალი – რევმატიზმი, „სენი ტეხისა წრდიალი, რომელსა ჰრქუიან ნიკრისი“, იხ.
ნიკრისი.

წყლის ყვავილი – იხ. ჩუტყვავილა.

წყლით მანკიერი – წყალმანკით დაავადებული. „ჭურია ... იყო წყლით მანკიერ და
მუცელი მისი განსივებულ“.

ჭანჭალი (დიალექტ.) – თირკმელი.

ჭია – პარაზიტი, აინფიცირებს ადამიანის ნანლავეს.

ჭორფლი – პიგმენტური ლაქები, ხშირად მემკვიდრეობითია.

ხარდალი- მდოგვი Sinapis L.

„ხარის ჭირის“ წამალი – დაავადებული ხარის ან ძროხის გამონაყრიდან აღებული
ასაცრელი მასალა, ვაქცინა.

ხელოვანი კურნალნი-იხ. მეცნიერნი კურნებისა.

ხილთი/ხილტი (არაბ. hilt) – ნარევი, შენარევი, სხეულის სითხეები.

ხოლერა მირაბუს – „ხოლერა მირაბუს, ლათინურად ჰნიშნავს „გარგასხმასა მსწრა-
ფლად ნაღველისასა“, იხ. ქოლერა.

ხუადი (ზოოლ.) – მამალი, საპირისპიროა ჯდალი – დედალი.

ხუნაყი/ხუნაგი (არაბ. hunāk) – სასის გასივება, ნუშისებრი ჯირკვლების ანთება,
დიფტერია.

ჯდალი (ზოოლ.) – დედალი, „ყოველთა ცხოველთა მამალსა დედალი განუწესა და
ჯდალსა – ხუადი და ნეზუსა – ვერძი და ფურსა – კუროი“.

ჯელის გახსნა/მაჯის გახსნა/მკლავის გახსნა – სისხლის გამოშვება „სისხლი სნეუ-
ლისა ძალისა მისაფერად გამოიღოს“.

ჯორჯი (ანატ.) – ბრონქი, სასულის დასაწყისი ადგილი.

ჯავზი (არაბ. ğauz) – კაკალი.

ჯარბა (არაბ. ğarba) – თვალის სენია „ჯარბასა ნიშანი ესე არს, რომე ქუქუთოში-
გან გაუნითლდეს, გაუსქელდეს და ქაოდეს“.

ჯილეხი (ვეტ.) – მწვავე ინფექციური დაავადება, ციმბირული წყლული/ იხ. სა-
ტალი – ციმბირული წყლული.

ჯოდრი (არაბ. ğudr) – ინფექციური დაავადება, ყვავილი.

ჯუზამი (არაბ. ğudam) – კანის ინფექციური დაავადება, „კეთრიანობა“, ქაშოე-
თელი.

ჰაიტა/თუხმა/გარჯა/ელდა (არაბ. hayda) – ქოლერა, კუჭ-ნაწლავის აშლა, საჭმლის მოუნელებლობა.

ჰალი – ნადნობი.

ჰუკნა/ჰუყნა/ოყნა (არაბ. ḥuḳnat) – ნაწლავების გამოსარეცხი ჭურჭელი

ჰულბა იხ. ულბო.

ბიბლიოგრაფია

აბულაძე 1955: მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.

აბულაძე 1973: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

აბულაძე 1985: ილ. აბულაძე, ძველი ქართულისა და ძველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობისათვის, შრომები, IV, თბილისი, 1985.

აბულაძე 1990: თ. აბულაძე, ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბილისი, 1990.

აბულაძე 2010: თ. აბულაძე, „იადიგარ დაუდის“ სპარსული წყაროს შესახებ, მრავალთავი, ტ. 23, თბილისი, 2010.

ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბილისი, 1966.

ბერიტაშვილი 1957: ივ. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე, თბილისი, 1957.

ბიბლია 2017: ბიბლია, ძველი აღთქმა, I-II, თბილისი, 2017. ბიბლია, ძველი აღთქმა, I-II; კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2017 წ.

ბურდული 2009: მ. ბურდული, სამედიცინო ცნობები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში (V-X სს.), გულანი, №1, ახალციხე, 2009.

გელენიძე 1974: ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი, 1974.

გოგიჩაძე 2011: ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები / გ. გოგიჩაძე, გ. კანდელაკი, თ. გოგიჩაძე), თბილისი, 2011.

ეგეტაშვილი 2017: ნ. ეგეტაშვილი, მედიცინა ძველ სამყაროში, თბილისი, 2017.

ვახტანგ VI 1981: ვახტანგ VI, „ნიგნი ზეთების შეზავებისა“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და მ. კოკოჩაშვილმა, თბილისი, 1981.

ვახტანგ VI 1981: „ნიგნი ზეთების შეზავებისა“ განმეორებული გამოცემა რ. ჩაგუნავას და ე. მარქარაშვილისა, თბილისი, 2013

იადიგარ დაუდი, 1938: დაუთხანი, იადიგარ დაუდი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1938 წ.

იადიგარ დაუდი, 1985: დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოცემულია პ. ფირფილაშვილის მიერ (1938 წ. ლ. კოტეტიშვილის გამოცემის მიხედვით), თბილისი, 1985.

იადიგარ დაუდი, 1992: დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადეს გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს იოსებ და ბენიამენ ქურჩიშვილებმა, კორნელი დანელიას რედაქციით, თბილისი, 1992.

ივირონის აქტები 2008: ივირონის აქტები II, XI საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე, თბილისი, 2008.

კაპანაძე 1960: კ. კაპანაძე, ზოგიერთი ცნობა ვეტერინარული წამალთმცოდნეობის ისტორიიდან საქართველოში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აკადემიის მოამბე, ტ. III, N 3, თბილისი, 1960.

კიკნაძე 2015: ლ. კიკნაძე, ვასილ ჭილაძე, ახალი სახელი ქართულ ლექსიკოგრაფიაში, თბილისი, 2015.

კოტეტიშვილი 1936: ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, XIII ს., იხ. წიგნი სააქიმოჲ, ხოჯაყოფილის თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1936.

კუკავა, 1956: თ. კუკავა, ნარკვევები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1956.

ლეონიძე 1930: ლ. ლეონიძე, სამკურნალო ცხენისა, ჟურ. „ვეტერინარიის მოამბე“, N1-2, /დამატება/ ტფილისი, 1930.

მინდაძე 1981: ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბილისი, 1981.

მესხია 1979: შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1979.

ოთხი კარაბადინი: ოთხი ქართული სამედიცინო ხელნაწერი (XVI-XVII სს.), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნანა ხელაიამ, თბილისი, 2009.

ორბელიანი 1993: ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1993.

რაფავა 1985: მ. რაფავა, მეცნიერებათა კლასიფიკაცია ამონიოს ერმისის მოძღვრებაში, „მრავალთავი“, ტ. XI, თბილისი, 1985.

სააკაშვილი, გელაშვილი 1956: მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წიგნი I, თბილისი, 1956.

სალუქვაძე 1987: ს. სალუქვაძე, წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, თბილისი, 1987.

სამყურაშვილი 1985: ლ. სამყურაშვილი, არაბიზმები „წიგნი სააქიმოჲ“-ში, „მრავალთავი“ XI, თბილისი, 1985.

სანიკიძე 1997: ლ. სანიკიძე, ძველი მედიცინის ისტორია, თბილისი, 1997.

უსწორო კარაბადინი 1940: ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. კოტეტიშვილმა, საქმედგამი, თბილისი, 1940.

უსწორო კარაბადინი 1997: უსწორო კარაბადინი, ლ. კოტეტიშვილისეული გამოცემის განმეორებული, შესწორებული გამოცემა, დარეჯან კუხიანიძისა, თბილისი, 1997.

ფანასკერტელი 1950: ზ. ფანასკერტელი, სამკურნელო წიგნი (კარაბადინი), II ნაწილი, ფფ. 175-684, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ და კ. გრიგოლიამ, მ. სააკაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 1950.

ფანასკერტელი-ციციშვილი 1978: ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნელო წიგნი-კარაბადინი, ტექსტი მოამზადა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ, რედაქტორი ე. კანდელაკი, თბილისი, 1978.

ფანასკერტელი-ციციშვილი 1986: ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნელო წიგნი-კარაბადინი, ტ. I, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო მიხეილ შენგელიამ (550 წლის საიუბილეო გამოცემა), თბილისი, 1986; ტ. II, 1988.

ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა კატალოგი 2017: ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა კატალოგი, მთავარი რედაქტორი და კვლევის ავტორი რამაზ შენგელია, შემდგენლები: ნანი ხელაია, ნია მატაბელი, ქეთი ძაძამია, ნელი ბაგრატიონი, თბილისი, 2017.

ქართული პალიმფსესტები 2017: ქართული პალიმფსესტები (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი); შეადგინეს ლ. ქაჯაიამ, ხ. გაფრინდაშვილმა, ც. გულედანმა, ნ. მიროტაძემ, დ. ჩიტუნაშვილმა და ი. ხოსიტაშვილმა, თბილისი, 2017.

ქართული პროზა 1982: ქართული პროზა, III, თბილისი, 1982.

ქგლ 1986: ქართული განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი, 1986.

ქსე VII, 1984: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V ტ., თბილისი, 1980. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბილისი, 1984.

ქუთათელაძე 1967: დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ლ. ქუთათელაძემ, თბილისი, 1967.

ლამბაშიძე 1966: რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1966.

შათირიშვილი 2016: ლ. შათირიშვილი, ბასილი ანკვირიელი და მისი თხზულების ქართული თარგმანი, თბილისი, 2016.

შარაშიძე 1986: ქრ. შარაშიძე, ერევანში მივლინების ანგარიში [1954], „მრავალთავი“ XIII, თბილისი, 1986.

შენგელია 1956: მ. შენგელია, ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1956.

შენგელია 1968: მ. შენგელია, გარდამავალი პერიოდის ქართული მედიცინა, თბილისი, 1968.

შენგელია 1980: მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია (მეორე გამოცემა), თბილისი, 1980.

შენგელია 1981: მ. შენგელია. ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი, 1981.

შენგელია 2012: რ. შენგელია, მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია, თბილისი, 2012.

შრომათა კრებული 1998: მედიცინის ისტორიკოსთა საერთშორისო სამეცნიერო კონფერენციის („უსნორო კარაბადინი“ 1000 წ.) შრომათა კრებული, 23-26 ოქტომბერი, თბილისი, 1998.

ჩირგაძე 2010: ჩირგაძე ნინო, სამცხე-ჯავახეთის სამედიცინო კულტურა, თბილისი, 2010.

ძეგლები 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1963.

ძეგლები 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1967.

ნიგნი სააქიმოძე 1936: ნიგნი სააქიმოძე, ხოჯაყოფილის თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1936.

ხიდაშელი 1999: ლ. ხიდაშელი, ძველი ქართული კოსმეტოლოგია და 300 უნიკალური რეცეპტი, თბილისი, 1999.

„ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია 2018: „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლ. სამყურაშვილმა, თბილისი, 2018.

ჯავახიშვილი 1935: ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, თბილისი, 1935.

ჯვარშიშვილი 1967: კ. ჯვარშიშვილი, XVII-XIX სს. ქართული ვეტერინარული ხელნაწერები და შინაურ ცხოველთა მკურნალობის საკითხები (დისერტაციის თეზისები), თბ., 1967.

Март 1908: Март Н, Отзыв о сочинении Е.Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, вып., 1-4, Тиф., 1902-4, «Сборник отчётов о премиях и наградах за 1907 г.», СПб. 1908.

Такайшвили 1903: Такайшвили Е., Описание Рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, Тиф., 1903.

Шаламберидзе 1970: Шаламберидзе, Н. М., «О рождении человека» Григория Нииского в грузинском переводе Георгия Мтацмидели (Автореферат), Тб., 1970.

А ფონდის აღწერილობა 1954: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A) კოლექცია, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, IV ტ., თბილისი, 1954.

А ფონდის აღწერილობა 1955: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A) კოლექცია, ალ. ბარამიძის რედაქციით, შეადგინა ლილი ქუთათელაძემ, V ტ., თბილისი, 1955.

S ფონდის აღწერილობა 1961: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. II, შედგენილია და დასაბუჯდად მომზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1961.

S ფონდის აღწერილობა 1963: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, შედგენილი ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ელ. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, III ტ., თბილისი, 1963.

Q ფონდის აღწერილობა 1957: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1957.

Q ფონდის აღწერილობა 1958: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, შედგენილი თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველისა, ლ. ქუთათელაძის და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1958.

Краткий исторический очерк становления и развития микробиологии, иммунологии и вирусологии; <https://www.gamaleya.org/about/elektronnaya-biblioteka/istoriya-nauchnykh-dostizheniy/1363/>

King James Bible; <https://www.kingjamesbibleonline.org/>

შემოკლებები

ИВР РАН – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი (პეტერბურგი)

РНБ-რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა (პეტერბურგი)

მატ. – მატენადარანი (მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ერევანი)

გიემ – სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

თიმ – თელავის ისტორიული მუზეუმი

სეა – საქართველოს ეროვნული არქივი

ქმიმ – მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი

სქლმ – საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

ქსიმ – ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ხეც – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

